CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# 50 თეთრი

მერია „ვისოლის“, „სოკარის“, „ლუკოილის“, „გალფის“ „ბენზოკალონკების“ წინააღდეგ!



9

N43/3359/ 21 აპრილი 2016 წ

ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

## ლადო სადღობელაშვილი: „კალაძე ჟურნალისტებს სხვადასხვა ფორმით აჩუმებს“

სუს-ის რომელი გავლენიანი პირია მისი „მარჯვენა ხელი“



2

## ვინ არის ლადო პაპავას შემცვლელი დარეჯან თვალთვაძე და რას ამბობენ მასზე უნივერსიტეტში?



7

## ზაზა ხატიაშვილი: „ვეღარ გავიგე, გიორგი პაპუაშვილის 100 000-დოლარიანი ბინა ქრთამია და მაშ, რაღაა ტურავასთვის გადასაცემი 300 000-დოლარიანი ბინა?“



„ქართული ოცნების“ ლიდერები მართალს ამბობდნენ მაშინ პაპუაშვილზე, მაგრამ დღეს ხმას არავინ იღებს, გასუსულები არიან“



5

თაღლითების თავშესაფარი გახდა პოლიტიკა და ვისაც გრძელი ენა, მოკლე ჭკუა და ფულის გამოძალვის ნიჭი აქვს, თითქმის ყველა პოლიტიკაში მიექანება

რას აპირებს ხელისუფლებისგან „გადაგდებული“ ინტერპარტიული ჯგუფი?



3

გარემოს დაცვის მინისტრმა აგულაშვილმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს შეფად „ნაცების“ „ზონდერი“ დანიშნა?



11

აიტ! ბიძო აიტიშნიკო!!!



13

საზარელი მკვლელობა გახსნილია — წამებით ჯერ შვილი მოკლეს, მერე - დედა



10

რის გამო კარგავენ ადამიანები სოციალურ დახმარებას



10

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ეკა ხერხეულიძე დავით სერგეენკოს: თქვენი წყალობით, ადამიანები ნაგავში იქექებიან



9

ბზას რომ იყიდით, კარგად დააკვირდით, შეიძლება სახლში მავნებელი მწერები შეიტანოთ



4

„CIA აგენტი რომ ვარ საიდან გაიგეს ნეტა... მეტის ღირსი ვარ მე ოხერი“ - ია ფარულავა



7

„ვითომ სილამაზის კონკურსები არ გვეყოფოდა, ამჯერად საქართველოში ძუძუების კონკურსი ტარდება“



8

# ეკა ზღულაძე და ხატია დეკანოიძე უკრაინაში თანამდებობებს ტოვებენ



უკრაინული მედიის ინფორმაციით, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე და ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელი ხატია დეკანოიძე თანამდებობას ტოვებენ.

უკრაინული მედია აღნიშნულ ინფორმაციას ძალოვან უწყებაში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, ზღულაძის გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ, შს მინისტრ არსენ ავაკოვთან შეთანხმებული არ არის და ის მინისტრის მოადგილის პოსტს საკუთარი სურვილით ტოვებს.

უკრაინული მედია წერს, რომ ზღულაძის მიერ თანამდებობის დატოვება სერიოზულ ზიანს მიაყენებს მინისტრ ავაკოვის იმიჯს.

მინისტრის მოადგილის პოსტის დატოვების ძირითადი მიზეზი უწყებაში რეფორმების ჩავარდნა და თანამდებობებზე კორუმპირებული ჩინოვნიკების დაბრუნება გახდა. (pia.ge)

# სააკაშვილმა — რა ნარკოტიკი, რის ნარკოტიკი, რა ატამი, რის ატამიო



ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ის ნარკოტიკებს ეტანება და ფლობს საყვარლების ჰარამხანას, ურაყოფს.

ამის შესახებ, მიხეილ სააკაშვილმა, უკრაინულ ტელეშოუში დიმიტრი გორდონთან ერთად ისაუბრა.

– სისულელეა. არაფერს ვყნოსავდი და არასდროს გამისინჯავს ნარკოტიკი. ეს ყველაფერი ძველი ტექნოლოგიაა: თუკი რაიმე სისულელეს ბევრჯერ გაიმეორებ, ადრე თუ გვიან ვიღაცა ამას დაიჯერებს, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, მას ოდესაში „ჩინოვნიკების და საყვარლების ჰარამხანა“ რომ ჰქონდეს, ეს დიდი ხნის წინ ეცოდინებოდა ყველას. სააკაშვილმა ასევე აღიარა, რომ ის არ არის „სექსუალური გიგანტი“.

– შეიძლება გამოვედი უკვე იმ ასაკიდან და ცოტა ყურადღებას ვაქცევ ამ საკითხებს. ახლა ჩემი დრო მთლიანად სამსახურს ეთმობა, — აღნიშნა სააკაშვილმა. (daijesti.pia.ge)

# ლადო სადღობელაშვილი: „კალაძე ჟურნალისტებს სხვადასხვა ფორმით აჩუმებს“

## სუს-ის რომელი გავლენიანი პირია მისი „მარჯვენა ხელი“



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

„თავისუფალი თაობის“ ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა ხმაურიანი განაცხადება გააკეთა – პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს არ უნდა, მომავალ მინისტრთა კაბინეტში კახი კალაძისნაირი უსაქმურები ჰყავდეს, ამიტომ მას არჩევნებამდე მოხსნიან და პარლამენტში გადაიყვანენო.

ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენის საკითხს უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, კახა კალაძეს ენერგეტიკის მინისტრის პოსტის დატოვება და საარჩევნო სიაში მოხვედრა შესთავაზონო. „დაველოდოთ 14 მაისს... ბევრი დაისვენებს 14 მაისის შემდეგ“, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

მალევე თავად ენერგეტიკის მინისტრმა გააკეთა განცხადება: ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ვიქნები თუ არა „ქართული ოცნების“ სიაში და ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს – განაცხადა კალაძემ.

სად შეგვიძლია ამდენი ინტრიგა, შენ შემოგევლე, რა! მაგრამ სხვა რა არის პოლიტიკური პროცესი, თუ არა სწორედ რომ ინტრიგებით დახუნძლული წინასაარჩევნო პერიოდი? გვირილები მაინც დაგვირიგეთ ხოლმე, ბატონებო, რომ მის ფურცლებზე ვიმკითხაოთ: წავა? არ წავა!.. მოვა? არ მოვა!..

**ერთი სიტყვით, აღნიშნულ თემაზე „ალია“ ლადო სადღობელაშვილს დაუკავშირდა:**

**— ლადო, კახი კალაძეს ენერგეტიკის მინისტრად ყოფნისას თუ თვლის უსაქმურად კვირიკაშვილი, პარლამენტში რაღატომ შეიყვანენ? უსაქმური ყველგან უსაქმურია. მახათით ხელში სად იჯდება ადამიანი — სამინისტროში თუ პარლამენტში, რა მნიშვნელობა აქვს?**

– პარლამენტში ის უფრო კრიზისულ მდგომარეობას შექმნის, აბა, ხომ ვერ მოიშორებენ? იყო კულუარებში საუბარი, კალაძეს თბილისის მერის თანამდებობას სთავაზობენო, მაგრამ, როგორც ახლა ბოლო ვარიანტი ირკვევა, ეს ადამიანი ერთვება საარჩევნო გარემოში, პარლამენტისკენ მიილტვის და მინიმუმ, პარლამენტის ვიცე-სპიკერობა სურს. როდესაც ღარიბაშვილი წავიდა და კვირიკაშვილი მოვიდა, აქ ძალიან მარტივად დაიხატა სურათი: ყველა მიხვდა და გასაგები იყო, რომ ახალი პრემიერი უფრო გადართული იქნებოდა ბიზნესზე, ეკონომიკაზე. მე ვსვამ კითხვას: აი, ამ გარემოში, რა მოცემულობითაც მოვიდა ბატონი კვირიკაშვილი, კალაძის ადგილი სად არის? კალაძემ თავისი მოღვაწეობა ამ სამი წლის განმავლობაში დაგვამახსოვრა რითი? – რამდენიმე რაიონის გაზიფიკაცია მოახდინა, მაგრამ ამავდროულად, როდესაც საუბრები შედგა თუნდაც „გაზპრომთან“ მიმართებაში, საზოგადოებამ დღესაც არ იცის ბევრი რამ. ანუ როდესაც კახი კალაძემ სერიოზულ პროექტს მოჰკიდა ხელი, ეს ამბავი ჩაიფარცხა, თემა მოკვდა.

აი, ახლა არის საინტერესო, სინამდვილეში რა იკვეთება, რატომ და როგორ უპირისპირდება კალაძე კვირიკაშვილს? ზოგიერთები საუბრობდნენ ხოლმე იმის კლანზე, ამის კლანზე, კახურ კლანზე... ამ შემთხვევაში კი, როგორც კი იწყებოდა საუბარი კალაძის მიერ შექმნილ კლანზე, მაშინვე მთავრდებოდა ეს თემა. ეტყობა, ამა თუ იმ ჟურნალისტს სხვადასხვა ფორმებით აჩუმებდა ხოლმე ეს პიროვნება და სხვათა შორის, დაშინებებით გაჩუმება უფრო მგონია, იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად, კალაძის მარჯვენა ხელი არის სუს-ის უფროსის პირველი მოადგილე გოგაშვილი, რომელიც უკვე თავხედურად იქცევა, აგერ ჩემი ორგანიზაციის წევრებსაც იბარებს მოდულში და აშინებს, ამაზე ახლა არვისაუბრებ, ამის დროც დადგება!

**— კახი კალაძის ე.წ. კლანზე რა იცი?**

– მას ნახევრად კრიმინალებისგან აქვს დაკომპლექტებული თავისი კლანი. ყველამ ისედაც იცის, რომ ეს პიროვნება ძალიან ახლო ურთიერთობაშია კრიმინალურ წრეებთან, არ ვიცი, ეს სამტრედიიდან გამომდინარეა, თუ იტალიაში რომ მოუწია მოღვაწეობა – იქიდან, მაგრამ კალაძე ძალიან ახლოსაა კრიმინალურ სამყაროსთან, ე.წ. კანონიერ ქურდებთან. სწორედ ასეთი ადამიანების, ასევე, მისი ახლობლების, მეზობლებისგან არის შექმნილი ეს კლანი, რომელიც აკონტროლებს საქართველოში საკმაოდ დიდ ბიზნესებს, დაწყებული არსენალის მთიდან, გაზით, ელექტროენერგიითა და ჰესებით დამთავრებული. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული ბიზნესია, მილიარდები რომ უნდა გადაიხადო, ამ ტიპის ბიზნესებია. შეიძლება უხერხული იყოს, მაგრამ მოდი, პირდაპირ ვთქვათ: დავით მირცხულავა, რომელიც შევარდნაძის დროს ენერგეტიკის მინისტრი იყო, ეს პიროვნება დღეს, თუ არ ვცდები, „როს გაზ“-ში არის ჩართული, კალაძესთან მეტად ახლო ურთიერთობა უჭირავს. არადა, რატომ იჯდა თავის დროზე მირცხულავა ციხეში? თაღლითობის გამო, საქართველოს ჰპარავდა თანხებს, ეს დაუმტკიცეს მაშინ და ჩასვეს ციხეში. ეს პიროვნება დღესდღეობით ისევ ბიზნესშია, კალაძის გვერდზე არიან ასეთი თაღლითი ტიპები, ვინც თავის დროზე საქართველო შეჭამა. ეს ყველაფერი საერთოდ არ ჯდება კვირიკაშვილის მიერ წამოწყებულ მოცემულობებში და მის მიერ გადმოღებულ ლოიალურ პოლიტიკურ სქემაში ამ კლანური მმართველობის ტიპის ადამიანის ადგილი ნამდვილად არ არის.











**— ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა კომენტარი — არ არის გამორიცხული, კახა კალაძეს ენერგეტიკის მინისტრის პოსტის დატოვება და საარჩევნო სიაში მოხვედრა შესთავაზონო, ანუ გამოდის, კალაძის საკითხზე „შიდაპარტიული ჩურჩულები“ მიმდინარეობს?**

– სხვა პარლამენტარებიც და მინისტრებიც საუბრობენ კულუარულად ამაზე, რომ კალაძე უნდა „გაიტისკოს“, რადგან მან უკვე საკმაოზე ბევრი ჭამა. ჩემი ინფორმაციით, ეს პიროვნება უნდა წასულიყო თანამდებობიდან აპრილის ბოლომდე, მაგრამ არ ვიცი, ახლა რა როგორ მოხდება. თუმცა კალაძეს გადაყენება რომ რბილად გამოუვიდეს საზოგადოების თვალში „ქართულ ოცნებას“, ასახელებენ წინასაარჩევნო პერიოდს, თითქოს, ის არჩევნებში ერთვება. არადა სინამდვილეში, კალაძე დღეს „გატისკვის“ რეჟიმშია და იმასაც კი არ გამოვრიცხავ, რომ თავისი ფრაქცია შექმნას, მისი კლანი პარლამენტში გადაიტანოს და იქიდან უკვე „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში წავიდეს, რადგან კალაძეს ძალიან დიდი ამბიციები აქვს. თან ისეთ ადამიანებთან დაიჭირა საქმე, რომლებთანაც არ უნდა დაეჭირა და ამის გამო კალაძე პოლიტიკურად უნდა დაისაჯოს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ინიციატივა საქართველოს ხელში არ დარჩეს“

ექსპერტი მამუკა არეშიძე პრემიერის ინიციატივას იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დიალოგი თბილისში გაიმართოს, დადებითად აფასებს.

არეშიძის განცხადებით, აღნიშნულმა ინიციატივამ რომც არ გამოიტანოს შედეგი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც მთავარი ხელისუფლების პოზიციაა.

– საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანსა და სომხეთს სთავაზობს არა შუამავლის როლს, არამედ, სთავაზობს თბილისს როგორც მოლაპარაკების მოედანს, პლატფორმას, - განაცხადა არეშიძემ.

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ რუსეთი სხვა ქვეყანასთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ინიციატივა საქართველოს ხელში არ დარჩეს.

– რადგანაც სამშვიდობო ტიპის შუამავლობა მსოფლიოში მნიშვნელოვანია, სხვებიც მოინდომებენ იმავე ფუნქციის შესრულებას. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია მისასალმებია. ხოლო ამ ინიციატივის სტრასბურგიდან გაჟღერება დამატებით მნიშვნელობას იძენს, - აღნიშნა მამუკა არეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ სტრასბურგიდან გიორგი კვირიკაშვილმა აზერბაიჯანს და სომხეთს მოლაპარაკებების საქართველოში გამართვა შესთავაზა. (pia.ge)

# „მათ დაკარგეს პოზიციები უკრაინაში და მოდიან საქართველოსკენ“ — ნიკოლოზ მჟავანაძე სააკაშვილის გეგმებზე



– უკრაინაში მიხვდნენ, რომ სააკაშვილთან და მის გუნდთან ურთიერთობა არ შეიძლება, - აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციაში შესაძლო გადასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება. როგორც მჟავანაძე აცხადებს, თანამდებობებს პოროშენკოსთან დაპირისპირებული სააკაშვილის გუნდის წევრებიც დატოვებენ.

– პოროშენკოს, რომლის დახმარებითაც სააკაშვილი გადაბარგდა უკრაინაში, ბოლოს თავად დაუპირისპირდა. აქედან გამომდინარე, უკრაინელებს სააკაშვილის გუნდის წევრების მიმართ ნდობა ვერ ექნებოდათ. სწორედ ამიტომ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირები: ზღულაძე, დეკანოიძე დატოვებენ თანამდებობებს, საყვარელიძე კი უკვე გაათავისუფლეს. კვიტაშვილი საერთოდ გაემიჯნა და თქვა, არ ვარ სააკაშვილის გუნდის წევრიო. სააკაშვილი არის ადამიანი, რომელიც ყველასთან კონფლიქტშია: ოდესის მერთან, პოროშენკოსთან. დიდი ხანია ანონსდება, რომ უკრაინის პრეზიდენტი მას გაათავისუფლებს ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან და ეს მალე მოხდება. სააკაშვილის გუნდის წევრებიც უკლებლივ ყველა დატოვებს თანამდებობას, - ამბობს მჟავანაძე.

მისი თქმით, ყოფილი პრეზიდენტისა და მისი გუნდის წევრების ყურადღება ახლა საქართველოსკენ არის მომართული.

– ახლა მათ სრული კონცენტრაცია აქვთ საქართველოსკენ. მიმდინარეობს დიდი თანხების მობილიზება, რომ საქართველოში „მაიდანი“ მოაწყონ არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე. მათ თქვეს კიდეც, NDI-ის კვლევის შედეგები თუ არ დაემთხვევა ცესკო-ს შედეგებს, დავიწყებთ წინასარევოლუციო ფონის შექმნასო. მათ დაკარგეს ყველა პოზიცია უკრაინაში და მოდიან საქართველოსკენ, რომ დაიბრუნონ სადავეები, რომელიც ჰქონდათ 2012 წლამდე, - აცხადებს მჟავანაძე.

მოახერხებს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოების თანადგომის მოპოვებას იმ პროცესებში, რაც მათ გეგმებშია, მჟავანაძე პასუხობს:

– საზოგადოების თანადგომა მათ არც 2003 წელს ჰქონდათ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, თანხების მობილიზებით, სოროსის დახმარებით მოახერხეს შევარდნაძის ჩამოცილება. ფული ისეთი რამეა, რომ ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია, ამიტომ მათ ახლა თანხებზე აქვთ აქცენტი, რომ დარიგებული თანხებით გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში. მაქვს ინფომაცია, რომ 20-30 მილიონის მობილიზებას აპირებენ წინასაარჩევნოდ, რომ ეს ფული გადანაწილდეს მედიაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომ მერე მთელი შტურმით წავიდნენ ხელისუფლებისკენ, - განაცხადა მჟავანაძემ. (რეპორტიორი)

## „ჯარში სავალდებულო გაწვევა 2017 წლიდან აღარ გვექნება“



თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, მისი გადაწყვეტილებაა, რომ 2017 წლიდან ჯარში სავალდებულო გაწვევა აღარ იყოს.

– თუ ამ უწყებაში სხვა ხელმძღვანელი მოვიდა, ბუნებრივია, რომ ეს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს განსხვავებული, - განაცხადა ხიდაშელმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში.

მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროში ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ამას ახლა საკანონმდებლო მხარდაჭერა სჭირდება.

– თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამით პროცესი მთავრდება და ჩვენი ამოცანაა, რომ 2017 წლიდან ნებაყოფლობითი გაწვევის სისტემის ამოქმედება დავიწყოთ. ეს სისტემა ნატოს წევრ ბევრ ქვეყანაში მოქმედებს, რომელიც გაცილებით უფრო ეფექტიანია და მაღალი შედეგის მომტანი, - აღნიშნა ხიდაშელმა. (pia.ge)

## იენს სტოლტენბერგი: ნატოს რუსეთთან პოლიტიკური დიალოგი სურს



ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალიანსი რუსეთთან ღია პოლიტიკური დიალოგის შენარჩუნებით დაინტერესებულია, თუმცა ეს მოსკოვთან ძველი ურთიერთობის დაბრუნებას არ გულისხმობს.

აღნიშნულის შესახებ იენს სტოლტენბერგმა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

– ყველანი ვთანხმდებით, რომ ჩვენი ინტერესი ღია პოლიტიკური დიალოგის შენარჩუნებაა, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

მისი განმარტებით, რუსეთთან პოლიტიკური დიალოგისთვის ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის აღდგენაა საჭირო.

– სხდომის განახლება არ ნიშნავს, რომ ნატო და რუსეთი პრაქტიკულ თანამშრომლობას დაუბრუნდებიან. ეს იქამდე არ მოხდება, ვიდრე რუსეთი საერთაშორისო ვალდებულებებს არ შეასრულებს, - აცხადებს ნატოს გენერალური მდივანი.

მანამდე, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ „ნატო-რუსეთის ურთიერთობები აუცილებლად გადარჩება", მაგრამ რუსეთისა და ნატოს ურთიერთობაში ნდობის დეფიციტია. პუტინის პრესმდივანი რუსეთის საზღვრებთან ნატოს პოტენციალის გაზრდას არამეგობრულ ნაბიჯად აფასებს და აცხადებს, რომ მსგავსი ქმედებები საფრთხეს უქმნის რუსეთის ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებას. (ipress.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





# თაღლითების თავშესაფარი გახდა პოლიტიკა და ვისაც გრძელი ენა, მოკლე ჭკუა და ფულის გამოძალვის ნიჭი აქვს, თითქმის ყველა პოლიტიკაში მიექანება

## რას აპირებს ხელისუფლებისგან „გადაგდებული“ ინტერპარტიული ჯგუფი?

გერმანელ ფილოსოფოს იმანუელ კანტს რომ დღევანდელი დეგრადირებული ქართული პოლიტიკა ენახა, აუცილებლად ასე დაწერდა: „ორი რამ მაოცებს ამ ქვეყანაზე – ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ქართველ პოლიტიკოსებში...“ თუმცა ჩვენ საქმე გვაქვს მუტანტებთან, ახალი ჯიშის პოლიტიკურ არსებებთან, რომლებიც პოლიტიკურ ცხოველებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ადამიანებს, პოლიტიკა – საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს და არა მონათმფლობელობას და ხალხის ხარჯზე ტაშ-ფანდურს და ფულის შოვნას. თაღლითების თავშესაფარი გახდა პოლიტიკა და ვისაც გრძელი ენა, მოკლე ჭკუა და ფულის გამოძალვის ნიჭი აქვს, თითქმის ყველა პოლიტიკაში მიექანება. რა თქმა უნდა, ეს უკლებლივ ყველა პარტიას არ ეხება, მაგრამ ძნელია, გამოვყო რომელიმე, ვინც მართლა თავგანწირვით იბრძვის იდეალებისთვის.

მოკლედ, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა წალეკა ბევრი პოლიტიკური სუბიექტი. ვინც მიშას „ტრუსიკი“, „პრეზერვატივი“ თუ ყელსაბამი გახდა, თავი გადაირჩინა და კარგად „მოძოვა“ ჩვენი ფულით დაფინანსებული ბიუჯეტი, რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე პარტიამ ივარგა და ბევრიც კიკუსავით გაიყიდა. ჰოდა, მე არ მჯერა ინტერპარტიული ჯგუფის და მასში შემავალი პარტიების დიდი ნაწილის, ისედაც ბევრი გიჟია ამ პარლამენტში და თქვენ წარმოიდგინეთ, თუკი ხელისუფლება დაჰყვა ინტერპარტიული ჯგუფის ნებას და საარჩევნო ბარიერი 2 ან 3%-მდე დაწია, რა მოხდება მერე?! მოხდება ის, რომ ჩვენ უნდა ვარჩინოთ ძირგამომპალი, ვადაგასული „საქონელი“, სახელად პოლიტიკოსები.

ინტერპარტიულ ჯგუფში 12 არასაპარლამენტო პარტიაა გაერთიანებული, აბა, როგორ დაგვავიწყდება ზოგიერთი მათი „ღვაწლი“, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, თუმცა პოლიტიკა უძველეს პროფესიასაც უსწრებს და დრომ მოიტანა, რომ მეძავებს გადაუშხუილეს, ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები ახლა ერთად სხედან და „მოსათხოვს“ ითხოვენ: 1. „ახალი მემარჯვენეები“ – მამუკა კაციტაძე, მერყევი „ვანკა-ვსტანკა“; 2. „გაერთიანებული დემოკრატები“ – ნინო ბურჯანაძე, „პუტინა“-დ მონათლული; 3. „ევროპელი დემოკრატებ“ი – ზაზა დავითაია, მიხეილ სააკაშვილის „ტრუსიკობაში“ ეჭვმიტანილი; 4. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – ბაჩუკი ქარდავა, სააკაშვილის პროექტად მონათლული; 5. „თავისუფლება“ – კოკო გამსახურდია, „ქინძის“, ანუ „სააკაშვილის მართულ ანძად“ მონათლული; 6. „თავისუფალი საქართველო“ – კახა კუკავა, პროკურორობისთვის მებრძოლი, ამჯერად ჩემი რესპონდენტი; 7. „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – 2013 წელს შეიქმნა, მათი მიზნები უცნობია; 8. „ტრადიციონალისტთა კავშირი“ – აკაკი ასათიანი, ათას პარტიაზე გადამხტარი და ჩრდილოეთზე შეყვარებული ინტელექტუალი; 9. „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“ – ზურაბ ხარატიშვილი, როგორც პოლიტიკიდან აორთქლებული კობა დავითაშვილი იტყოდა: „ბატონი ხარატიშვილი ერთგულად ემსახურებოდა რეჟიმს და ერთგულად აყალბებდა არჩევნებს. ყველა არჩევნები, რომელსაც ის ატარებდა, გაყალბებულია. სწორედ აქედან გამომდინარეა მისი ადგილი ციხეში“; 10. „ლეიბორისტული პარტია“ – შალვა ნათელაშვილი, უბრალოდ, ტაკიმასხარა, არასერიოზული, უპრინციპო და უზრდელი პოლიტიკოსი, მისი ფრაზებია: „ჰიტლერს რომ „რუსთავი 2“ ჰქონოდა, მსოფლიო ვერ გაიგებდა, რომ გერმანიამ ომი წააგო“... „რუსთავი 2“-ზე ახლა შალვა „ბლატაობს“, გამოდის, რომ შალვა მიშას „ჯოკერია“; 11. „რეფორმატორები“ – ირაკლი ღლონტი, „ნაცებთან“ კუსკუსში ეჭვმიტანილი და 12. „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ – გოჩა ჯოჯუა, ამათზე თევზმა თქვა, პირი წყლით მაქვს სავსე და ვერ ვილაპარაკებო...

ახლა ისიც ვთქვათ, ამათ რა უნდათ: საარჩევნო კოდექსის რეფორმა და ჩიტის რძე, ერთი მეორესთანაა მიბმული და რაც მეტს იყვირებენ, შეიძლება მით მეტის მიღების იმედი აქვთ. ეს „ნიჩურტა“ ხალხი თავის დროზე სააკაშვილისგან ითხოვდა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების გატარებას, „რვიანის“ ფორმატიდან, „ექვსიანზე“ დაეშვნენ და ბოლოს, როგორც ითქვა, გაიყიდნენ. ამ „რვიანელების“ ნაწილი დღეს პარლამენტშია და არ აპირებს კოდექსში იმის დათმობას, რაზეც თავის დროზე მიშას უკიოდნენ და ეღრიჯებოდნენ.

**ვინც მიშას „ტრუსიკი“, „პრეზერვატივი“ თუ ყელსაბამი გახდა, თავი გადაირჩინა და კარგად „მოძოვა“ ჩვენი ფულით დაფინანსებული ბიუჯეტი, რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე პარტიამ ივარგა და ბევრიც კიკუსავით გაიყიდა. ჰოდა, მე არ მჯერა ინტერპარტიული ჯგუფის და მასში შემავალი პარტიების დიდი ნაწილის, ისედაც ბევრი გიჟია ამ პარლამენტში**

ერთ-ერთი ინფორმაციით, ჯონდი ბაღათურიასა და ნათელაშვილს გაქცეული ხალხით შექმნილ „მემარცხენე ალიანსს“, რომლებიც ინტერპარტიული ჯგუფის წევრები არ არიან, კარგად უვაჭრია ხელისუფლებასთან და ნადავლიც წამოუღია – 100 000 ლარი თითო პარტიას, მაგრამ სხვებმა „ტორმუზის“ პედალს ფეხი მიაჭირეს და უარი განაცხადეს, ამ ფულს არ ავიღებთ და ვინც ამას გაბედავს, თითებს დავაჭრითო. წარმოიდგინეთ, 100 ათასის ნაცვლად, ბიძინას ხელისუფლებას რომ ამათთვის 100 მილიონი გადაეხადა, ხომ ვნახავდით ზოგიერთებს შარვალჩახდილებს... – გვიხმარეთ, თქვენი ვართო... ფულის „სტანოკზე“ შემოსკუპებულებს, თამასის აწევის იმედი აქვთ.

ძალიან გამკვირვებია „პატრიოტა ალიანსის“ ლიდერის, ირმა ინაშვილის, რომელიც ზემოჩამოთვლილ პარტიებთან ერთად გაერთიანებას და არჩევნებზე გასვლას გეგმავს. ვინც სააკაშვილთან კავშირში შემჩნეული არ არის, გასაგებია, მაგრამ ყველასთან გაერთიანება?.. აი, რას აცხადებს ინაშვილი: „ჩამოვაყალიბეთ ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო, რომლის მთავარი მიზანია, გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა, ვიმოქმედოთ ერთობლივად, როგორც წინასაარჩევნო პროცესში, ისე არჩევნების დღეს. ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც საპროტესტო აქციების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით, ჩვენ ვიმოქმედებთ წინასაარჩევნო პროცესზე მონიტორინგის კუთხით. რაც შეეხება ბლოკის ფორმირებას, საარჩევნო კოალიციების ფორმირებას, ჩვენ გვიწერია დებულებაში, რომ ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, არანაირად არ გამოვრიცხავთ იმას, რომ გაერთიანებული ძალებით წარდგეს ოპოზიცია ამ არჩევნებში“... არარეალური იდეა როგორ შეიძლება გახდეს რეალური, ეს მართლაც საინტერესოა, თუმცა, როგორც კულუარებიდან გვიყვებიან, ინაშვილი ორი თვეა, ამას ამბობს და ვერ გვიკონკრეტებს დეტალებს, ბოლომდე არ აქვს ჩამოყალიბებული ის გეგმა, რაზეც საუბრობს და თვითონაც კარგად იცის, რომ ეს არ მოხდებაო.

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, „ალიას“ კითხვაზე, რა გეგმა აქვს შემუშავებული ინტერპარტიულ ჯგუფს, აცხადებს:**

– ჯერჯერობით მკაფიო გეგმა შემუშავებული არ არის და არც საბოლოო ერთიანობაა მიღწეული. „თავისუფალი საქართველო“ შარშან ზაფხულიდან მოყოლებული ინტენსიური კონსულტაციების რეჟიმში ვიყავით, პირადად მე მზად ვიყავი, რომ დაგვეწყო აქტიური მუშაობა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, მათ შორის ვითხოვდი საპროტესტო აქციებსაც, საერთაშორისო დონეზე აქტივობას და ა.შ. პრაქტიკულად ვერ დავინახე შემხვედრი სურვილი პარტნიორი პარტიების მხრიდან, ლაპარაკის დონეზე ყველა თანახმაა მწვავე მოქმედებებზე, მაგრამ, როგორც კი კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვას ვიწყებდით, იქნებოდა ეს საპროტესტო აქცია თუ ასე შემდეგ, არაერთხელ ჩაიშალა ჩვენი ინიციატივა.

**— ამის მიზეზი ხელისუფლებასთან ზოგიერთი პარტიის კეკლუცობა ხომ არ არის?**

– რა თქმა უნდა, არიან პარტიები, რომლებსაც არ დაუმალავთ, რომ ისინი ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ. კონკრეტულ პარტიებს არ დავასახელებ, ვინც უარს ამბობდა, შემიძლია გითხარათ, რომ მეტ-ნაკლებად ყველას ეხება ეს საკითხი, ერთიანი მოქმედების გეგმაც კი წარვადგინე, მაგრამ უარი მივიღე. მე კიდევ სხვა მიზეზს ვხედავ, რის გამოც მთელი რიგი პარტიები ამ კამპანიისგან თავს იკავებენ, ყველა ფიქრობს, თუკი ფართომასშტაბიანი აქციები დაიწყო, შეიძლება ამან ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღოს და ვხედავ ერთგვარ ეჭვიანობას, არავის არ უნდა, რომ ეს გაკეთდეს ერთობლივ ფორმატში, რადგან ეშინიათ, რომ შეიძლება ამით სხვებმა მიიღონ დივიდენდები, განსაკუთრებით ე.წ. კვალიფიციური პარტიები, რომლებიც ფიქრობენ, რომ დამოუკიდებლად გადალახავენ 5%-იან ბარიერს, განსაკუთრებით ისინი ცდილობენ, რომ ინტერპარტიული ჯგუფის ფორმატი იყოს პასიური, რადგან ფიქრობენ, ჩვენ მაინც გავდივართ პარლამენტში 5 პროცენტით და რაღად გვინდა ფართომასშტაბიანი აქციები, რომლის შედეგადაც შესაძლოა, სხვა პოლიტიკურმა ძალამ მიიღოს დივიდენდები. მგონია, რომ ეს არის წამყვანი მიზეზი, რის გამოც თავს იკავებენ მთელი რიგი პარტიები ფართომასშტაბიანი აქციებისგან.

**— ინტერპარტიულ ჯგუფში გაუგებრობა გააჩინა ხელისუფლების პოზიციამ, რომ ისინი მზად არიან, პარტიები დააფინანსონ, ვისი მოთხოვნა იყო დაფინანსება?**

– ჩვენი მთავარი მოთხოვნაა მაჟორიტარული სისტემის გაუქმება, რაც შეეხება საარჩევნო ბარიერის 2 პროცენტამდე დაწევას, ეს არ გახლავთ ჩვენი ძირითადი მოთხოვნა, ეს არის ხელისუფლების მიერ გახმოვანებული თემა. ამის გარდა, გაახმოვანა თემა, რომელიც საერთოდ არ იყო ჩვენს მოთხოვნაში. ვგულისხმობ დაფინანსებას. არადა ეს ინტერპარტიული ჯგუფის მოთხოვნათა 5 პუნქტში საერთოდ არ არის. ჩემი ინფორმაციით, ხელისუფლებას, ინტერპარტიული ჯგუფის გარდა, მოლაპარაკა კიდევ ორ პარტიასთან ჰქონდა, რომლებიც არ არიან ჩვენი წევრები და მათ წაუყენეს დაფინანსების საკითხი. ვირეშმაკური კომენტარები გაკეთდა ამის შესახებ. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მზად არის, დააფინანსოს პარტიები, თითქოს ინტერპარტიულმა ჯგუფმა წაუყენა მოთხოვნა 100 000 ლარით დაფინანსების თაობაზე. ნაგლობასაც აქვს საზღვარი! ვინც ფული სთხოვა ხელისუფლებას, იმ პარტიებს ელაპარაკონ ფულზე, ჩვენ კი – საარჩევნო გარემოს შეცვლაზე!

**— თუკი ინტერპარტიული ჯგუფის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს ხელისუფლება, „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დაანონსებულ შიმშილობის აქციებს შეუერთდებით?**

– დიდი ხანია ველოდები, როდის დაიწყება შიმშილობის აქცია და აუცილებლად შევუერთდები!

## საქართველოში მიწისძვრა მოხდა



საქართველოში 2,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, ეპიცენტრი თბილისიდან — 25 კილომეტრში, ქალაქ თეთრიწყაროს ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ გოხნარში დაფიქსირდა.

ნგრევისა და ზარალის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. (pia.ge)

## ბათუმში წლევანდელ სეზონზე ფასები შესაძლოა, გასამმაგდეს



„საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი წლევანდელ სეზონზე ბათუმში ტურისტების ბუმს ელოდება. თუმცა, ოსმან ჩალიშქანი ეჭვქვეშ აყენებს საკითხს, რამდენად არის მზად აჭარა ტურისტების მისაღებად და მათ დასაკმაყოფილებლად.

მისი თქმით, წელს 2 რამის ეშინია — მომსახურების დაბალი ხარისხის და გასამმაგებული ფასების. ჩალიშქანი ამბობს, რომ ამ მიზეზების გამო ტურისტები მომდევნო წელს უბრალოდ აღარ ჩამოვლენ და სხვა მიმართულებას აირჩევენ. ჩალიშქანი წლევანდელ ზაფხულში რუსი ტურისტების მოზღვავებას ელოდება.

– არ უნდა გასამმაგდეს ფასები. მე მესმის მოსახლეობის, რომ სეზონი სულ 2 თვეა და ამ თანხით მათ მთელი ზამთარი უნდა არჩინონ ოჯახები, მაგრამ თუ ფასი იქნება სამმაგი, ის ადამიანები მეორე წელს აღარ ჩამოვლენ, - აცხადებს ოსმან ჩალიშქანი.

რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ტურიზმის სექტორში მომუშავე კომპანიებს ფასების დაწესებისას სიფრთხილისკენ მოუწოდა.

– მინდა ტურიზმის სექტორს მოვუწოდო, რომ ძალიან ფრთხილები იყვნენ ფასებთან მიმართებაში, რადგან მეზობლად გვყავს არაერთი კონკურენტი ქვეყანა. შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს, რომ ფასისა და სერვისის შესაბამისობა არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ არ დავკარგოთ ტურისტები. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ არაერთ ავიაკომპანიასთან, რომ რაც შეიძლება მეტი სტუმარი შემოვიყვანოთ და რაც შეიძლება იაფი ღირდეს ბილეთი, — განაცხადა ვიცეპრემიერმა.

ქუმსიშვილი წელს ტურიზმიდან შემოსავლების ზრდას ელის. შეგახსენებთ, ამ სექტორიდან ქვეყანამ 2015 წელს 1,9 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. წლიური ზრდა 148 მილიონი იყო. (commersant.ge)

## თბილისში რძალ-დედამთილის ცხედრები იპოვეს




ამაღლების ქუჩაზე ორი ქალის ცხედარი იპოვეს. წინასწარი ვერსიით, რძალ-დედამთილი ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად გაიგუდნენ.

ცხედრები მეზობლებმა იპოვეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## რუსეთის სავაჭრო ინდექსები ვარდნას განაგრძობს



დოჰაში კვირას გამართული ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შეხვედრის უშედეგოდ დასრულების შემდეგ, მსოფლიოს ბირჟებზე რუსულმა სავაჭრო ინდექსებმა ვარდნა განიცადა. ასევე, დაეცა ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსი.

რუსეთის სავაჭრო ინდექსი RTSI 2,4 პროცენტით შემცირდა და ღირებულების 4,3 პროცენტი დაკარგა, ხოლო კიდევ ერთმა მსხვილმა რუსულმა ინდექსმა MICEX-მა 1,97 პროცენტიანი ვარდნა განიცდა.

რაც შეეხება რუბლს, ის 1 პროცენტით გაუფასურდა ამერიკულ დოლართან მიმართებაში, ეს მაშინ, როდესაც ერთი დღით ადრე მან ერთგვარი „აღდგენა" დაიწყო.

შეგახსენებთ, დოჰაში გამართულ შეხვედრაზე ნავთობმწარმოებლები ნავთობზე ფასის ზრდის მიზნით, „შავი ოქროს" მოპოვების დროებით გაყინვაზე უნდა შეთანხმებულიყვნენ, თუმცა ოპეკის წევრი ზოგიერთი ქვეყნის მოულოდნელი გადაწყვეტილების გამო, შეთანხმება ვერ შედგა.

შეთანხმების მიღწევას ხელი შეუშალა საუდის არაბეთსა და ირანს შორის დაძაბულობამ.

„ბიბისის" ინფორმაციით, ირანი შეხვედრას არ დასწრებია. თავის მხრივ, საუდის არაბეთი, მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობექსპორტიორი, იმ შემთხვევაში აცხადებდა თანხმობას ნავთობის მოპოვების გაყინვაზე, თუ ოპეკის ყველა წევრი, მათ შორის ირანიც, გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერდა.

ირანმა კი განაცხადა, რომ „გაყინვაზე" მოლაპარაკებებს მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდება, რაც ნავთობის მოპოვების სანქციებამდე არსებულ ნიშნულს - დღეში 4 მილიონ ბარელს დაუბრუნდება. (bpn.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



„მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების" ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე ხელისუფლებას კარანტინის გამოცხადების თხოვნით მიმართავს.

მისი განცხადებით, რეგიონში გავრცელებულია საკმაოდ მავნებელი მწერი „ბზის ალურა", რომელიც აღნიშნულ მცენარეს ანადგურებს და ვინაიდან ერთ-ერთი უდიდესი მართლმადიდებლური დღესასწაული – ბზობა უკვე კარსაა მომდგარი, შესაძლოა, „ბზის ალურა" ჩვენს ოჯახებშიც შემოვიტანოთ ძალაუნებურად.

# ბზას რომ იყიდით, კარგად დააკვირდით, შეიძლება სახლში მავნებელი მწერები შეიტანოთ





**რა სახის საკარანტინო ღონისძიებები უნდა გატარდეს აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ? ერჩის თუ არა ის ადამიანებს და სხვა რა სახის ზიანის მიყენება შეუძლია?**

„ალიას" ნინო ჩხობაძე ესაუბრა:

– ეს არის ტყის მავნებელი, რომელიც შემოვიდა სოჭის ოლიმპიადის დროს კავკასიაში. პრინციპში, მანამდეც გავრცელებული იყო ევროპაში. ფიქსირდებოდა 2012-2014 წლებში და შესწავლილი იყო საქართველოს მხრიდან ფლეგის პროექტის მიხედვით, დაიდო დასკვნები... ბზის ალურა წელს ძალიან გავრცელებულია. ეს მწერი, ფაქტობრივად, მთელ ბზას ჭამს, რაც მწვანე აქვს და ძალიან გავრცელებულია აფხაზეთსა და სამეგრელოს რეგიონში. უკვე გამოჩნდა კახეთის ზონაში, მაგალითად, გურჯაანში. უბრალოდ, იქ მასიურად არ არის, იქ არც გვაქვს მასიური ბუნებრივი კორონები.

**— თქვენ ხელისუფლებას მოუწოდეთ, კარანტინი გამოაცხადოს. ასე საგანგაშოდაა საქმე?**

– ჩვენ ვამბობთ, რომ მნიშვნელოვანია, გატარდეს საკარანტინო ღონისძიებები, თუნდაც იმ პერიოდში, როცა ბზობაა და სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს ამ ტიპის ღონისძიებები ჩატარებული.

**— თქვენ, ასევე, განაცხადეთ, კარგი იქნება, თუ ეს მწერი ოჯახში არ შეაღწევსო. თუ შეაღწია, რა უნდა ქნას ადამიანმა ასეთ დროს?**

– ფიზიკურად უნდა მოაცილოს მწერი ბზას, კარგად დააკვირდნენ ტოტებს, რომელსაც იყიდიან.

**— რისი დაზიანება შეუძლია ოჯახში?**

– პირველ რიგში, რა სასიამოვნოა, როცა მწერი დაცოცავს, ყველაფერს ჭამს და დაფრინავს? მეორე მომენტია, რომ არავინ იცის, როგორ მოიქცევა, რადგან მისი ბიოლოგია ბოლომდე შესწავლილი არ არის. სხვათა შორის, ჩვენამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ, მაგალითად, აფხაზეთში ეს მწერი პალმებზეც გამოჩნდა, ამიტომ არავინ იცის, კიდევ რას გააკეთებს.

**— ადამიანებს თუ ერჩის?**

– არა, რა თქმა უნდა, მწერია და როგორ ერჩის (იცინის)?

**— სხვა მწერები თუ ერჩიან ადამიანებს, მგონი, ჩემი ეს კითხვაც ლოგიკურია ამ შემთხვევაში.**

– ხო, მაგრამ მწერია, პეპელაა... მოსახლეობას შეუძლია, შეწამვლებიც გააკეთოს, ოღონდ ქიმიური საშუალებები ცოტა სახიფათოა, მე რომ მკითხოთ, მაგრამ მაინც შეიძლება, რომ გააკეთონ, რადგან ამ მწერს კარგად კლავს.

**— ბზობა, ფაქტობრივად, რამდენიმე დღეშია და როგორ ფიქრობთ, დარჩენილ პერიოდში ხელისუფლება მოასწრებს საკარანტინო ღონისძიებების გატარებას?**

– საკარანტინო ღონისძიებები, ამ შემთხვევაში, ძალიან მარტივი უნდა იყოს, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, არ გადავიტანოთ ბზა ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში, მოსახლეობა ადგილზე დააკვირდეს მცენარეს, მექანიკურად მოაცილონ მას მწერი და ა.შ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რეგიონში საქართველო ლიდერობს



საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" 2016 წლის პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველომ 180-დან 64-ე ადგილი დაიკავა.

ანგარიშის თანახმად, შარშანდელთან შედარებით,საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა, რადგან 2015 წელს ორგანიზაციამ საქართველოს 69-ე ადგილი მიანიჭა.

პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რეგიონში საქართველო კვლავ ლიდერია. რეიტინგის თანახმად, სომხეთი 74-ე, უკრაინა 107-ე, რუსეთი 148-ე, აზერბაიჯანი კი 163-ე ადგილებზე დასახელდნენ. 77-ე ადგილზეა მოლდოვა, თურქეთმა კი 151-ე ადგილი დაიკავა.

საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით უსწრებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს - უნგრეთს (67), იტალიას (77), საბერძნეთს (89) და ბულგარეთს (113).

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ინდექსის მიხედვით, საქართველოს პრესის თავისუფლების მაჩვენებელი 2012 წლის შემდეგ 36 პუნქტით გაუმჯობესდა.

2012 წელს საქართველო მე-100 ადგილზე დასახელდა, 2013 წელს 84-ე ადგილზე იყო, 2014 წელს - 69-ე, 2015 წელს კი 64-ე ადგილი დაიკავა.

2016 წლის ანგარიშში, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში მედიის მესაკუთრეობის კუთხით გამჭვირვალე სიტუაციაა, სატელიტური ტელევიზიები კი პლურალიზმს უზრუნველყოფს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ასეთ მყიფე ერთობაში ჩვენ მონაწილეობას არ ვაპირებთ" - „მემარჯვენეები" „პატრიოტთა ალიანსთან" არ გაერთიანდებიან



„ახალი მემარჯვენეები" საკოორდინაციო საბჭოს შექმნას საჭიროდ არ მიიჩნევენ. პარტიის ერთერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია აცხადებს, რომ კონკრეტულ საარჩევნო საკითხებზე სამსჯელოდ უკვე არსებობს ინტერპარტიული ჯგუფი.

ნაჭყებია ინტერპარტიული ჯგუფის წევრთა უმრავლესობისა და „პატრიოტთა ალიანსის" მიერ საკოორდინაციო საბჭოს შექმნას გამოეხმაურა. ამასთან, შეგახსენებთ, „ევროპელი დემოკრატები" ალიანსთან საარჩევნო ბლოკში გაერთიანებასაც არ გამორიცხავენ.

– ჩვენ გვაქვს ინტერპარტიული ჯგუფი, რომელშიც წყდება ის საკითხები, რომლებიც „ახალ მემარჯვენეებს" მიგვაჩნია, რომ უკავშირდება საარჩევნო გარემოს შეცვლას ქვეყანაში და ეს არის კოორდინაციის საუკეთესო საშუალება. სიმართლე გითხრათ, კიდევ, ცალკე საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის საჭიროებას ვერ ვხედავ.

თუ ეს ჯგუფი ფიქრობს იმაზე, რომ შემდეგ გარდაიქმნას ბლოკად, ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა. ჩვენ არ ვფიქრობთ ამ ბლოკში შესვლას და შესაბამისად, „ახალი მემარჯვენეები" ამ სტრუქტურაში არ ვმონაწილეობთ, - განაცხადა ნაჭყებიამ.

კითხვაზე, საარჩევნო ბლოკზე უარის თქმა უკავშირდება თუ არა „პატრიოტთა ალიანსის" იდეოლოგიას, ნაჭყებია აცხადებს, - „ზოგადად, ასეთი ჭრელი ჯგუფის შექმნა არის ჩვენთვის მიუღებელი. ჩვენ უკვე გვაქვს ამის გამოცდილება - როდესაც ასეთი ჯგუფი იქმნება, როგორ მთავრდება ეს ყველაფერი. ამიტომ, როდესაც ბევრი დეტალი გაურკვეველია, ბუნებრივია, ასეთ მყიფე ერთობაში ჩვენ მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებთ". (news.ge)

## შალვა ხაჭაპურიძე: თუ უკრაინის ხელისუფლება არ აღმოჩნდება დოყლაპია, სააკაშვილი ძალიან ცუდად დაამთავრებს!



ოპოზიციაში გადასვლა და უკრაინის ხელისუფლების დადანაშაულება კორუფციაში - ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ეს ის სქემაა, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოში მოქმედებდა 2003 წელს და რომელი სქემითაც ის ახლა უკრაინაში მოქმედებას აპირებს.

– ამ სქემაზე მან კვესიტაძის გადაცემაში ისაუბრა კიდეც და თქვა, რომ ეს მისი ნაცადი ხერხია. ის იყო იუსტიციის მინისტრი, მერე წავიდა შევარდნაძის ხელისუფლების ოპოზიციაში და მოაწყო რევოლუცია. ეს მოდელი გასაგებია და ამას არაერთ ინტერვიუში ვამბობდი კიდეც, რომ რა თანამდებობაც არ უნდა მიეცათ სააკაშვილისთვის, ის შეეცდებოდა პოპულისტური მეთოდებით რეიტინგი აეწია და მერე ოპოზიციაში წასულიყო. როგორც ჩანს, მას ამ მეთოდის განმეორება უნდა უკრაინაში, რაც საქართელოში თავის დროზე გააკეთა. ყველაფერი დამოკიდებულია უკრაინის ხელისუფლებაზე; თუ უკრაინის ხელისუფლება არ იქნება დოყლაპია, მაშინ სააკაშვილი და მისი გუნდი ძალიან ცუდად დაამთავრებს. თუ უკრაინის ხელისუფლება არ მიიღებს შესაბამის ზომებს, მიიღებს იმას, რაც მოხდა საქართველოში 2003 წელს, - აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე. (რეპორტიორი)

## გუბაზ სანიკიძე: გამოვრიცხავთ ბურჯანაძესთან თანამშრომლობას



„გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან" თანამშრომლობას გამორიცხავს „ეროვნული ფორუმი". როგორც ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" წევრმა გუბაზ სანიკიძე აცხადებს, პარტია, ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს.

– რაც შეეხება ჩვენს გაერთიანებას, საერთო სიას, კოალიციას თუ ბლოკს ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, ეს არ შედის ჩვენს გეგმებში და ისევ ვიმეორებ, პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებით, „ფორუმი" არჩევნებში მონაწილეობას აპირებს დამოუკიდებლად, - განაცხადა სანიკიძემ.

დეპუტატი კოლიციის დაშლის საკითხსაც შეეხეო და განაცხადა, რომ მისი პარტია მმართველი კოალიციის დაშლის მიზეზი არ გამხდარა.

– „ფორუმი" არ იყო ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა კოალიციის დაშლის მცდელობები. ჩვენს გამო კოალიცია არ დაშლილა, თუმცა, ჩვენ მზად ვიყავით კოალიციის დაშლისთვის, - განაცხადა სანიკიძემ.

რასაც შეეხება „ეროვნული ფორუმის" საარჩევნო სიას, სანიკიძის ინფორმაციით, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, ვინ იქნება სიაში, გარდა იმისა, რომ სიის პირველი ნომერი იქნება კახაბერ შარტავა. (რეპორტიორი)

## სახელმწიფო შესყიდვების წესი იცვლება — კომპანიებისთვის კონკურენტების შეთავაზებებთან წვდომა იზღუდება

აქამდე, შესყიდვების სააგენტოს ვებვერდზე ტენდერის მიმდინარეობა ღია იყო, რაც კონკურენტ კომპანიებს ერთმანეთის შეთავაზებების შესწავლის საშუალებას აძლევდა. თუმცა ირკვევა, რომ შესყიდვების სისტემა დაიხურება, ხოლო ტენდერის დასრულების შემდეგ მხოლოდ გამარჯვებულის წინადადება გამოჩნდება.

ბიზნეს-ასოციაციის ანალიტიკური მიმართულების ხელმძღვანელი ნიკა ნანუაშვილი ამბობს, რომ შესყიდვების სააგენტოს მთლიანობაში სწორი მიდგომა აქვს, თუმცა სანამ სიახლეების პაკეტის დეტალური გაანალიზება არ მოხდება, რთულია შეფასდეს, რას მოუტანს ცვლილებები ბაზარს. ამასთან, ნანუაშვილი ამბობს, რომ კომპანიებს აღარ ექნებათ ცდუნება, არარეალურ დაბალ ფასად მოიგონ ტენდერი და აჰყვნენ აზარტს. მისივე თქმით, კომპანიებს მიეცემათ საშუალება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საფასო სისტემა და ერთმანეთზე არ იყვნენ დამოკიდებული.

რაც შეეხება ხარისხს, ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ იგეგმება ორეტაპიანი ტენდერების შემოღება, რაც ნიშნავს, რომ წინადადება შეთავაზებული იქნება კომპლექსურად, ფასისა და ხარისხის მიხედვით. ნანუაშვილის განმარტებით, ასეთი შესყიდვები მნიშვნელოვანია სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დროს, სადაც ეკონომიკურ ღირებულებას წარმოადგენს ფასისა და ხარისხის კომბინაცია და შესაძლოა, ძვირის გადახდა გამართლებული იყოს, თუ დროში დიდხანს გაძლებს შესრულებული სამუშაო. (commersant.ge)

## რუსთავში ფოსფორით 13 მოსწავლე მოიწამლა



ქიმიური ნივთიერება ფოსფორის გაჟონვის შედეგად, რუსთავის მე-5 საჯარო სკოლაში 13 მოზარდი მოიწამლა. სკოლის დირექტორის თქმით, მეხუთე კლასის მოსწავლემ სახლიდან სკოლაში სამხედრო დანიშნულების ღამის სანათი მიიტანა, რომელიც საკლასო ოთახში გახსნეს.

ბავშვები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით რუსთავის ინფექციურ განყოფილებაში გადაიყვანეს. ბავშვებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ და ინტოქსიკაცია დაუდგინდათ. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ისინი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს, თუმცა ექიმის რეკომენდაციით, 13-ივე მოწამლული რამდენიმე დღე სახლში დარჩება. (ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე „ალიას“ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ზაზა, ევროპარლამენტმა საქართველოს ხელისუფლებას „გადაუარა“ მართლმსაჯულების სისტემაში გაუტარებელი რეფორმების გამო, აქცენტი სასამართლოს ჩავარდნილ რეფორმაზე გაკეთდა. რატომ არ აბამენ თავს ამ საქმეს? ესენი ხვალ აღარ იქნებიან ხელისუფლებაში და ქვეყანა რჩება გალანძღული ამათ გამო.**



# ზაზა ხატიაშვილი: „ვეღარ გავიგე, გიორგი პაპუაშვილის 100 000-დოლარიანი ბინა ქრთამია და მაშ, რაღაა ტურავასთვის გადასაცემი 300 000-დოლარიანი ბინა?“

### „ქართული ოცნების“ ლიდერები მართალს ამბობდნენ მაშინ პაპუაშვილზე, მაგრამ დღეს ხმას არავინ იღებს, გასუსულები არიან“

– ბოდიში და სასამართლო რეფორმაში საერთოდ ჩააფურთხეს ამათ, არ უნდათ ეს რეფორმა და უამრავი ფაქტი სახეზეა. ვერც პროკურატურის რეფორმა ჩაატარა ამ ხელისუფლებამ და რასაც ხელი მოჰკიდა მართლმსაჯულების სისტემაში, ყველაფერი ჩაიოხრა. არ უნდა ამ ხელისუფლებას დამოუკიდებელი სასამართლო და ეს უნდა გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ. როგორ შეიძლება სასამართლო რეფორმაზე და სასამართლოში რაღაც წინსვლასა და სიკეთეზე ვილაპარაკოთ, როცა ინსპექტორები, რომელთაც მოკვლევა უნდა ჩაატარონ მოსამართლეებზე, იუსტიციის საბჭომ უნდა აირჩიოს? იმ იუსტიციის საბჭომ, რომლის მდივანი ლევან მურუსიძეა? ლევან მურუსიძე ჩემთვის არის სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლე, მისი მკვლელების გამამართლებელი და იმ ორგანოს, რომელმაც ეს კაცი დანიშნა მოსამართლედ, ახლა ავალებენ, რომ მოსამართლეებს დაუნიშნონ ინსპექტორები. მოკლედ, მურუსიძე იქნება მოსამართლეთა მაკონტროლებელიც და ეგ გააკონტროლებს იმ ინსპექტორებსაც, რომელთაც მაგისი მოსამართლეების გაკონტროლება ევალებათ. ხედავ, რამხელა ბერკეტს აძლევენ ხელში მურუსიძეს? მურუსიძის მოსამართლებმა რაც გინდა უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანონ, მათ ვერავინ დასჯით. ცოტა ხანში მურუსიძეს სააპელაციოს თავმჯდომარედაც აირჩევენ, არც ეს გაგიკვირდეთ. მოკლედ, ეს კაცი აკონტროლებს სასამართლო სისტემას და არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამ კაცს ამხელა უფლება ბიძინა ივანიშვილმა მისცა, როცა ლევან მურუსიძე წარმოგვიდგინა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად, არადა ეს კაცი მისი მახინჯი სასამართლო სისტემის ერთ-ერთი სახე და საყრდენი იყო, არც ბიძინა ივანიშვილს აქვს არანაირი თანამდებობა და ვინ მართავს ამ ქვეყანას, მე და შენ? არაფრით არ უნდა დაეშვას პარლამენტმა, იუსტიციის საბჭოს არ უნდა მისცეს უფლება, დანიშნოს ინსპექტორები, ეს თუ გააკეთა, საერთოდ გააუბედურებენ ამ ისედაც შავ დღეში ჩავარდნილ სასამართლო სისტემას და აღარაფერი ეშველება შემდეგ. ადგნენ და ინსპექტორები პარლამენტმა აირჩიოს, ეს კარგი იქნება, ოღონდ მურუსიძეს არ აარჩევინონ და სხვა გზა მონახონ, ამაზეც თანახმა ვარ.

ადრეც ვთქვი „ალიასთან“ და გავიმეორებ: ლევან მურუსიძეს კარტ-ბლანში აქვს მიცემული შუშის სასახლის მბრძანებლისგან, ბიძინა ივანიშვილისგან, მისი ნების გარეშე ამდენს ხომ ვერ გაბედავდა, არა? ამ ყველაფერში, მურუსიძის ამ თავგასულობაში დამნაშავე არის ივანიშვილი. მაგას სჭირდება ეგ კაცი. მურუსიძე ახლა სრულად აკონტროლებს სააპელაციო სასამართლოს, იქ მაგის მოსამართლეები არიან. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიაა ბოლო ინსტანცია საარჩევნო სასამართლო დავების დროს, რასაც ის გადაწყვეტს, ის გადაწყვეტილება აღარ გასაჩივრდება. „ქართულ ოცნებას“ ბევრი სადავო საკითხი ექნება ამ საპარლამენტო არჩევნებზე, ბევრი საარჩევნო უბნის შედეგებს გაასაჩივრებენ შედეგებით უკმაყოფილო პარტიები, რადგან „ქართული ოცნება“ აუცილებლად გააყალბებს არჩევნებს, ისე შანსი არა აქვთ წარმატებისა. ჰოდა, მერე ეს საჩივრები შევა სასამართლოში, სამოქალაქოში თუ წააგებენ „მეოცნებეები“, სააპელაციოში მოიგებენ, თუ საქალაქოში მოიგებენ, სააპელაციო იმავე გადაწყვეტილებას დატოვებს, არ შეცვლის, რადგან იქ მურუსიძე და მისი მოსამართლეები ეყოლებათ. აბა, ტყუილად კი არ ეფერება ბიძინა ივანიშვილი მურუსიძეს. სჭირდება და წინ იხედება. არამარტო სასამართლო, მთელი მართლმსაჯულების სისტემა გაანადგურა ბიძინა ივანიშვილმა და რაც სახეზეა, რაც ფაქტები არსებობს ამის შესახებ, ევროსაბჭოც იმაზე ლაპარაკობს, ტყუილს არაფერს ამბობენ.

**— საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, მერაბ ტურავასთვის ბათუმში სიმბოლურ ფასად, 1 ლარად ბინის გადაცემაზე დიდი ამბავი ატყდა და სამართლიანადაც. რატომ უნდა ვუყიდოთ ბიუჯეტის ფულით მოქალაქეებმა ბინა მოსამართლეს, რომელსაც 9000 ლარი აქვს ხელფასი, თანაც, 125 კვ.მ-იანი? როცა სააკაშვილი სიმბოლურ 1 ლარად აძლევდა მოსამართლეებს ბინებს, დღევანდელი ხელისუფლება ერთ წიოკს ატეხდა ხოლმე. თუ მაშინ არ შეიძლებოდა, ახლა ტურავასთვის შეიძლება ბიუჯეტიდან ბინის ყიდვა?**

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ეს არის უკანონობა. წესით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იყიდოს ბინები, მისცეს ისინი იმ მოსამართლეებს, ვისაც ბათუმში არ აქვს ბინა და მერე, როცა უფლებამისილების ვადა ამოეწურებათ ამ მოსამართლეებს, ისინი ჩააბარებენ ამ ბინებს და მათ შემცვლელებს გადაეცემათ. როცა კანონში წერია, რომ მოსამართლეს ღირსეული პირობები უნდა შეუქმნაო, იქ არ არის განმარტებული, რა პირობებზეა ლაპარაკი, არ არის დაკონკრეტებული, გინდა თუ არა, ბინა უნდა აჩუქოო. ადგნენ ახლა და ეს მოსამართლისთვის ღირსეული პირობების შექმნა მოიმიზეზეს ამ ბინის ტურავასთვის გადასაცემად. კარგად მახსოვს, როცა გიორგი პაპუაშვილს გადასცეს სიმბოლურ ფასად ბათუმში ბინა, რა დღეში იყვნენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ამას უკანონობას უწოდებდნენ, ამბობდნენ, რომ ეს არის, ფაქტობრივად, ქრთამი მოსამართლისთვის. ვეღარ გავიგე, გიორგი პაპუაშვილის 100 000-დოლარიანი ბინა ქრთამია და მაშ, რაღაა ტურავასთვის გადასაცემი 300 000-დოლარიანი ბინა? მედიით გავიგე, რომ ეს ბინა დაახლოებით ამდენი ღირს. კი, ის ბინა პაპუაშვილს რომ აჩუქეს მეპატრონეს უკანონოდ წაართვეს, მაგრამ ბინის ჩუქებას ხომ აპროტესტებდნენ? როცა მოსამართლეს ამხელა ფასიან ბინას ჩუქნი, ეს არის სავარაუდო მოსყიდვის მცდელობა, „ქართული ოცნების“ ლიდერები მართალს ამბობდნენ მაშინ პაპუაშვილზე, მაგრამ დღეს ხმას არავინ იღებს, გასუსულები არიან, მაგათგან ერთი კაცი არ გამოსულა და ეს არ გაუპროტესტებია, ტურავას ბინას რატომ ჩუქნითო. სააკაშვილისა რაც არ უნდათ, ის არ მოსწონთ და რაც უნდათ, იმას ჩოხასავით ირგებენ ტანზე. ეს ამ ხელისუფლების მუშაობის სტილია. ძალიან „სტრანნი“ ხალხია, რა... შე დალოცვილო, რაც მაშინ არ მოგწონდა, დღეს ის უმსგავსობა როგორ არის შენთვის მისაღები? იმიტომ რომ შენია?

**— 9000 ლარი აქვს ტურავას ხელფასი და მართალი თქვა თინა ხიდაშელმა, ისეთი რა გაუჭირდა ტურავას, ერთ ბინას რომ ვერ ქირაობსო.**

– მართალია, რა თქმა უნდა... მაგხელა ხელფასი რომ გქონდეს, მანჰეტენზე იქირავებ ბინას, პრემიები აქვთ კიდევ მოსამართლეებს და სახელმწიფოსგან საჩუქებლად არც ტურავას და არც საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეს, საქმე ნამდვილად არ აქვს.

**— ამაზე ადრეც გვისაუბრია, მაგრამ პოლიციამ ვერ მოიშალა დაკავებულების ცემა. ახლახან „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, თარხან გასვიანი სასტიკად სცემა და როგორც გასვიანი აცხადებს, პოლიცია თურმე ამბობს, ბორკილებდადებულმა გასვიანმა თავად მიიყენა სახეზე დაზიანებებიო. რაშია საქმე, ძველ დროში ვბრუნდებით და პოლიციას ყველაფრის უფლება მისცა ამ ხელისუფლებამ?**

– მე უბრალოდ ცოტა ხანს გაჩერებული ვარ და რომ გავფიცავ ადვოკატებს, შენ მერე ნახავ. მალე მივხედავ მაგათაც. როცა სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა ასეთ რაღაცებს, ისინი იყვნენ „ზონდერები“, ველურები და რას აღარ ეძახდნენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები. დღეს კიდევ გაყურსულები არიან, სიტყვითაც კი არ აპროტესტებენ. კიდევ ამათი ორმაგი სტანდარტი, ხომ ხედავ? სააკაშვილის რეჟიმი გადაიყოლა ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, ზურა ვაზაგაშვილის საქმეებმა და მე როგორც ვატყობ, ესენიც ამ გზით მიდიან. მმართველობის პირველ წლებში არც სააკაშვილის რეჟიმი ხოცავდა ხალხს ქუჩებში, პოლიციაში სცემდნენ და აწამებდნენ, მერე დაიწყეს ხალხის ხოცვა. ახლა ესენიც ამ სტადიაში არიან, ხალხს პოლიციის შენობებში სცემენ და აწამებენ და არც ის გამიკვირდება, პოლიციელებმა დაიწყონ ხალხის ქუჩაში ხოცვა. იმიტომ, რომ ვინც ხალხს აწამებს, სცემს, ის პოლიციელები უნდა დასაჯო უმკაცრესად, რომ დაუსჯელობის სინდრომი არ გაუჩნდეს პოლიციის მთელ სისტემას, თორემ მერე სისტემურ დანაშაულში გადავა და გვიანი იქნება ამის ალაგმვა. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ ფაქტებს წაუყრუეს, იმის ნაცვლად, განგაში აეტეხათ. ეს კი პოლიციის წახალისებას ნიშნავს, ამ დუმილით ეუბნებიან პოლიციელებს, სწორად იქცევითო. თუ ასე გაგრძელდა, ეს ხელისუფლებაც ისე დაასრულებს, როგორც სააკაშვილმა დაამთავრა, ამათაც ეყოლებათ თავიანთი მსხვერპლი გირგვლიანები, რობაქიძეები და ვაზაგაშვილები, ვიდრე დროა, გონს მოეგონ, თორემ მერე ყველასთვის გვიანი იქნება, უპირველესად ისევ ხელისუფლებისთვის – ხალხს ვეღარ გაასწორებენ. თუმცა, დიდი იმედი მაქვს, რომ აქამდე არ მივა საქმე და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლება გვეყოლება და ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ საერთოდ მოსცილდებიან ხელისუფლებას.

**„მმართველობის პირველ წლებში არც სააკაშვილის რეჟიმი ხოცავდა ხალხს ქუჩებში, პოლიციაში სცემდნენ და აწამებდნენ, მერე დაიწყეს ხალხის ხოცვა. ახლა ესენიც ამ სტადიაში არიან, ხალხს პოლიციის შენობებში სცემენ და აწამებენ და არც ის გამიკვირდება, პოლიციელებმა დაიწყონ ხალხის ქუჩაში ხოცვა“**

## „არ მჯერა, რომ აფეთქება ავზმა გამოიწვია“ - ზვიად ლაგვილავას საქმეზე დაკავებული



სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსან ზვიად ლაგვილავას გარდაცვალების საქმეზე დაკავებული პირი დემურ (დემუშა) ბარამია აცხადებს, რომ არ სჯერა ოფიციალური ვერსიის, რომლის მიხედვითაც შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მე-2 სამმართველოს აქტიური ღონისძიებების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში აფეთქება წყლის გამაცხელებელი ავზის არასწორმა დამონტაჟებამ გამოიწვია.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამართულ სხდომაზე ბრალდებულმა თქვა: „არ მჯერა, რომ ლაგვილავას გარდაცვალება და აფეთქება წყლის გამაცხელებელმა გამოიწვია“.

იმავე აზრზეა გარდაცვლილის ოჯახი. ისინი პროკურატურის მხრიდან აღკვეთის ღონისძიების ფორმის შეცვლას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ლაგვილავა მოკლულია. ისინი ეჭვმიტანილად ონისე კვაშილავას ასახელებენ, რომელიც მოქმედი სამართალდამცავია.

ცნობილია, რომ ლაგვილავა იმ თანამდებობაზე დანიშნეს, რომელსაც მანამდე კვაშილავა იკავებდა. ოჯახი აცხადებს, რომ ამის გამო კვაშილავასა და ლაგვილავას შორის დაპირისპირებაც მოხდა. სუს-ის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განყოფილების შენობაში მომხდარ აფეთქებამდე კვაშილავა ლაგვილავას დაემუქრა.

ლაგვილავას მეუღლისა და ოჯახის წევრების განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ზვიად ლაგვილავა მოკლულია. მას სიცოცხლეში აქვს მიყენებული რამდენიმე სერიოზული ტრავმა, რის შედეგადაც ლაგვილავა გარდაიცვალა. გარდაცვლილის მეუღლის მტკიცებით, კვალის დაფარვის მიზნით მოხდა შენობაში მოკლე ჩართვა და აფეთქება.

პროკურატურის ოფიციალური ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ „შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მე-2 სამმართველოს აქტიური ღონისძიებების სამსახურის საბაზანოში ტექნიკურმა პერსონალმა წყლის გამაცხელებელი ავზი დაამონტაჟა, რა დროსაც აღმოაჩინეს, რომ ავზი ამორტიზირებული იყო და წყლის ტემპერატურის მარეგულირებელი (თერმოსტატი) არ ფუნქციონირებდა, რაც აფეთქების საფრთხეს წარმოადგენდა. ამის შესახებ აცნობეს შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საკომენდატო სამსახურის ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს დემუშა ბარამიას, რომელმაც ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების ტექნიკის წესის დაცვა, რამაც ადმინისტრაციულ შენობაში აფეთქება და ზ. ლაგვილავას გარდაცვალება გამოიწვია“. (ნიუპოსტი)

## თუ ოპოზიციას არ სურს დაფინანსება, არც ინიცირება მოხდება და არც განხილვა



– თუ ოპოზიციას არ სურს დაფინანსება, არც ინიცირება მოხდება და არც განხილვა, - ამის შესახებ განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ გააკეთა.

– სახელისუფლებო გუნდმა თანხმობა განაცხადა, რომ პარტიებს არჩევნებზე 2 პროცენტის გადალახვის შემთხვევაში მიეცეთ დაფინანსება. ახლა კრიტიკა, რომ თურმე, ეს მოთხოვნა არ ჰქონიათ, თურმე, ეს მათთვის შეურაცხმყოფელია, იქნებ ჩამოყალიბდეს თავად კაციტაძე რას სურს და რას ითხოვდა. ყველაფერი ეს მისი მხრიდან სპეკულაციაა. თუ არ სურთ ეს დაფინანსება, ბუნებრივია, არც ინიცირება მოხდება და არც განხილვა, - აღნიშნა კობახიძემ.

მანანა კობახიძის ინფორმაციით, მმართველმა გუნდმა პარტიებს კვალიფიციური სუბიექტების სტატუსისთვის ბარიერის 2 პროცენტამდე დაწევა შესთავაზა, ბარიერის გადალახვის შემდეგ პარტია ერთჯერადად 100 ათას ლარს და საარჩევნო უბანზე ერთ წევრს მიიღებს. (ნიუპოსტი)

## ბათუმის საკრებულოს სხდომაზე მოქალაქე შეიჭრა



ბათუმის საკრებულოს სხდომაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქე შეიჭრა. ასლან სარიშვილმა მერს გიორგი ერმაკოვს ტყუილში დასდო ბრალი და განაცხადა, რომ ერთი წლისა და ათი თვის წინ გაცემული დაპირების მიუხედავად, მერია მას არ დაეხმარა.

ერმაკოვის განცხადებაზე, რომ მას თვითმმართველობა ბინის ქირას უხდიდა და სახლის რემონტი გაუკეთა, სარიშვილმა უპასუხა, რომ მას მხოლოდ 3 თვის განმავლობაში გადაუხადეს ბინის ქირა, 11 თვის განმავლობაში კი ამ თანხას თავად ფარავდა, ასევე, რემონტიც თავისი ხარჯით გააკეთა.

შეგასენებთ, ბათუმის საკრებულოს სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავასთვის გადასაცემი ბინის საკითხზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნეს.

შეგახსენებთ, 125 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა, რომელიც ტურავას სახელმწიფომ სიმბოლურ ფასად უნდა გადასცეს, ჯერ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ბათუმის თვითმმართველობა უძრავ ქონებას სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცემს. (news.ge)

ბოლოდროინდელი ბუნებრივი კატაკლიზმების სიხშირე და მისგან მიღებული სავალალო შედეგები გარემოს დაცვის აუცილებლობაზე სულ უფრო ხშირად გვაფიქრებს. მეცნიერების აზრით, თუკი ამჟამინდელი თაობა არ შეამცირებს ატმოსფერული ნახშირორჟანგის გამოყოფას, მათ ისეთი ექსტრემალური კატაკლიზმების ატანა მოუწევთ, როგორიცაა მიწისძვრები, წყალდიდობები და ჰაერის მაღალი ტემპერატურა.

ამით საქართველო და განსაკუთრებით თბილისი, ძალიან მდიდარია. შავი ზღვიდან მოყოლებული 44 ცხელი წყლის აბანო გვაქვს, საიდანაც 30 გრადუსიდან 112 გრადუსამდე ცხელი წყალი ამოდის.

მიწის სიღრმული სითბო, რომელიც მიწისქვეშა წყლებს ზედაპირზე ამოაქვს, შეგვიძლია გონივრულად გამოვიყენოთ. პროექტის მიხედვით, თბილისის სხვადასხვა უბანში უნდა გაკეთდეს ერთმანეთისგან მცირედით დაშორებული, 3 ათას მეტრი სიღრმის ორ-ორი ჭაბურღილი. ჭაბურღილიდან წყალი შევა მომხმარებელთან, შემდეგ კი ეს გაციებული წყალი, რომელსაც წავართვით სითბო, უკან, მეორე ჭაბურღილში ჩაიღვრება. ეს იმისთვის, რომ წყალი არ დაიხარჯოს, არ შემცირდეს მისი რაოდენობა. გამოდის, რომ ფაქტობრივად, ეს საბადო დაკეტილი გვაქვს. ასეთი გეოთერმული სადგურის თერმული წყლით მომარაგება უწყვეტი და ულევი იქნება.

# მიწისქვეშა წყლებს შეუძლია მთელი თბილისი გაათბოს?!




სამუალებით, ჩვენ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, სად და რა ტემპერატურის წყლის მიღებაა შესაძლებელი. იმისთვის, რომ დედაქალაქის მოსახლეობამ ბუნებრივი ცხელი წყალი მიიღოს, ბურღვითი სამუშაოების გზით, თბილისში 30-მდე გეოთერმული ცირკულაციის სისტემა უნდა გაკეთდეს.

**— რა თანხების მობილიზება საჭირო იმისთვის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს და მოსახლეობას რამდენით შეუმცირდება გათბობისთვის საჭირო დანახარჯი?**

– სხვა ყველა სიკეთესთან ერთად, პროექტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ გეოთერმული ენერგია ნებისმიერი სითბოს წყაროზე 6-7-ჯერ იაფია. რაც შეეხება თანხებს, საწყისი კაპიტალდაბანდება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ერთი 3 ათასი მეტრი სიღრმის ჭაბურღილის გაყვანა, სავარაუდოდ, 3 მილიონი ლარი დაჯდება. ასეთი ასი რომ გავაკეთოთ, შესაბამისად 300 მილიონია საჭირო. მართალია, დიდი თანხაა, მაგრამ აუცილებელი ხომ არაა ყველა ერთად გავაკეთოთ?! პროექტი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

**— მთავრობის ან კერძო ინვესტორების მხრიდან თუ გამოითქვა ინტერესი ამ პროექტის მიმართ და რა უშლის ხელს მის განხორციელებას?**

– პროექტით არაერთი უცხოელი ინვესტორი დაინტერესებულა, მაგრამ საბოლოოდ თანხის ჩადებისგან ყველა თავს იკავებს. ვფიქრობ, მათ საქართველოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემო აშინებთ. რაც შეეხება მთავრობას, პროექტი საპარლამენტო სესიაზეც კი გავიტანე. თითქოს მოიწონეს კიდეც, მაგრამ მერე ისევ თაროზე შემოდეს. მათი ინტერესი ამომრჩევლების მოზიდვაა, ერთ-ერთმა თბილისის მერმა ისიც კი მითხრა: ერთი ასეთი ჭაბურღილის გაკეთება რამდენ ხმას მომიმატებს არჩევნებზეო?! როგორც ჩანს, საწყისი პოლიტიკური შედეგი რომ შეაფასა, ინტერესიც გაუქრა. ეჭვი მაქვს, ისინი არ ცდილობენ ღრმა ანალიზის გაკეთებას. მარტო იმისთვის ღირს პროექტის დაწყება, რომ ჩვენ აღარ ვიქნებით დამოკიდებულნი არავითარ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე. თუმცა ამავდროულად, აქ ზოგი კომპანიის ბიზნესინტერესებიც დგას. მოკლედ რომ ვთქვათ, ხელის შემშლელი ფაქტორი ძალიან ბევრია.

**— ჩადებული ინვესტიციის ამოღების მექანიზმებზე თუ გიფიქრიათ?**

– ინვესტიციას, რომელსაც ინვესტორი ამ პროექტში განახორციელებს, ჩვენი გათვლებით მაქსიმუმ ორ წელში ამოიღებს და რაც მთავარია, შემდეგ სულ მოგებაზე იმუშავებს. მას აღარ ექნება მნიშვნელოვანი ხარჯები გასაწევი. როგორც კი გაიგებენ თანხას, სამას მილიონს, მოსმენა აღარ უნდათ. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პროექტი მალე გავა მოგებაზე.

**— თუ არსებობს უცხოეთში გეოთერმული წყლის რესურსის გამოყენებით თბომომარაგების პრეცედენტები?**

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ თბილისშიც 20 ათასამდე მოსახლე დღესაც სარგებლობს ბუნებრივი ცხელი წყლით. ეს რამდენიმე მიკრორაიონშია ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ჭაბურღილებს, ევროპის ბევრ ქვეყანაშია მსგავსი სისტემა. იტალიაში, თურქეთში, საფრანგეთში. ვისაც აქვს თერმული წყლის რესურსი, ყველა ცდილობს მის ექსპლუატაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოსისტემის დაცვისა და გაფრთხილებისთვისაც, რადგან ბუნებრივი აირის გამონაბოლქვით დღეს ისევ მოსახლეობა იწამლება. რითაც შეგვიძლია ბუნებისა და საკუთარი თავის დაცვა საგანგაშო შედეგებისაგან, იმით მაინც დავიცვათ. (bpn.ge)

ეკოსისტემას რომ დაცვა და გაფრთხილება სჭირდება, უცხო აღარავისთვის არის, მაგრამ როგორ, ამაზე კაცობრიობა ჯერ კიდევ ფიქრობს. ფაქტია, რომ არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეს სწორი გამოყენება სჭირდება.

**გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნოდარ ცერცვაძე უკვე წლებია გეოთერმული ენერგიისგან მიღებული ცხელი წყლით მოსახლეობის მომარაგების პროექტზე მუშაობს და მის დაფინანსებას მთავრობისა თუ კერძო ინვესტორებისგან ჯერჯერობით უშედეგოდ ელის.**

**ამბობს, რომ სწორი დაგეგმარების პირობებში, მიწისქვეშ არსებული ულევი რესურსი (გეოთერმული წყლები) მთელი თბილისის გათბობისთვის შეიძლება გამოვიყენოთ, რითაც მოსახლეობას ხარჯი მნიშვნელოვნად შეუმცირდება.**

**— პირველ რიგში, აგვიხსენით, რას გულისხმობს პროექტი და რამდენად რეალურია მთელი თბილისის გეოთერმული წყლების საშუალებით გათბობა?**

– დღევანდელი მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის პირობებში ძალიან პოპულარული გახდა და განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ე.წ. ენერგიის განახლებადი წყაროები: ქარი, მზე, ზღვის ტალღები, მდინარეები და ჩვენთვის ამჟამად ყველაზე საინტერესოა გეოთერმული ენერგია. გეოთერმული სითბო ულევი და ამავდროულად ყველაზე იაფი განახლებადი ენერგიის წყაროა. რაც მთავარია,

**— რამდენი ჭაბურღილის შექმნაა შესაძლებელი თბილისში და რა სიღრმეზეა განლაგებული მიწისქვეშა ბუნებრივი რეზერვუარი?**

– გეოთერმული წყლები 2-3 ათასი მეტრის სიღრმეზე ცხელდება. თერმოწყალშემცველი ჰორიზონტის განლაგების სტრუქტურული რუკა შედგენილია. ის გვიჩვენებს ქალაქის ნებისმიერ წერტილში ამ რეზერვუარის სიღრმეს. მიწისქვეშა წყალშემცველი ჰორიზონტები ატმოსფერული ნალექებით იკვებება. გეოთერმული წყლით თბილისის მთელი მოსახლეობის მომარაგებაა შესაძლებელი. მცხეთიდან სართიჭალა-სამგორამდე, სადაც კი გავბურღავთ, ყველგან შეგვიძლია მივიღოთ ცხელი წყალი. ეს დადასტურებულია უკვე და კარგადაა შესწავლილი სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობისას. სპეციალური რუკების

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჩივიაშვილი: კომუნალური ვაუჩერით მოსარგებლე არის სოციალურად დაუცველი 200 000 ქულის ქვევით



კომუნალურ ვაუჩერებთან დაკავშირებით განმარტება მერიის სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა გააკეთა. გელა ჩივიაშვილის განცხადებით, განკარგულებაში, რომელიც ოპოზიციამ გაასაჯაროვა, საუბარია მხოლოდ მარტის თვეში გაცემულ დახმარებაზე. მისი თქმით, მერიას მოსამზადებელი აქვს მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ვაუჩერების გაცემის წესი შეიცვლება.

– ვარაუდებზე, რომელსაც ოპონენტები გამოთქვამენ, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ, რატომ გამოთქვამენ ასეთ ვარაუდებს. განკარგულებით უკვე განსაზღვრულია მოსარგებლე და ასევე, ნოემბერ-დეკემბერზე მექანიზმი როგორც კი იქნება მიღებული - მოსარგებლე არის სოციალურად დაუცველი 200 000 ქულის ქვევით - და ნოემბერ-დეკემბერთან დაკავშირებით სერვისპროვაიდერებთან როგორც კი მოხდება მექანიზმების ჩამოყალიბება, იქნება ახალი განკარგულება მიღებული, რომელშიც სოციალურად დაუცველები 200 000 ქულის ქვევით ნამდვილად მიიღებენ, - განაცხადა ჩივიაშვილმა.

შეგახსენებთ, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-თბილისის" თავმჯდომარის განცხადებით, დედაქალაქის მერია მომავალი ზამთრისთვის კომუნალური ვაუჩერების სრულად გაუქმებას გეგმავს. სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები კომუნალურ ვაუჩერს მიიღებენ 2016 წლის მარტში და ეს დახმარება უკვე გაცემულია. (news.ge)

## სტუ-ში ფინანსური პოლიციის შესვლას მოითხოვენ



ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ მიქაძე, რომელიც 18 აპრილიდან მშრალ შიმშილობაზეა, უნივერსიტეტში ფინანსური პოლიციის შესვლას მოითხოვს. აქციაზე რექტორის პოსტზე არჩილ ფრანგიშვილის, ასევე, კანცლერისა და აკადემიური საბჭოს რამდენიმე წევრის მესამე ვადით არჩევას აპროტესტებენ.

– ვითხოვთ ფინანსური პოლიციის შემოსვლას ტექნიკურ უნივერსიტეტში, რათა გაირკვეს, ეს აქლემის მყლაპავები და კოღოს მწურავები როგორ აფათურებენ ხელს სტუდენტების ჯიბეში. ამასთან ერთად, უნდა შეიქმნას ერთობლივი კომისია განათლების სამინისტროსთან, ჩვენი ექსპერტების ჩართვით, რომელიც ნახავს, რა დონეზე ვამზადებთ ჩვენ აქ სტუდენტებს, - განაცხადა მიქაძემ.

არჩილ ფრანგიშვილი გადადგომას არ აპირებს და აცხადებს, რომ საკითხი სამართლებრივ სივრცეში უნდა გადაწყდეს. (news.ge)

## „სპლიყვის" ძმა: ერთი დებილური ხუმრობა შეიძლება ცხოვრების ფასად დაუჯდეს, ცოდოა ეს ბიჭი საციხედ



ინტერნეტმომხმარებელ სულხან წულაძის, იგმავე „სპლიყვის" ძმის, გიორგი წულაძის თქმით, მისმა ძმამ გაითავისა, რომ ცუდად მოიქცა, თუმცა არანაირი ცუდი განზარხვა არ ჰქონია.

– ყველანი გაგიჟებულები ვართ. ერთი დებილური ხუმრობა შეიძლება ცხოვრების ფასად დაუჯდეს. ცოდოა ეს ბიჭი საციხედ და ასე გასაწირად. მან გაითავისა, რომ ცუდად მოიქცა, მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებულია. დაამტკიცებს, რომ ეს იყო ხუმრობა და სხვა განზრახვა არ ჰქონია. უბრალოდ, ეს იყო არაეთიკური, უკბილო ხუმრობა და მისი ჩვეული სტილი. გეგმა, რომელიც სულხანმა ვითომ ამერიკის საელჩოზე თავდასხმისთვის შეიმუშავა, ამერიკულ სერიალ „ჰოუმლენდის" მიხედვით იყო გაკეთებული. ამ სერიალის ერთ ეპიზოდში ამერიკის ელჩს აფეთქებენ. ამ სერიალს უყურებდა და მეც მეუბნებოდა, კარგია, უყურეო, - ამბობს გიორგი წულაძე.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას 4-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. (info9.ge)

## რუსეთის მიმართულებით ირანმა ბალისტიკური რაკეტა გაუშვა



„კომერსანტის" ინფორმაციით, ირანმა რუსეთის მიმართულებით ბალისტიკური რაკეტის მორიგი გაშვება განახორციელა. გამოცემის ინფორმაციით, ირანელმა სამხედროებმა რაკეტის საცდელი გაშვება განახორციელეს.

ბალისტიკური რაკეტის გაშვება რუსეთის რადიოლოკაციურმა სადგურებმა არმავირსა და ორსკში დააფიქსირეს. (pia.ge)

## სერგეენკოს თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ერთადერთი ბენეფიციარი მინისტრია



პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დავით სერგეენკომ განაცდახა, რომ ის ერთადერთი მინისტრია, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის ბენეფიციარია:

– საჯარო დაწესებულებები, სამინისტრო, პარლამენტი არ სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვით, არამედ სარგებლობს კორპორაციული დაზღვევით, ანუ თავისი ხელფასიდან იხდის საკუთარი სამედიცინო დახმარების ფულს. ერთადერთი გამონაკლისი სამინისტროებში ალბათ, მე გახლავართ. ჯანდაცვის სამინსიტრო მთლიანად კორპორაციული დაზღვევით სარგებლობს, მე არ ამიღია კერძო სადაზღვევო პაკეტი. თეორიულად ვარ საყოველთაო ჯანდაცვის ბენეფიციარი, თუმცა ამ სამწლიანხევრის განმავლობაში ერთი კაპიკიც არ დამიხარჯავს საკუთარი ჯანმრთელობისთვის, სხვა გზებით ვაგვარებ, - ამბობს ჯანდაცვის მინისტრი.

მისივე განამრტებით, 2016 წელს 650 ათასი კერძო სადაზღვევო პოლისი გაიცა:

– ამ ადამიანებს სახელმწიფო არ უხდის ფულს, ისინი საკუთარი ჯიბიდან იხდიან სამედიცინო მომსახურების თანხას. სავარაუდოდ, ეს სწორედ ის მაღალ და საშუალო შემოსავლიანი მოსახლეობის ნაწილია, ვისზეც სამინისტრო ფულს არ ხარჯავს. მოსახლეობის 17 პროცენტი სარგებლობს კერძო დაზღვევით, — აღნიშნა სერგეენკომ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა 15 აპრილს ტელევიზიების წამყვანებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმა კორექტირებას საჭიროებს.

– ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი შემოსავალი იმისათვის, რომ საკუთარი ოჯახის წევრები უზრუნველყონ ჯანდაცვის მომსახურებით, არ უნდა ჰქონდეთ საყოველთაო ჯანდაცვის მხრიდან დაფარვა, — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილს მაგალითად საკუთარი თავი და სხვა მინისტრები მოჰყავს, რომლებიც მისი თქმით, არ უნდა სარგებლობდნენ საყოველთაო ჯანდაცვით და ამას საკუთარი შემოსავლებით უნდა უზრუნველყოფდნენ. (netgazeti.ge)

# ვინ არის ლადო პაპავას შემცვლელი დარეჯან თვალთვაძე და რას ამბობენ მასზე უნივერსიტეტში?

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე გახდა. არჩევნებზე მას მხარი 1 311 ამომრჩევლიდან 526-მა დაუჭირა. შეგახსენებთ, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ოთხი კანდიათებენ. რაც შეხება სტუდენტების განწყობას, რექტორის მოვალეობის შემსრულებლისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება არც თვითმმართველობის წარმომადგენლებს და არც მოძრაობა „აუდიტორია 115"-ს არ აქვს. თუმცა, როგორც „ალიასთან" პირად საუბარში სტუდენტური მოძრაობის წევრები ამბობენ, თვალთვაძე ყველა დროში კარგად იყო და „ყველასიანია", ის სწორედ იმ დროს იყო ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას" ეჭირა უნივერსიტეტის მართვის სადავეები ხელში და უამრავი პროფესორი არის ჩართული თსუ-ში მიმდინარე პროცესებში. მით უფრო იმ პირობებში, რომ პაპავას გადადგომას, სწორედ სპეცსამსახურებს უკავშირებენ. ახალი რექტორის არჩევნებამდე სტუდენტურ მოძრაობაში არის მოლოდინი, რომ მაქსიმალურად გაძლიერდება სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებზე ზეწოლა, რათა სასურველი კანდიდატი გაიყვანონ რექტორად.

ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი „აუდიტორიელი", ბიძინა ივანიშვილის 2013 წელს გაკეთებულ განცხადებასაც იხსენებს, როცა მან სტუდენტებს უთხრა, რომ კარგ რექტორს დაუნიშნავდა. რასაც მაშინ სტუდენტების პროტესტი მიმართ და ივანიშმათი შეჩერება, შემდეგი სამიზნე კი რექტორის არჩევნებამდე იქნებიან ის ადამიანები, ვინც რექტორის არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა. თუ არჩევის ძველი ფორმა არ შეიცვალა ან აკადემიური საბჭოს შემადგენლობა არ გაიზარდა, მათ აკადემიური საბჭოს 14 წევრზე ზემოქმედების მოხდენა არ გაუჭირდებათო. თუ სტუდენტებმა მიზანს მიაღწიეს და რექტორის არჩევის წესი შეიცვალა, მაშინ აკადემიურ პერსონალზე და სტუდენტებზე გამოცხადდება დიდი ნადირობაო.

„ალია" გასულ ნომერშიც წერდა, სტუდენტების ვარაუდის შესახებ, რომ სუს-ის მეშვეობით





დატურა: ცირა ბარამიძე (თსუ-ს პროფესორი), ლევან გორდეზიანი (თსუ-ს პროფესორი), დარეჯან თვალთვაძე (თსუ-ს პროფესორი, რექტორის მოადგილე) და გიორგი ანდრიაძე (თეოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე). რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თანამდებობაზე ჩაანაცვლა ვლადიმერ პაპავა, რომელიც ბოლო დროს თსუ-ში განვითარებული მოვლენების შემდეგ გადადგა.

ვინ არის დარეჯან თვალთვაძე? მას 2015 წლის ნოემბრიდან ამ დრომდე რექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს. ის ჯერ კიდევ 2006-2010 წლამდე იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, 2010-2015 წლებში კი ამავე ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. თვალთვაძეს თსუ-ში მაღალი დონის პროფესიონალად, ნეიტრალურ მხარედ და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. რაც შეხება სტუდენტების განწყობას, ...

„ჩარეცხეს" და გააგდეს უნივერსიტეტიდან. „აუდიტორიელებს" არ მოსწონთ თვალთვაძის დაპირება, რომელიც სტაბილურობის შენარჩუნებას თვლის მთავარ ამოცანად, მოძრაობის წევრები კი რეფორმებისთვის და განვითარებისთვის იბრძვიან.

თუმცა წინ რექტორის არჩევნებია, რომლის არჩევა სტუდენტების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის მიხედვით, ახალი წესით უნდა მოხდეს და რექტორებთან ერთად, არჩევნებში სტუდენტებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამიტომ ამჯერად „აუდიტორიელები" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ რაიმე პრეტენზიას არ წააყენებენ, თუმცა აგვისტო-სექტემბერში გასამართ არჩევნებზე, რექტორის პოსტზე თვალთვაძის შესაძლო კანდიდატურის წამოყენებას დიდი ალბათობით გააპროტესტებენ, რადგან თვლიან, რომ სუს-ის ბერკეტები მის მიმართ გარდამავალ პერიოდში გამოყენებული იქნება და თვალთვაძის მასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობასაც არ გამორიცხავენ, რადგან, მათი თქმით, სუს-ი აქტიურად ვილი თსუ-ს ავტონომიაში ჩარევაში დაადანაშაულეს. შემდეგ კი ვლადიმერ პაპავა გახდა რექტორი, რომელიც, სტუდენტების თქმით, „ოცნების" ხელისუფლებისთვის იმ პერიოდში მისაღები კანდიდატი იყო, თუმცა მას, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ აკონტროლებდნენ და ჯერ სუს-ი მიუჩინეს, შემდეგ კი სპეცსამსახურებისვე აქტივობით კოჰაბიტირებული გაფრინდაშვილის „დასმა" გადაწყვიტეს კანცლერად, მაგრამ სტუდენტების პროტესტმა ეს გეგმა ჩაშალა.

სწორედ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი განკარგავს ფინანსებს და ადმინისტრაციულ რესურსებს უნივერსიტეტში და როცა ეს გეგმაც წყალში ჩავარდა, რადგან პაპავამ სუს-ის წარმომადგენელი „ოდეერები" ამხილა, მის მიმართ მთელი სახელმწიფო მანქანა ამუშავდა და მოაშორეს კიდეც უნივერსიტეტს.

სტუდენტები ამბობენ, რომ საქმეს სანახევროდ არ მიატოვებენ სპეცსამსახურები, ამიტომ ჯერ პირველ სამიზნედ უმართავი სტუდენტური ჯგუფი „აუდიტორია 115" აირჩიეს, რომ ყველანაირი ფორმით მოხდეს სურს ივანიშვილს თსუ-ში გავლენების მოპოვება, მაგრამ არგუმენტები ვერ მოვისმიეთ. კი, ბატონო, 70-მილიონიანი ბიუჯეტისკენ რომ არ უჭირავს თვალი მილიარდერს, ადვილი მისახვედრია, მაგრამ თსუ-ში გავლენა და კონტროლი რაში უნდა აწყობდეს? ნახევარ მილიარდს დებს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნაში, მსოფლიო დონის უნივერსიტეტს იშენებს თავისთვის და რა ჯანდაბად უნდა თსუ?

ამაზე სტუდენტები პასუხობენ, ბოლო დღეებში, ადგილი აქვს „ოცნების" ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მხრიდან სტუდენტური მოძრაობის დისკრედიტაციას, რადგან მათ კარგად იციან, რომ ამ მოძრაობის აქტიური წევრები, ასევე, ჩაბმული იყვნენ ტყიბულელი მეშახტეების, რკინიგზელების, თბილისის „პანორამის" საწინააღმდეგო აქციებში. ქვეყნის მთავარ კაპიტალისტს კი, ამ მოძრაობის გაზრდა და სოციალური თემების წინ წამოწევა ძალიან არ სურს, ამიტომ შეფარული თუ ღია ბრძოლა შემოდგომამდე უფრო გამძაფრდება, ჯერ რექტორია ასარჩევი, შემდეგ კი პარლამენტიო.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „CIA აგენტი რომ ვარ საიდან გაიგეს ნეტა... მეტის ღირსი ვარ მე ოხერი" - ია ფარულავა



მსახიობი ია ფარულავა რუსეთის საელჩომ ვიზის გარეშე დატოვა. ამის შესახებ „ფეისბუკის" პირად გვერდზე წერს და გაკვირვებულია, რომ ამჯერად უარის მიზეზი არავის განუმარტავს.

– მეგობარმა დამპატიჟა მოსკოვში სტუმრად ცისანა შურღაიამ. გარდა ამისა, მოსკოვში უამრავი მეგობარი და ახლობელი ცხოვრობს, გამიხარდებოდა მათი ნახვა... რუსეთის საელჩომ დღეს საბოლოოდ მითხრა უარი ვიზაზე. ამერიკის მოქალაქე რომ ვარ, ჯერ ეს იყო მიზეზი, ახლა კი აღარ მეუბნებიან ნამდვილ მიზეზს. მეტის ღირსი ვარ მე ოხერი... საერთოდაც არ დამწყდა გული, რადგან აპლიკაციის 60 დოლარი არ გადამახდევინეს, მაგრამ CIA აგენტი რომ ვარ, საიდან გაიგეს ნეტა, - წერს ია „ფეისბუკის" პირად გვერდზე. (ნიუპოსტი)

## რამიშვილმა — დავბრუნდებიო!..



ჟურნალისტი შალვა რამიშვილი „ფეისბუკში" განცხადებას ავრცელებს. რამიშვილი საზოგადოებას მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის და ჰპირდება, რომ საინტერესო სიახლეებით დაბრუნდება.

– მეგობრებო, მთელი ეს დრო ჩემი გუნდის წევრთათვის კუთვნილი ხელფასის მოპოვებას შევალიეთ. „იმედმა" ეს თანხა გადაიხადა. ახლა კვლავ ბრძოლის დროა. ძალიან საინტერესო სიახლეებით დაგიბრუნდებით. გმადლობთ მხარდაჭერისათვის (ვინც გამიწია მათ ეხება რა თქმა უნდა)! - წერს რამიშვილი.

შალვა რამიშვილმა ტელეკომპანია „იმედი" მსახიობ თათია სამხარაძესთან დაკავშირებული სკანდალის გამო დატოვა. სამხარაძის თქმით, რამიშვილი მას „სექსუალურად ავიწროებდა". (etanews.ge)

## იენს სტოლტენბერგი: ნატოს გაფართოება ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ არის




ვაშინგტონში ვიზიტისას ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა „ამერიკის ხმას" ინტერვიუ მისცა.

„ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში იენს სტოლტენბერგი ამბობს, რომ ვიზიტის მთავარი მიზანი ივლისში, ნატოს ვარშავის სამიტისთვის მომზადებაა. მისი თქმით, უკრაინაში აგრესიული ქმედებების გამო რუსეთთან მიმართებით სამიტზე უფრო მტკიცე ნაბიჯების გადადგმაზე იმსჯელებენ. ასევე, იქნება მსჯელობა, როგორ გაუმჯობესდეს ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ და იმ ძალადობის დასაძლევად, რისი მომსწრენიც გავხდით ერაყში, სირიასა და ზოგადად - ახლო აღმოსავლეთში.

**„ამერიკის ხმა": როგორია ნატოს მომავალი, გაფართოვდება ალიანსი?**

იენს სტოლტენბერგი: ნატო წევრების მოწვევის პროცესშია. ალიანსმა მონტენეგროს მოწვევა გადაწყვიტა. ჩვენ ახლა ამ პროცესს ვასრულებთ. შემდეგი ეტაპი ეროვნული პარლამენტების მიერ ნატოში მონტენეგროს გაწევრიანების მხარდაჭერაა, ამ ყველაფრის შემდეგ ნატოს 29-ე წევრი შეუერთდება.

**„ამერიკის ხმა": იგეგმება შემდეგი გაფართოვება?**

იენს სტოლტენბერგი: ალიანსის უფრო მეტად გაფართოება ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ არის. ჩვენ ყოველთვის გვექნება ღია კარის პოლიტიკა და ყოველთვის ვითანამშრომლებთ პარტნიორ ქვეყნებთან. ნატოს ბევრი ახლო და მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანა ჰყავს. (ipress.ge)

## „იურმალზე" საქართველოს გიორგი ნადიბაიძე წარადგენს



„ახალი ხმის" ნახევარფინალის გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე მოსკოვში გამართულ „ახალი ტალღის" შესარჩევი ტურის შესახებ „ფეისბუკზე" სტატუსს აქვეყნებს:

– ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს! მოკლედ გეტყვით, რომ მიუხედავად დიდი მღელვარებისა და კონკურენციისა, „ახალი ტალღის" (წარსულში ცნობილი იურმალა) ნახევარფინალი წარმატებით გავიარე და მოვხვდი გრანდიოზულ ფინალში, რომელიც გაიმართება სოჭში და სადაც საქართველოს სახელით მივიღებ მონაწილეობას. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გამომივა და ვასახელებ საქართველოს.

პ.ს. ყველას უღრმეს მადლობა თანადგომისა და კეთილი სურვილებისთვის, - წერს გიორგი. (daijesti.pia.ge)

## ჯაბა სამუშია: ჩემი კოლეგები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ყოველთვის ცდილობენ, რომ პრობლემა ხელოვნურად შექმნან



„ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი აბესაძის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ დედაქალაქის მერია კომუნალური ვაუჩერებისთვის გამოყოფილი თანხა სხვა მიმართულებით გადაამისამართა, თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია ეხმაურება.

ჯაბა სამუშია პოლიტიკურ ოპონენტებს სიცრუეში ადანაშაულებს და განკარგულების შინაარსს განმარტავს.

– ჩემი კოლეგები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ყოველთვის ცდილობენ, რომ რაღაც პრობლემა ხელოვნურად შექმნან და ამ პრობლემაზე რაღაც პერიოდი, ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვევა სიმართლე, საზოგადოება ალაპარაკონ. ეს განკარგულება გულისხმობდა, რომ ჩვენ გადავდივართ ახალ რეალობაში და ახალ ფორმაში ვაუჩერის გაცემისა. დღევანდელი მონაცემებით, თბილისის მერიაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უკვე საბოლოოდ უნდა განსაზღვროს, რა ფორმით მოხდება ვაუჩერის გაცემა, — განაცხადა სამუშიამ. (kvira.ge)

## რუსი ინვესტორები ახალგორის რაიონს ეწვივნენ



რუსი ინვესტორების დელეგაცია ოკუპირებული ახალგორის რაიონს ეწვია. დელეგაციას თან ახლდა ოკუპირებული რეგიონის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი ანატოლი პლიევი, ე.წ. სოფლის მეურნეობის მინისტრი ვიტალი პლიევი, ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი ახსარ ლავოევი და „მელიორაციის" დირექტორი ვლადიმერ ხუგაევი. ახალგორის რაიონში ჩასვლისას დელეგაცია რაიონში აგრობიზნესის განვითარების პირობებს გაეცნო.

რუსული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: „ოპორა როსიას" მმართველთა საბჭოს წევრი ლეონიდ რაკოვი, საერთაშორისო ფონდის „მშვიდობა ომის გარეშე" ვიცეპრეზიდენტი და „საერთაშორისო საინვესტიციო სისტემების" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ვლასენკო, ფონდ „ალანის" ვიცეპრეზიდენტი მიხეილ შერბიკი, ასევე, „მოსკოვის სამშენებლო მასალების კომბინატის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი ჩიჟიკი. (kvira.ge)

## „აქ ადამიანებს შორის ძალიან მცირე დისტანციაა“ - უცხოელების დაკვირვებები საქართველოზე „შიგნიდან“





ზაფხული ახლოვდება და უცხოური ტურისტული სააგენტოების მფლობელები, რომლებიც საქართველოში ტურებს აწყობენ, ტურისტებს საქართველოზე უყვებიან და ჩვენს ქვეყანაში ქცევის წესებს აცნობენ. გთავაზობთ ერთ-ერთი სტატიის თარგმანს საქართველოსა და ქართველების შესახებ, სადაც ბევრი საინტერესო და სახალისო მომენტია ხაზგასმული, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ახასიათებს:

„თბილისში ადამიანებს შორის ძალიან მცირე დისტანციაა. მართალია, ურთიერთობებში შენარჩუნებულია შესაბამისი პატივისცემა, მაგრამ დისტანცია მართლაც მოკლეა. ერთ მაგიდასთან შეიძლება მეეზოვე და მინისტრი აღმოჩნდნენ.

თუ თქვენ ქართველს შეხვედრაზე შეუთანხმდით და მან არ დააგვიანა, ის ქართველი არ არის. საქართველოში ბიზნესსექტორშიც კი ფაქტობრივად არ არსებობს დროის შეგრძნება. ვერ მოასწარი დღეს? გააკეთე ხვალ! ქართველები ცხოვრებას არ ჩქარობენ.

ალბათ ამიტომაცაა აქ ბევრი მხცოვანი. მოკლედ, თუ თქვენი ქართველი მეგობარი აგვიანებს, ეს შეურაცხყოფად არ მიიღოთ. ეს ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც წვიმა ფანჯრებს მიღმა. ქართველებისგან ღირს იმის სწავლა, რომ უნდა ვიცხოვროთ და არა ყველგან მივასწროთ დროულად მისვლა.

თქვენ ვერ ნახავთ ქართულ კაფეებში ადამიანებს, რომლებიც მარტო სადილობენ. საქართველოში მარტო ჭამა ისეთივე საშინელებაა, როგორც ჩვენთან მარტო დალევა. თუ ადამიანი მარტო სადილობს, ე.ი. ის მარტოხელა ადამიანია, ამიტომაც მას სხვები აუცილებლად თანაუგრძნობენ და თავის მაგიდასთან მიიწვევენ.

ერთხელ ჩემმა ქართველმა მეგობარმა მითხრა: „რა მაგარია, რომ ქუჩებში ყავის აპარატები დადგეს. ახლა იმდენ ყავს დავლევ, რამდენიც მომინდება და არ დამჭირდება ნაცნობების ძებნა კაფეში შესასვლელად“.

თბილისში ყოფნისას კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი შევნიშნეთ: თბილისელი ოფიციანტები ურევენ შეკვეთებს, არ ცვლიან თეფშებს და ძააალიან დიდხანს მოაქვთ მენიუ. მაღაზიაში კი გამყიდველი ყველაფერს გააკეთებს, რომ ვერაფერი იყიდოთ. თუმცა როცა საუბარი ქართველთან სავაჭრო ურთიერთობებს არ ეხება, ქართველები ყველაზე გახსნილი, თბილი და ყურადღებიანი ერია დედამიწაზე.

გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, რაში იყო საქმე. აღმოვაჩინეთ! ქართველები ამაყები არიან. მიმტანად ან გამყიდველად მუშაობა მათთვის რაღაც დონეზე მომსახურებასთან ასოცირდება. ეს კი პატივსაცემი არ არის. ამიტომაც იქცევიან ისინი ასე: თავს არ „იბანძებენ“. აი, ქართველები მომსახურების ასეთ ხარისხზე არ ბრაზობენ, მიჩვეულები არიან, ამიტომაც უბრალოდ ტკბებიან ურთიერთობებით.

საქართველოში სტუმარი წმინდაა. მას თითქმის ყველაფრის უფლება აქვს და ყველაფერი ეპატიება, ირგვლივ ყველაფერი სტუმრისთვისაა, მაგრამ თუ თქვენ სტუმრად სადმე სოფელში, კერძო სახლში მიხვედით, იცოდეთ, სტუმარი პირველი 2-3 დღე ხართ, შემდეგ კი მათი თანასწორი. იმუშავეთ სხვებთან ერთად და ყველა დაგაფასებთ. თუმცა, ეს მხოლოდ სოფლებს არ ეხება.

ქართველებისა და სომხების ურთიერთობის თემა ძალიან ფაქიზია. არ შეეხოთ მას! დიახ, ქართველს შეუძლია გაიხუმროს სომხების შესახებ, სომხებიც ასევე უპასუხებენ. არსებობს შერეული ოჯახები. არიან საუკეთესო მეგობრები, მაგრამ სხვას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ამ თემაზე იხუმროს.

კიდევ ერთი, რასაც დავაკვირდით, განსაკუთრებით კი ბიზნესურთიერთობებში, ისაა, რომ ქართველები უარს არ ამბობენ. ისინი მაქსიმალურად აწელავენ დროს, მანამდე გკვებავენ და გაგართობენ, სანამ თავად არ იტყვით უარს.

თუმცა ტოტალური უყურადღებობისა და შეხვედრების გამუდმებით გადატანის რეჟიმში რთულია გაავლო ზღვარი არაორგანიზებულობასა და ურთიერთობის გაწყვეტის სურვილს შორის. ჩართეთ ინტუიცია. არა, ეს ყველას არ ეხება, ასე რომ იმუშავეთ კონკრეტულ ადამიანებთან, აქ ისინი ბლომად არიან.

თბილისის ქუჩებში შავი ფერი მეფობს. მკვეთრი ფერებით უცხოელები და ეთნიკური სომხები იმოსებიან. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს ახლახანს მომხდარი ომის შედეგებია, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს მორცხვობის ბრალია.

და კიდევ, თუ ქალს მოკლე კაბა ან შორტები აცვია, მას ბევრი გააყოლებს თვალს. ფეხების გამოჩენა ლამაზია, მაგრამ ზედმეტ ყურადღებასაც იწვევს. თუმცა დეკოლტე, რაც არ უნდა ღრმა იყოს, ამდენ ემოციას მაინც არ იწვევს. საერთოდაც, 50-ს გადაცილებული ქალების უმეტესობა ქუჩაში მაისურის ქვეშ თეთრეულის გარეშე დადის (ალბათ, სცხელათ). კაცებს რაც შეეხება, თქვენ შეიძლება ნახოთ ისინი შიდა მაისურით მაისურის ქვეშ და არასდროს მხოლოდ მაისურით. შიშველი ტორსი დასაშვებია. შორტები მუხლებს ზემოთ - არა. თუმცა უცხოელებისთვის ყველაფერი დაშვებულია.

**— ეროვნულობის საკითხი**

ჩვენ ხშირად გვეკითხებიან: „ჩემთვის უსაფრთხოა საქართველოში წასვლა?“. ვპასუხობთ სრული დარწმუნებით: დიახ, უსაფრთხოა საიდანაც არ უნდა იყოთ.

განვმეორდები, ქართველები ძალიან თბილი და სრულიად ადეკვატური ადამიანები არიან. ნეგატიურად მხოლოდ მაშინ მოგექცევიან, თუ თქვენ იქნებით აგრესიული. მათთვის სულ ერთია საიდან მოხვედით. ასე რომ თამამად იმოგზაურეთ.

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში თვალშისაცემად ღალატობენ ცოლებს, მაგრამ ეს მაინც შესამჩნევია. შეკითხვაზე „ეს ნორმალურია?“ პასუხობენ - „არა, მაგრამ ასე გამოვიდა“. შეუძლიათ ქალებს უღალატონ ქმრებს? „არააააა, არავითარ შემთხვევაში“.

აი, ასეთი ფაქიზი და საფრთხილო საქმეა აღმოსავლეთი. ჩაალაგეთ ბარგი და ისიამოვნეთ, - წერია სტატიაში. (presa.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვითომ სილამაზის კონკურსები არ გვეყოფოდა, ამჯერად საქართველოში ძუძუების კონკურსი ტარდება“

iberali.ge ბლოგზე ბაია პატარაიას წერილს აქვეყნებს: „ორიოდე სიტყვა ძუძუების კონკურსზე“. გთავაზობთ ამონარიდს:

„ვითომ სილამაზის კონკურსები არ გვეყოფოდა, ამჯერად საქართველოში ძუძუების კონკურსი ტარდება. დიახ, ძუძუების გამოფენა სახელწოდებით „მის მკერდი 2016“. კონკურსის ორგანიზატორები იუწყებიან, რომ იდეა მათ არ ეკუთვნით და მსგავსი კონკურსი რუსეთსა და უკრაინაშიც გამართულა. როდის აქეთ გახდა რუსეთი და უკრაინა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ქველმოქმედების შუქურა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ორგანიზატორები სწორედ ამ ორ ქვეყანას ბაძავენ.

სანამ უშუალოდ ძუძუების ღიმილისმომგვრელი კონკურსის ავკარგიანობაზე ვისაუბრებთ, სილამაზის კონკურსების სიმახინჯესაც დავარქვათ სახელი. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ სილამაზის კონკურსებს და გვგონია, არა უჭირს რა საშუალოზე ბევრად გამხდარ, საშუალოზე ბევრად მაღალ, დიდტუჩება და პატარაცხვირა თინეიჯერი გოგონების სხეულების საყოველთაო თვალიერება-შეფასებას. ნაკლებად გამხდარი და ნაკლებად მაღალი თინეიჯერი გოგონები კი მისჩერებიან ტელეეკრანებს და ფიქრობენ, რომ აი, სწორედ ეს არის სილამაზე გაბარიტები 90X60X90. უყურებენ სილამაზის კონკურსებს და უჩნდებათ არასრულფასოვნების შეგრძნება, საკუთარი სხეულის გადაკეთების სურვილი, რასაც მოჰყვება დიეტა, რინოპლასტიკა, ტუჩის კორექცია, პლასტიკური ოპერაციები... და გულისწყვეტა, რომ შენ არასაკმარისად ლამაზი ხარ, რომ შენ ბევრი სხეულებრივი ნაკლი გაქვს. იწყება ფსიქოლოგიური პრობლემებიც.



დიახ, ფაშისტურია სილამაზის სტანდარტები და ეს სტანდარტები ამახინჯებს გოგონების თვითშეფასებასა და აზროვნებას სწორედ იმ ასაკში, როცა ყველაზე დაუცველები და მგრძნობიარეები არიან. უფროსები კი იკმაყოფილებენ ახალგაზრდა სხეულების თვალიერება-შეფასება-მოწონება-დაწუნების ჟინს და აკეთებენ ფულს, ბევრ ფულს. პატარა გოგონები დაბალი თვითშეფასების მქონე ქალებად ყალიბდებიან და მილიარდობით დოლარი იხარჯება გაახალგაზრდავება, გალამაზება, გახდომის პროცედურებზე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ჯანმრთელობისთვის საშიშია.

სილამაზის კონკურსები არ გვაკმარეს და ახლა 4 ზომის ან უფრო დიდი ზომის, ოღონდ არა ჩამოვარდნილ-ჩამოწელილი, მკერდის კონკურსიც გამოცხადდა. და იმისათვის, რომ ამ უაზრო კონკურსს ნატამალი აზრი მიანიჭონ, მთელი ეს მასკარადი ქველმოქმედებად მონათლეს“. (news.ge)

## სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაში ადანაშაულებენ



სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა სომხეთის საზღვრის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. უწყების ინფორმაციით, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ცხრაჯერ დაირღვა.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ბოლო საათების განმავლობაში სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ე.წ. შეხების ხაზზე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 114-ჯერ დაარღვიეს. საპასუხოდ, აზერბაიჯანულმა მხარემ 114 საცეცხლე დარტყმა მიიტანა.

ვითარება მთიან ყარაბაღში 2 აპრილს გამწვავდა, როცა ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. 5 აპრილს ერევანი და ბაქო ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. (ინტერპრესნიუსი)

## თურქმა მესაზღვრეებმა რვა სირიელი ლტოლვილი მოკლეს



თურქმა მესაზღვრეებმა სირიის საზღვარზე რვა სირიელი ლტოლვილი მოკლეს, რომლებიც თურქეთში ჩასვლას ცდილობდნენ. დაღუპულთა შორის ქალები და ბავშვებიც იყვნენ.

სირიელი ლტოლვილები ამბობენ, რომ თურქეთის ხელისუფლებამ პოლიტიკა შეცვალა და დახმარების ნაცვლად ისინი საზღვართან მისულ ლტოლვილებს ესვრიან, თუმცა ოფიციალური ბრძანება სამხედროებს არ მიუღიათ.

– ადრე საზღვრის გადასვლა ძალიან მარტივი იყო. ახლა კი სამხედროებთან მიახლოებისას ისინი ჰაერში, ან პირდაპირ, ადამიანების მიმართულებით ისვრიან, - აცხადებენ ლტოლვილები.

თავის მხრივ, თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მთავრობას მიგრანტებთან დაკავშირებით პოლიტიკა არ შეუცვლია. (kvira.ge)

## ანდერს ბრეივიკმა სასამართლო პროცესი მოიგო



ნორვეგიის სასამართლომ 77 ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული ანდერს ბრეივიკის სარჩელი დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ციხეში მისი უფლებები დაირღვა.

ბრეივიკი ნორვეგიის მთავრობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ორი მუხლის დარღვევაში ადანაშაულებდა და აცხადებდა, რომ მისი ცხოვრება წამებას ჰგავს.

ბრეივიკის განცხადებით, ხელისუფლებამ დაარღვია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, ასევე, მიმოწერის უფლება – ნორვეგიის ხელისუფლებამ „ექტსრემისტული ქსელის“ შექმნის თავიდან ასაცილებლად, მას მიმოწერა აუკრძალა.

ანდერს ბრეივიკი ამჟამად სასჯელს შიენის ციხეში იხდის, რომელიც ოსლოდან 100 კილომეტრში მდებარეობს. მისი საკანი 3 ოთახისგან შედგება - საძინებელი, სამუშაო ოთახი (ტელევიზორი, DVD, Playstation, წიგნები) და სავარჯიშო ოთახი.

მანამდე ის ილას საპატიმროში იმყოფებოდა, თუმცა საკნიდან ცუდი ხედი და ვაიფაის სისწრაფე არ მოსწონდა. ასევე, აპროტესტებდა იმასაც, რომ ყავა არასათანადოდ ცხელი მიჰქონდათ, არ აკმაყოფილებდა კარაქის დოზაც.

გასული წლის ივლისში კი ბრეივიკი ოსლოს უნივერსიტეტში ჩაირიცხა და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. (ნიუპოსტი)

## „ისლამური სახელმწიფო“ ევროპაში ბიოლოგიური და ბირთვული თავდასხმებისთვის ემზადება



გამოცემა „The Telegraph"-ის ინფორმაციით, ნატოსა და ევროკავშირის სპეცსამსახურები შიშობენ, რომ „ისლამური სახელმწიფო" დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში ბიოლოგიური და ბირთვული თავდასხმებისთვის ემზადება.

ევროკომისიის კონტრტერორისტული განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ხორხე ბერტო სილვას მონაცემებით, ტერორისტები სირიასა და ერაყში მასობრივი განადგურების, კერძოდ კი ბიოლოგიური, ქიმიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობენ.

გამოცემის თანახმად, ტერორისტები ცდილობენ ახალი მეთოდების შემუშავებას, რომელიც მათ ასაფეთქებელი მოწყობილობების ადამიანის სხეულში იმპლანტირების საშუალებას მისცემს. (pia.ge)




გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


დაახლოებით 2 კვირის წინ თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა, იმ ბენზინგასამართ სადგურებს, რომლებიც ისეთ ადგილებშია განთავსებული, რომ საცობების წარმოქმნას უწყობენ, ხელს სხვა ადგილებში გადავიტანთ, მეპატრონეებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთო. რა ეტაპზეა ეს პროცესი, ამაზე ცოტა ქვემოთ.

მანამდე საინტერესოა ერთი მომენტიც: 2014 წელს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმოწერით ძალაში შესულა ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც, ადგილის შერჩევასა და უსაფრთხოების ნორმებს შეეხება, მაგრამ, როგორც ორგანიზაცია „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი, დავით მესხიშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, დღემდე არ არსებობს სამსახური, რომელიც ამ სფეროს გააკონტროლებს:

– არა მგონია, ეს საკითხი საფუძვლიანად იყოს შესწავლილი. ცნობილი არ არის, საიდან უნდა გავიტანოთ და სად გადავიტანოთ. კი, ბატონო, გმირთა მოედანზეა ხშირად საუბარი. ერთია ადგილები, სადაც საცობები იქმნება, მეორეა – უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. ესე იგი, ვიღაცამ წლების წინათ აილო ნებართვა, ააშენა ბენზინგასამართი სადგური, აქვს ყველანაირი დოკუმენტაცია, ახლა შევიმუშავეთ რეგლამენტი და ვეუბნებით, რომ შენ არღვევ ნორმებს. სამწუხაროდ, უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და ადგილების შერჩევის მხრივ თვალის დახუჭვა ხდებოდა. იგივე, საცხოვრებელ კორპუსებთან არ უნდა იყოს ბენზინგასამართი სადგურები, მაგრამ არის.

**— დათო, მე საფუძვლიანად წავიკითხე ეს რეგლამენტი, მაგრამ აქ არსად წერია, მაგალითად, რა მანძილი უნდა იყოს დაცული საცხოვრებელი კორპუსებიდან.**

– ძველ წესების მიხედვით, მინიმალური დაშორება იყო 100 მეტრი. ახლა აქ ვაწყდებით მეორე პრობლემას, უნდა მივიდეთ იმ ადამიანებთან, რომლებმაც თავის დროზე ბიზნესი დაიწყეს და ვუთხრათ, აქედან უნდა წახვიდეთო. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფომ მათ უნდა შესთავაზოს ალტერნატიული ადგილები. მე არ ვარ მომხრე, რომ უცებ გადაიდგას რადიკალური ნაბიჯები და ვინმეს ბიზნესი დაზიანდეს. ამ ეტაპზე, რისი თქმაც შემიძლია, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიას ნამდვილად ესაჭიროება რეკონსტრუქცია და გაფართოება, იქ რამდენიმე ავტოგასამართი სადგურია, რომელიც მოძრაობას აფერხებს.

**— რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ხელისუფლება რაღაც რეგულაციას აწესებს, ბიზნესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაზარალდეს, მაგრამ აქ პრობლემაა ქალაქში გაზგასამართი სადგურების განლაგებაც, რომელიც უფრო საშიშია, ვიდრე ბენზინგასამართი. უკვე რამდენიმე მანქანა აფეთქდა ამ სადგურებზე. რატომღაც ამაზე არ ლაპარაკობენ.**

– კი, ესეც რთული პრობლემაა მაგრამ ამას კომპლექსური მიდგომა სჭირდება, მარტო ადგილი არაა პრობლემა, მკაცრადაა შესამოწმებელი გაზზე გადაყვანილი ავტომობილებიც. ჩვენთან ეს საქმე დაიწყო 15 წლის წინათ და დღეს ავტომობილების უმეტესობაში გაზის ბალონები არის ვადაგასული. ზოგიერთი მანქანა უკვე იმდენჯერ არის გაყიდული, ბალონის ისტორია აღარავინ იცის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ელემენტარულ წესსაც კი არ იცავენ, რომ დატენის დროს მძღოლი არ უნდა იდგეს მანქანასთან, ან არ უნდა იჯდეს სალონში. საერთოდ, გაზგასამართ სადგურებზე უსაფრთხოების ნორმები დაცულია თუ არა, არავინ იცის. ბოლო დროს გახშირებული აფეთქებები ნიშნავს იმას, რომ ეს სფერო უკონტროლოა. სხვათა შორის, 1 აპრილიდან უნდა დაწყებულიყო იმ ავტომობილების შემოწმება, რომლებსაც გაზის სისტემები აქვთ დამონტაჟებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს კომპანია ან სამსახური, რომელიც ამას შეამოწმებს. უნდა დაწყებულიყო ტექდათვალიერება, მაგრამ გადაიტანეს. არ აღმოჩნდა ამის შემმოწმებელი, არ აღმოჩნდა ხელსაწყოები, არ აღმოჩნდნენ სპეციალისტები, თუმცა მაინც გამოსცეს უცნაური ბრძანება.

**— ბენზინ და გაზგასამართ სადგურებზე ამოწმებს ვინმე, როგორი დანადგარები უნდა იყოს, რა სიღრმეზე, რამდენი ცისტერნა უნდა იყოს მიწაში და ასე შემდეგ?**

– საქმეც მაგაშია, ავტომობილების შემოწმებაც მაგიტომ გადაიდო, რომ შემმოწმებელი არავინ არის. არ მინდა, თავდასხმასავით გამომივიდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების საქციელი ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას – როცა მელაპარაკები, რომ საჭიროა შემოწმება ჩემივე უსაფრთხოებისთვის და გეთანხმები, ნამდვილად საჭიროა, მაშინ რატომ არ მიქმნი პირობებს? დიახ, საჭიროა, ასევე, ბენზინგასამართი თუ გაზგასამართი სადგურების შემოწმება, მაგრამ არ არსებობს შემოწმების არანაირი მექანიზმი. მეორე პრობლემა: დღეს არც ერთი ბიზნესმენი არ დახარჯავს 100 ათასობით დოლარს იმისთვის, რომ მერე დადგეს და ცალკე ამოწმოს გაზის ბალონები და გაყვანილობა, ეს აუცილებლად უნდა მოხდეს ტექდათვალიერების ფარგლებში.

**— ამით მძღოლებიც ზედმეტი ხარჯებს აირიდებენ, ხომ დაწესდება რაღაც გადასახადი გაზის ბალონის შემოწმებაზე...**

– რა თქმა უნდა... სადაც ტექდათვალიერება ჩატარდება, იქ უნდა დაემატოს სპეციალური დანადგარი და მორჩა, არ იქნება არანაირი პრობლემა. ეს იყო მოუმზადებელი და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა შეხებოდა დაახლოებით 300 ათას ადამიანს და ამ დროს არავინ იცოდა, რა უნდა გაკეთებულიყო. ევროდირექტივების მიხედვით, ტექდათვალიერება ძალაში უნდა შევიდეს 2017 წლის ბოლოსთვის, ყველაზე უარეს შემთხვევაში – 2018 წლის დასაწყისში. აქაც უნდა მოხდეს ეტაპობრივი გადასვლა და პირველ რიგში ყურადღება მიექცევა ჰაერის დაბინძურებას. ჩვენი გერმანელი კონსულტანტებიც გვეუბნებიან, რომ გადასვლა უნდა მოხდეს აუცილებლად ეტაპობრივად, რათა ადამიანებს დიდ ტვირთად არ დააწვეს.

**„ალია“ დაინტერესდა, რა ეტაპზეა მოლაპარაკებები, როდის დაიწყებენ ავტოგასამართი სადგურების გადატანას და რომელ „კალონკებს“ შეეხება ეს. როგორც თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ლექვინაძემ „ალიას“ განუცხადა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმ ბენზინგასამართი სადგურების მეპატრონეებთან, რომლებიც ისეთ ადგილებშია განთავსებული, საცობებს რომ ქმნის. მისივე თქმით, არსებობს რამდენიმე გზა — ან შესთავაზებენ კომპენსაციას, ან კიდევ ალტერნატიულ ადგილებს. თუ როდის დასრულდება მოლაპარაკებები, მან ჯერჯერობით არ იცის, ამაზე კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ამბობს.**

# მერია „ვისოლის“, „სოკარის“, „ლუკოილის“, „გალფის“ „ბენზოკალონკების“ წინააღდეგ!



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივანიშვილის ჩართვა საარჩევნო კამპანიაში მისასალმებელია

ვიცე პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი მიიჩნევს, რომ სენსაციური არაფერია იმაში, თუ წინასაარჩევნო პროცესებში ბიძინა ივანიშვილი ჩაერთვება. თუმცა კახა კალაძე აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით არ იცის, ეს რა ფორმით მოხდება. რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიას, კალაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მუშაობა ჯერ არ დასრულებულა და შედეგს ყველა გაიგებს.

– მე არ ვიცი ბატონი ბიძინა ჩაერევა თუ არა. თქვენ იცით, რომ პარტია „ქართული ოცნება" ამ ადამიანის მიერ არის დაფუძნებული. ის რომ ჩართული იყოს საარჩევნო კამპანიაში, ამაში სენსაციური არაფერი არ არის. პირიქით, ვფიქრობ, მისასალმებელია. ხელს შეუწყობს „ქართული ოცნების" კამპანიის ჩატარებას. რა ფორმით, როგორ, ჩაერთვება თუ არა, ამაზე ვიმსჯელებთ, - განაცხადა კახა კალაძემ. (პირველი რადიო)



## ეკა ხერხეულიძე დავით სერგეენკოს: თქვენი წყალობით, ადამიანები ნაგავში იქექებიან



– რატომ მოუხსენით იმ ადამიანებს სოციალური დახმარება, რომლებიც თქვენი დამსახურებით ნაგავში ეძებენ საკვებს?! - ასე მიმართა ფრაქცია „ნაციონალების“ წევრმა ეკა ხერხეულიძემ ჯანდაცვის მინიდტრ დავით სერგეენკოს, რომელიც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში სანისტროს მუშაობის ანგარიშით წარსდგა.

ჯანდაცვის სამინისტროს მუშაობასთან დაკავშირებით შენიშვნები ჰქონდა უმცირესობის წარმომადგენელ გიგი წერეთელსაც.

– რა თქმა უნდა ამ სამინისტროებს შორის, რომლებიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ... ბრმებში ცალთვალას პოზიცია რამდენად სატრაბახო შეიძლება იყოს?! მართალია, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ ამ რეფორმის ფარგლებში მოსახლეობის გაკვეულ ნაწილს გაუზარდა ხელმისაწვდომობა, მაგრამ ამავე კვლევაში 18 პროცენტი ამბობს, რომ ჯანდაცვის მომსახურება გაუარესდა. ეს ის ხალხია, ვისაც უჭირს და არ აქვს საშუალება, დააფინანსოს გაზრდილი ხარჯები ჯანდაცვაში. ამიტომ, საყოველთაო ჯანდაცვა ყველაფერს არ აფინანსებს. ადამიანები, როდესაც მიდიან ექიმთან, მათ უწერენ ძვირიან წამლებს და გამოკვლევებს, რომლის გადახდის საშუალებაც მათ არ აქვთ. ჯანდაცვის სამინისტრო ამ ადამიანებს ვერაფერს გაუკეთებს ამ ეკონომიკის პირობებში, ვერ უკეთებენ ყველას ყველაფერს, როცა ეკონომიკური ზრდა მინიმალურია და სიღარიბე გაზრდილია, - აღნიშნა გიგი წერეთელმა. (ipress.ge)

## „გიჟები არ გვინდა პოლიტიკაში, გვყავს საკმარისზე მეტი“



კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსისთვის ბარიერის 2 პროცენტამდე დაწევის იდეას მმართველ გუნდში არ ეთანხმებიან.

ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, 3 პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში წარმოეშვება კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს სტატუსი:

– გიჟები არ გვინდა პოლიტიკაში, გვყავს საკმარისზე მეტი. უნდა გავცხრილოთ პოლიტიკა გიჟებისა და ავანტურისტებისაგან. საზოგადოებამ უნდა გაცხრილოს სამართლიანობის ძალით. 3 პროცენტი ნიშნავს იმას, რომ შეაგროვო 60 ათასი ხმა, თუ შენ 60 ათასი ხმა შეაგროვე, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ერთ პროცენტზე სამჯერ მეტი ამომრჩეველი გიჭერს მხარს. აქედან გამომდინარე, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს სტატუსი წარმოგეშვება, - განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა. (ნიუპოსტი)

## რის გამო კარგავენ ადამიანები სოციალურ დახმარებას



დავით სერგეენკომ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც სოციალურად დაუცველებს დახმარება ეხსნებათ. ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ძირითადი შემთხვევები ბენეფიციარების მიერ დროებითი სამსახურის მიღებას უკავშირდება, რომლის შესახებაც ისინი ინფორმაციას სათანადო ორგანოებს არ აწვდიან, სისტემა კი მათ ავტომატურად ბლოკავს.

– თვეში დაახლოებით 5 ათასი კარგავს დახმარებას და 5 ათასი იძენს. უფრო ჩანს იმ საზოგადოების პოზიცია, ვინც ეს შემოსავალი დაკარგა. მე შორს ვარ იმ აზრისგან, ვამტკიცო, რომ ეს მეთოდოლოგია დღეის მდგომარეობით იდეალურია, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, ჩვენი ანალიზით, 70 პროცენტის შემთხვევაში რა იწვევს სოციალური დამხარების დაკარგვას. მე არ ვადანაშაულებ ბენეფიციარებს, ალბათ, ეს ჩვენი სისტემის ბრალია, რომ არ ვუხსნით ამ ადამიანებს კარგად. მიზეზი არის ის, რომ თუ ამ ადამიანმა ნახა დროებითი სამსახური, ამის შესახებ ჩვენ უნდა შეგვატყობინოს, რადგან სხვა შემთხვევაში სისტემა მათ ავტომატურად ბლოკავს. მათ ზოგჯერ არ იციან, რომ უნდა შეგვატყობინონ, ზოგჯერ კი იმის ეშინიათ, რომ შეტყობინების შემთხვევაში დახმარებას დაკარგავენ . ეს არის ხარვეზი, რომლის გამოსწორებაზეც ჩვენ ვმუშაობთ. მინდა დაგიდასტუროთ, რომ როდესაც ასეთი შეტყობინება ჩვენთან შემოდის, ჩვენ ამაზე ვაკეთებთ რეაგირებას და ვცდილობთ გამოვასწოროთ, - განმარტა სერგეენკომ. (ნიუპოსტი)

## „ეს იქნება მორიგი ლუსტრაცია!“ - ზვიად ტომარაძე პარლამენტში კანონპროექტს წარადგენს



„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის დირექტორი“ ზიად ტომარაძე პარლამენტში კანონპროექტის ინიცირებას გეგმავს.

ამის შესახებ ტომარაძე სოციალურ ქსელში წერს:

– მეგობრებო! ამ კვირაში კიდევ ერთხელ ვცდი პარლამენტში იმ კანონპროექტის ინიცირებას, რომლის მიზანიც ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ტერმინების: „ჰომოსექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ ამოღება იქნება!

სავარაუდოდ, ამ ინიციატივას მხარს რამდენიმე პარლამენტარი დაუჭერს, მაგრამ ერთი მხრივ, ეს იქნება მორიგი ლუსტრაცია და მეორე მხრივ, კიდევ ერთი შანსის მიცემა დაშვებული შეცდომის გამოსწორებისა, - აღნიშნავს ტომარაძე. (რეპორტიორი)

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცავების მიერ კოჯორში აღმოჩენილი მოკლული მამაკაცი 2014 წელს თბილისის ზღვაზე მდებარე დევნილთა დასახლებიდან გაუჩინარებული გურამ კვეზერელია.

უწყების ინფორმაციით, დედა-შვილის მკვლელობა თანხის დაუფლების მიზნით ორმა პირმა დაგეგმა.

უწყების განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„2014 წლის 17 დეკემბერს, თბილისის ზღვის დასახლებაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ნაპოვნი იქნა 1965 წელს დაბადებული ნატო კვეზერელის ცხედარი, ხოლო მისი შვილი - 1986 წელს დაბადებული გურამ კვეზერელი გაუჩინარდა.

სამართალდამცველებმა საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაადგინეს, რომ 2-მა პირმა კვეზერელების კუთვნილი თანხის დაუფლების მიზნით, დედა-შვილის მკვლელობა დაგეგმა.

ამ მიზნით, 2014 წლის 17 დეკემბერს დამნაშავეებმა კოჯორში, ერთ-ერთ აგარაკზე, მოტყუებით მიიყვანეს გურამ კვეზერელი და ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულის დაფარვის მიზნით, დამნაშავეებმა გარდაცვლილის ცხედარი მოათავსეს კასრში, დაასხეს სპეციალური მჟავა და აგარაკის ეზოში ჩამარხეს.

იმავე დღეს, აღნიშნული პირები, განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის, მივიდნენ თბილისის ზღვის დასახლებაში, გურამ კვეზერელის დედის, ნატო კვეზერელის სახლში.

ნატო კვეზერელს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

დამნაშავეებმა სახლიდან 12 000 აშშ დოლარი, გურამ კვეზერელის სახელზე გაფორმებული 2 ცეცხლსასროლი იარაღი, პორტატული კომპიუტერი, პირადი ნივთები გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები დამნაშავეების, დანაშაულის ადგილებისა და ცხედრებიდან აღებული დნმ-ის ნიმუშების იდენტიფიცირებისთვის.

აღნიშნულ საქმეზე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, შსს-ს თანამშრომლებმა ორი პირი დააკავეს.

რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის ჩამდენ პირებს, მათ ბრალი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით წარედგინათ, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ერთ-ერთი ბრალდებული დაკავებულია.

სამართალდამცველებმა მეორე დამნაშავის ადგილსამყოფელიც დაადგინეს, იგი საზღვარგარეთ იმყოფება და მისი ექსტრადირებისთვის შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს“, - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

2914 წლის დეკემბერში 49 წლის ნატო კვეზერელის ცხედარი მათივე ბინაში, სააბაზანოში იპოვეს. მას საძილე არტერია ჰქონდა გადაჭრილი. როგორც გაირკვა, ქალი სამზარეულოში მოკლეს და მკვლელმა ის შემდეგ სააბაზანოში შეათრია. სამზარეულოში მაგიდა ორ კაცზე იყო გაშლილი, საჭმელი და სუფთა თეფშები ელაგა, ვახშმობა ვერ მოესწროთ. შვილის კვალს სამართალდამცველები ამ დრომდე ეძებდნენ.

კვეზერელების ერთ-ერთი მეზობელი აცხადებს:

## საზარელი მკვლელობა გახსნილია — წამებით ჯერ შვილი მოკლეს, მერე - დედა






„ჩვენ კიდევ იმედი გვქონდა, რომ გურამი ცოცხალი იყო, გავრცელებულმა ინფორმაციამ შეგვძრა. ნატოს და გურამს საოცარი დედაშვილობა ჰქონდათ. თავის დროზე გავრცელებული ვერსია, რომ შესაძლოა, შვილს მოეკლა დედა, ერთი წუთით არ დაგვიჯერებია“. (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველოში ანტიდასავლური ძალების გამარჯვება უდიდესი იმედგაცრუება იქნება“

Freedom House-ის ვიცეპრეზიდენტ რობერტ ჰერმანის განცხადებით, ნათელია, რომ მმართველი პარტიის „ქართული ოცნებისა“ და ყოფილი სამთავრობო გუნდის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მხარდაჭერამ იკლო.

– ეს ადგილს უთავისუფლებს უფრო პატარა პარტიებს, მათ შორის მათ, ვინც ახლა პარლამენტში წარმოდგენილი არაა. ვფიქრობ, აშკარად არსებობს შანსები, რომ ანტიდასავლური, პრორუსული ძალები უფრო მეტად წარმოჩინდებიან. ზუსტად ვერ ვიტყვი, რამდენად გაიზრდება მათი როლი, მაგრამ საამისო კლიმატს ვხედავთ, ნაწილობრივ ამომრჩეველთა უკმაყოფილების გამო, რომლებმაც შესაძლოა მხარი ახალ ძალებს დაუჭირონ, - აცხადებს ჰერმანი.

ამასთან, რობერტ ჰერმანმა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან საუბრაში აღნიშნა, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საქართველოს მსგავს ნახევრადთავისუფალ ქვეყნებში, ყველგან სადაც არჩევნები ტარდება, სადაც არის დემოკრატიისთვის დამახასიათებელი სისტემები, მაგრამ ინსტიტუტები ისევ სუსტია, ყოველთვის არსებობს ცდუნება ოპოზიციური პარტიებისთვის სამოქმედო სივრცე შეიზღუდოს, ადგილი ჰქონდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, მოხდეს შეკრებების და პროტესტების შეზღუდვა.

– ეს ზოგადად დემოკრატიის ამ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია. აქ არ ვგულისხმობ სრულად კონსოლიდირებულ დემოკრატიებს, ახლა ბევრი ავტორიტარული რეჟიმიც კი, საჭიროდ მიიჩნევს არჩევნების გამართვას, რადგან ამის აუცილებლობას გრძობენ, მაშინაც კი, როცა ასეთ ქვეყნებში შედეგები წინასწარ განსაზღვრულია, - განაცხადა ჰერმანმა.



მისივე განცხადებით, საბოლოო ჯამში, საქართველოს ბედი ქართველი ხალხის გადასაწყვეტია.

– საქართველოში ანტიდასავლური ძალების გამარჯვება უდიდესი იმედგაცრუება იქნება. როგორც ჩვენს ბოლო ანგარიშში ვთქვით, ნაკლებია იმის შანსები, რომ არალიბერალური, პრორუსული ძალები უმრავლესობაში მოვიდნენ. უნდა ითქვას, რომ ჩვენ მთელს რეგიონში ვხედავთ პოლიტიკის ცვლილებას და მერყეობას ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენ კონსოლიდირებული დემოკრატიები გვეგონა. მაგალითად, ვნახეთ როგორი უკუსვლა აქვს უნგრეთს. ეს ყველასთვის იმის მაგალითია, რომ დემოკრატიისთვის დიდი შრომაა საჭირო და ეს ხანგრძლივი პროცესია, - აღნიშნა ჰერმანმა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თამაზ მეჭიაური: ჩვენ გარედან მართვას მივეჩვიეთ!..



– საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ოპოზიციის ერთობას მივესალმები, თუ ეს გაერთიანება კონსტრუქციული დიალოგისკენ იქნება მიმართული, მაგრამ თუ ეს გამოყენებული იქნება დესტაბილიზაციისთვის და იმის დასაანონსებლად, რომ ოქტომბერში ჩატარებულ არჩევნებს არ ცნობენ, რა თქმა უნდა, ეს არასერიოზულია - განაცხადა თამაზ მეჭიაურმა გადაცემა 20/30-ში.

მისი თქმით, არჩევნებთან დაკავშირებით დასავლელი პარტნიორების აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ ხშირად რეალობას აცდენილი.

– ჩვენ გარედან მართვას მივეჩვიეთ და დროა, არჩევნებთან და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსის ადგილზე მიღწევას მივეჩვიოთ და არჩევნები ისე ჩავატაროთ, რომ კითხვის ნიშნები არა სადმე სხვაგან, არამედ მოსახლეობაში არ დარჩეს, - განაცხადა უმრავლესობის წევრმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ გუნდის შეცვლას არ გეგმავს და რომ მომავალ პარლამენტში მისი ყოფნა საჭიროა.

– ორი არჩევანი გვაქვს: არჩევნებზე მთელი პოლიტიკური გამა უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ამომრჩევლებმა მათთვის სასურველი პოლიტიკური ძალები აირჩიონ, ან, გავაგრძელოთ მართვის ის სტილი, როცა ერთ კაცს ირჩევდნენ და მერე, ის ერთი კაცი ხალხის მიერ მიცემულ ძალაუფლებას ყველას უნაწილებდა. ზოგ შემთხვევაში, გარკვეული პოლიტიკური ძალების ლობირება, გარედანაც ხდებოდა. როცა ბიძინა ივანიშვილი ფლობდა მართვის სადავეებს, ეს ფორმა ასე თუ ისე, მისაღები იყო, მაგრამ როცა ივანიშვილი პოლიტიკიდან გავიდა, პოლიტიკური ძალები ხელისუფლებაში გაურკვეველი თანაფარდობით დარჩნენ. ამ ძალებს ამომრჩევლის წინაშე არანაირი პასუხისმგებლობა არ ჰქონდათ, რადგან ვინც ისინი მოიყვანა, უკვე გვერდზე იყო გასული და გამოდის, რომ თუ მათ ვინმემ გარედან გაუწია რეკომენდაცია, იმათი დავალება უნდა შეესრულებინათ, - განაცხადა მეჭიაურმა. (რეპორტიორი)

## ლარი კვლავ გამყარდა



ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით ისევ გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,2340 ლარი გახდება. კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,2423 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0083 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5392 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუში მოქმედი კურსი 2.5408 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0016 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## დანია „ისლამური სახელმწიფოს პოზიციებს დაბომბავს

დანიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის სამხედრო მონაწილეობას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი 90-მა დეპუტატმა დაუჭირა, 19 - კი წინააღმდეგ წავიდა.

მიმდინარე წლის შუა პერიოდში დანია სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიზნით, F16 ტიპის 6 ავიაგამანადგურებელს და ასევე, C130J ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავს ჩართავს.

ოპერაციაში 400 დანიელი სამხედრო მოსამსახურე ჩაერთვება. (pia.ge)

## თურქეთი საქართველოს ნატოში მაპის გარეშე გაწევრიანებას მოითხოვს



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუდ ჩავუშოღლუს განცხადებით, მაისში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე, ის ალიანსში საქართველოს სამოქმედო გეგმის გარეშე გაწევრიანების საკითხს დააყენებს.

– მიმაჩნია, რომ საქართველოს შეუძლია ნატოში გაწევრიანება სამოქმედო გეგმის გარეშე. ტექნიკურად ეს სავსებით შესაძლებელია. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხს და ამ საკითხს მაისში დაგეგმილ მინისტერიალზე აუცილებლად დავაყენებ, - განაცხადა მევლუდ ჩავუშოღლუმ.

მისი თქმით, საქართველო ღირსია ნატოს წევრი ქვეყანა გახდეს, რადგან ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. (pia.ge)

## „ყოველი სამიტის წინ ისევ ცირკი გველის“



ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე ნატოს სამიტის მოლოდინებსა და ალიანსში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებზე სოციალურ ქსელში წერს. მისი თქმით, ნატოს სამიტი ახლოვდება და სულ უფრო და უფრო ხშირად დაისმება კითხვა – მოგვცემენ თუ არა მაპს?

– ილუზია არ მაქვს, რომ კიდევ ასჯერ არ მომიწევს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც: არ მოგვცემენ. თუ ამის მიუხედავად, მორიგ კითხვად მაინც დაისმება „და მაშინ იქნებ პირდაპირ მიგვიღონ ნატოში“ (რასაც ახლა თურმე თავდაცვის მინისტრი აპირებს მოითხოვოს), პასუხია: არა, მით უმეტეს, არა. და ეს იმიტომ, რომ წინააღმდეგია რამდენიმე ქვეყანა და მათთან სათანადო მუშაობა არ მიდის. გარდა ამისა, ნატო გადართულია წევრი ქვეყნების დაცვაზე და ჩვენთვის ნაკლებად სცხელა (ყოველ შემთხვევაში, უსაფრთხოების გარანტიას ვერ მოგვცემს). ოდესღაც, ეს ვითარება შეიცვლება და ნატოს ჩვენთვის უფრო ეცლება, მაგრამ იქამდე მთავრობამ ბოლოსდაბოლოს, უნდა დაიწყოს აქტიური მუშაობა იმ სახელმწიფოებთან, ვინც ახლა გვბლოკავს. თუ არადა ყოველი სამიტის წინ, ისევ ცირკი გველის, - წერს შარაშენიძე. (pia.ge)

## სასამართლომ თაღლითობისთვის ბრალდებულ ადვოკატს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი ირაკლი კვინტრაძე თაღლითური გზით დიდი ოდენობით თანხის დაუფლებაში დამნაშავედ ცნო.

– სასამართლოში პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ადვოკატი ირაკლი კვინტრაძე დაზარალებულებს ატყუებდა, თითქოსდა ახლო მეგობრული ურთიერთობა და პირდაპირი კავშირები ჰქონდა საქართველოს მთავარი პროკურატურის უმაღლეს თანამდებობის პირებთან და მთავრობის წევრებთან. ამ გზით ადვოკატი ირაკლი კვინტრაძე მოტყუებით დაეუფლა რამდენიმე მოქალაქის კუთვნილ თანხას 13 700 აშშ დოლარის და 7150 ლარის ოდენობით.

სასამართლომ სასჯელის ზომად კვინტრაძეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით განუსაზღვრა, - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

(რეპორტიორი)



# გარემოს დაცვის მინისტრმა აგულაშვილმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს შეფად „ნაცების“ „ზონდერი“ დანიშნა?



ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



„ალიას“ რედაქციაში მოვიდა წერილი, რომლის ავტორიც ვინაობას სამსახურის დაკარგვის შიშით არ ამხელს – ოჯახში ერთადერთი მარჩენალი ვარო. ის გარემოს დაცვის სამინისტროში მომხდარ ერთ სკანდალურ ფაქტზე წერს: „საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარედ, 2015 წლის 21 აგვისტოს ჩატარებული კონკურსის წესით, დაინიშნა „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერი, ლაშა მოისწრაფიშვილი. კომისიაში, სხვებთან ერთად, მინისტრი, „რესპუბლიკელი“ გიგლა აგულაშვილიც იყო, რომელმაც მოისწრაფიშვილს კონკურსის მსვლელობის დროს უთხრა, რომ ის იყო „ნაცების“ „ზონდერი“ და მას ჰყავდა „ზონდერჯგუფები“, რომელთან ერთადაც პოლიტიკურად განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს არბევდნენ და ავიწროებდნენ განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში. ასევე უთხრა, რომ თანამშრომლებში სარგებლობდა ძალიან ცუდი ავტორიტეტით და ა.შ. და ა.შ. მინისტრის ამ წინადადების დასრულების შემდეგ, გამწარებულმა და ფერდაკარგულმა მოისწრაფიშვილმა კონკურსი დაუკითხავად მიატოვა. ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ მოისწრაფიშვილს თანამდებობაზე აღარ დანიშნავდნენ, მაგრამ იმავე საღამოს სამინისტროში გამოიძახეს და გადაწყდა, რომ ის დაენიშნათ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარედ და დანიშნეს კიდეც... სამინისტროში ამბობენ, თითქოს მაშინდელი პრემიერ მინისტრის მეუღლე ჩაერიაო (პრემიერის და მოისწრაფიშვილის მეუღლეები მეგობრობენო)... 2014 წელს, როდესაც მოისწრაფიშვილი გაანთავისუფლეს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, თანამშრომლების უმეტესობა გახარებული იყო და ამბობდნენ, რომ ის იყო უზრდელი, უტაქტო და ჰქონდა სადისტური თვისებები“...

**წერილი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მხოლოდ ძირითად დეტალებზე შევჩერდით. სიტუაციის გასარკვევად კი, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, „თავისუფალ დემოკრატ“ გია ცაგარეიშვილს დავუკავშირდით, გვაინტერესებდა, რა იცოდა ანონიმურ წერილში მოყვანილი ფაქტის შესახებ:**

– მოისწრაფიშვილი რამდენიმე თვის წინ დაინიშნა ხელმძღვანელად. თუ არ ვცდები, ის პირველი ოქტომბრის მერეც, 2014 წლამდე მუშაობდა ამ თანამდებობაზე. ვიცოდი, რომ ის დაინიშნა, მაგრამ ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ამგვარი კონკურსი ჩატარდა და კონკურსის წესით იყო დანიშნული. მოისწრაფიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ დროსაც, ამ სამსახურში წლების მანძილზე მართლაც მუშაობდა.

**— წერილის ავტორი ამბობს, რომ კონკურსს ესწრებოდა მინისტრი გიგლა აგულაშვილი, რომელსაც მოისწრაფიშვილისთვის უთქვამს, „ნაცების“ „ზონდერი“ ხარ, ხალხს არბევდიო. ამაზე მოისწრაფიშვილი გამწარებულა და მიუტოვებია კონკურსი, თუმცა იმავე საღამოს სამინისტროში გამოუძახიათ და სააგენტოს თავმჯდომარედ დაუნიშნავთ. ავტორი აცხადებს, მოისწრაფიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლეები მეგობრობენ და, ალბათ, ამან ითამაშა დიდი როლი მის დანიშვნაშიო.**

– ამაზე ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ გეტყვით, რომ ამ სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი, მოისწრაფიშვილის ყოფილი უფროსი „ნაციონალების“ დროს, ბატონი შონვაძე, პირდაპირ იყო დაკავშირებული ბატონ ზურაბ ადეიშვილთან და მისი მფარველობით სარგებლობდა. დადიოდა ხმები, რომ სააგენტო და მისი თანამშრომლები ჩართული იყვნენ, სადამსჯელო საქმიანობაში, ოპოზიციური პარტიის აქტივისტების წინააღმდეგ, თუმცა ამის პირდაპირი, ღია მტკიცებულება არ მაქვს. ვიტყვი იმას, რომ ყოველთვის მჯერა იმ ადამიანებისა, რომლებიც ანონიმური წერილების უკან არ არიან ამოფარებულები და საჯაროდ, ღიად საუბრობენ. ამ წერილის ავტორს ვურჩევ, გამოჩნდეს სააშკარაოზე, ღიად ისაუბროს იმ პრობლემებზე, რაც არის დაცული ტერიტორიების სააგენტოში და გარემოს დაცვის სამინისტროში, ეს უკეთესი იქნება მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

**— ეს პიროვნება ამბობს, ოჯახში მარტო მე ვმუშაობ და სამსახურის დაკარგვა არ მინდაო.**

– მეც მარტო ვმუშაობდი ოჯახში წლების მანძილზე. როცა სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდი, დილით რომ გავდიოდი სახლიდან, ღამე ცოცხალი დავბრუნდებოდი თუ არა, ნამდვილად არ ვიცოდი. ამიტომ ეს არ არის ჩემთვის გასამართლებელი საბუთი, მარტო მე ვმუშაობ და არ შემიძლია ხმა რომ ამოვიღო, რადგან გამაგდებენ სამსახურიდანო. ვერაფრით ვერ გატყდა ეს შიში და ვერ აილაგმა ასეთი უბედურება ამ საზოგადოებაში და ადამიანები, რომლებიც იმიტომ ვერ საუბრობენ ამდენ პრობლემაზე, რომ მათ ეშინიათ სამსახურიდან გაგდება, ძალიან ცუდია. მე და თქვენ ამ ადამიანს ვერ ვაიძულებთ, ვინაობის დაუფარავად სააშკარაოზე გამოიტანოს სააგენტოში არსებული ყველა პრობლემა. ის ადამიანები, ვინც აშკარად მხილებულები არიან „ზონდერ“ საქმიანობაში, ადამიანების პოლიტიკური ნიშნით შევიწროებასა და დევნაში, საჯარო სტრუქტურებსა და სამსახურებში არ უნდა მუშაობდნენ, რადგან ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. ნეტა, მქონდეს ასეთი მტკიცებულებები, პირველი ვიქნები, ვინც ამას პირდაპირ ვიტყვი! არ მოვერიდები არც მოისწრაფიშვილს, არც აგულაშვილს და არც ერთი თანამდებობის პირს. დავუშვათ, თუ ბატონმა აგულაშვილმა იცოდა ამის შესახებ, მან ეს განუცხადა სააგენტოს მომავალ თავმჯდომარეს კონკურსზე და ამას შემდეგ მოჰყვა მოისწრაფიშვილის დანიშვნა და თუ ამ ყველაფერში იოტისოდენა სიმართლეა, მაშინ ძალიან მძიმედ ყოფილა საქმე, ზოგადად, ხელისუფლებაში და სამინისტროში. ზოგადად, იცით, რა არის ამ ხელისუფლების უბედურება? მას ვერ გაურჩევია თავისი გულშემატკივარი კრიმინალისგან. არანაირი სამართლიანობა არ აღდგა ამ ხელისუფლების ხელში. რომელი სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, როცა ლევან მურუსიძე და შოთაძე წამოაჯინეს ქვეყანას თავზე? რამდენი უბედური, უფლებააყრილი, ნაცემი, ნაწამები, ქონებაჩამორთმეული ადამიანი დღემდე დადის კარდაკარ და ვერც ქონება დაუბრუნებია, ვერც თავის უფლებებში ვერ აღმდგარა და ვერც მისი მწამებელი ვერ მიუცია პასუხისგებაში!

საქართველოს მოქალაქეები თუ ზურგს შეაქცევენ მოახლოებულ არჩევნებზე „ოცნების“ ხელისუფლებას, სწორედ იმიტომ, რომ მთავარი ჩვენი დაპირება და ბაირაღი იყო სამართლიანობის აღდგენა. მეც ვიყავი ამ პროცესებში ჩართული და ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის წინა პერიოდში 800 ათასი ადამიანი იმიტომ გამოვიდა ქუჩაში საპროტესტოდ, რომ მხოლოდ პენსია უნდოდა და სამსახურს ეძებდა! ეს ადამიანები სწორედ სამართლიანობის აღდგენისთვის გამოვიდნენ. ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გადაიბარა, ეს ხალხი შეიწოვა, სრულად მოახდინა კოჰაბიტაცია. ისედაც ნათელია, რა ხდება დღეს და რას აკეთებს ეს ხელისუფლება!

> **„იცით, რა არის ამ ხელისუფლების უბედურება? მას ვერ გაურჩევია თავისი გულშემატკივარი კრიმინალისგან. არანაირი სამართლიანობა არ აღდგა ამ ხელისუფლების ხელში. რომელი სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, როცა ლევან მურუსიძე და შოთაძე წამოაჯინეს ქვეყანას თავზე? რამდენი უბედური, უფლებააყრილი, ნაცემი, ნაწამები, ქონებაჩამორთმეული ადამიანი დღემდე დადის კარდაკარ და ვერც ქონება დაუბრუნებია, ვერც თავის უფლებებში ვერ აღმდგარა და ვერც მისი მწამებელი ვერ მიუცია პასუხისგებაში!“**

**ინფორმაციის გადასამოწმებლად „ალია“ გარემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილსაც დაუკავშირდა:**

– ჩვენი კონკურსებისთვის დავადგინეთ ძალიან მარტივი წესი, ასეთ კონკურსებზე ვაკეთებთ ხოლმე აუდიოჩანაწერებს, რა თქმა უნდა, ვინც კონკურსზე გამოდის, მისი თანხმობით. არ ვიცი, რამდენი ხანი ვინახავთ ამ მასალებს, მაგრამ შეგიძლიათ, ოფიციალურად გამოითხოვოთ ტექსტობრივი ან აუდიოფაილი, მოისმინოთ... მოკლედ კი, შემიძლია ეს გითხრათ: ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რომ კონკურსიდან ვინმე ამდგარიყოს, გაქცეულიყოს, ჩაშლილიყოს. სხვათა შორის, მაგ კონკურსზე მხოლოდ ორი ადამიანი იყო გამოსული. სამწუხაროდ, დიდი არჩევანი ჩვენ არ გვქონდა და ერთ-ერთს მივანიჭეთ უპირატესობა. თუ ვინმე მომაწვდის ინფორმაციას, ფაქტებს იმის თაობაზე, რომ გნებავთ ლაშა მოისწრაფიშვილი, გნებავთ სხვა ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც დღეს მუშაობს სისტემაში – ჩართული იყო, მონაწილეობდა მსგავს ღონისძიებებში, რასაც ანონიმური ავტორი წერს, მივიღებთ ადეკვატურ გადაწყვეტილებებს.

**თუ ბატონი ლაშა მოისწრაფიშვილი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას მოისურვებს, მითითებულ ნომერზე დამიკავშირდეს.**

## „არჩევნებამდე საარჩევნო ბარიერის 3 პროცენტამდე დაწევა ვერ მოესწრება“



„განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ თავმჯდომარე ქეთევან ჩაჩავას შეფასებით, არჩევნებამდე საარჩევნო ბარიერის 3 პროცენტამდე დაწევა ვერ მოესწრება.

ჩაჩავა აღნიშნავს, რომ თუ საარჩევნო ბარიერის დაწევა მოხდება, მაშინ პარლამენტში ბარიერგადალახული პარტიებიდან წარმომადგენლები პროპორციული რაოდენობით უნდა შევიდნენ.

– 5 პროცენტიანი ბარიერის გადალახავისას პარტია 6 წევრს ღებულობს და თუ დაიწევს ბარიერი, შეესაბამისად, სასურველია, რომ 6 დეპუტატის შეყვანა არ მოხდეს. ჩემი აზრით, აღარ არის მიღწევადი, რომ საკონსტიტუციო ცლილებები შევიდეს ძალაში, მით უმეტეს, როდესაც ვიცით, რომ არჩევნები 8 ოქტომბერს გაიმართება, - განაცხადა ჩაჩავამ.

რაც შეეხება კვალიფიციურობის ბარიერის 2 პროცენტამდე დაწევას, ჩაჩავას განმარტებით, ეს საარჩევნო კოდექსში უნდა დარეგულირდეს, თუმცა მას არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ცვლილებები არასასურველად მიაჩნია.

– მაგრამ თუ პოლიტიკური კონსესუსი მიიღწევა, რა თქმა უნდა, ბარიერის დაწევა მნიშვნელოვანი იქნება და შესაძლოა, პოლიტიკური გარემო გააჯანსაღოს, - აღნიშნა ქეთევან ჩაჩავამ. (pia.ge)

## გოგი თოფაძე ვარაუდობს, რომ პარლამენტში 7 პარტია მოხვდება



„მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე ვარაუდობს, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში დაახლოებით 7 პარტია მოხვდება.

– მზადება დაწყებული გვაქვს. ჩვენ ბარიერის გადალახვის პრობლემა არასოდეს გვქონია. როცა 7 პროცენტიანი ზღუდე იყო, მაშინაც არ გვიჭირდა და ახლაც რა თქმა უნდა, ცალკე გავდივართ ყველანი. 73 მაჟორიტარის შერჩევა ასე უცებ ძნელია, ვმუშაობთ რაიონებში. მეც ალბათ, როგორც პარტიის ლიდერი, სადღაც კენჭს ვიყრი, რათა ჩვენი პოზიციები გავამაგრო, - აღნიშნა გოგი თოფაძემ.

მისივე თქმით, თანამშრომლობასთან დაკავშირებით შემოთავაზება არსებობს, თუმცა თოფაძე ვარაუდობს, რომ არჩევნებზე „მრეწველები“ მარტო გავლენ. დეპუტატს არ დაუკონკრეტებია ვისგან მომდინარეობს შეთავაზება, თუმცა „პატრიოტთა ალიანსთან“ გაერთიანება არ გამორიცხა და ალიანსის ლიდერებს პატივისცემა დაუდასტურა. დეპუტატი ვარაუდობს, რომ პარლამენტში 7 პარტია იქნება წარმოდგენილი.

(ინტერპრესნიუსი)

## „ისლამურმა სახელმწიფომ" ერაყში ქიმიური იარაღი გამოიყენა



ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ" ერაყში ქურთი მოხალისეების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. ამის შესახებ ერაყულ მედიას ქურთი მოხალისეების წარმომადგენელმა სირვან ბარზანიმ განუცხადა.

– „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკები სოფელ აბუ-შიტთან ქურთ მოხალისეებს თავს დაესხნენ. მათ 12 რაკეტა გაუშვეს, რომლებშიც ქიმიური მუხტი იყო ჩამონტაჟებული, — განაცხადა ბარზანიმ.

მისი ინფორმაციით, შეტევის დროს მოხალისეებს შორის 6 ადამიანი დაშავდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკებმა სირიასა და ერაყში მომწამვლელი ნივთიერება იპრიტი გამოიყენეს. აშშ-ის დაზვერვის ინფორმაციით, „ბოევიკებს" ქიმიური იარაღის წარმოების ტექნოლოგიები აქვთ. (kvira.ge)

## გასვიანი, კიკიანი, გაგნიძე და ჩიქოვანი აპოლიტიკურ აქციას აანონსებენ




პოლიციის მიერ დაზარალებული მოქალაქეები კანცელარიასთან. აპოლიტიკურ აქციას გამართავენ და პოლიციის მიერ დაზარალებულ სხვა მოქალაქეებსაც თავიანთი პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდებენ.

„პატრიოტთა ალიანსის" წევრმა თარხან გასვიანმა, „ქართული მისიის" წევრმა რამაზ გაგნიძემ და მოქალაქეებმა ლიკა კიკიანმა და ზურაბ ჩიქოვანმა პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდეს, რომ აღნიშნულ აქციაზე არ მივიდნენ.

მათი განმარტებით, ისინი შურისძიების მოტივით არ მოქმედებენ და მსგავსი ფაქტების პრევენცია სურთ, რათა სხვა ადამიანებიც არ დაზარალდნენ.

მათი მთავარი მოთხოვნაა იმ პოლიციელების დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლება და სათანადოდ დასჯა, რომლებმაც მათ ზიანი მიაყენეს.

– თქმა, რომ ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ მიშასდროინდელი ზონდერები მუშაობენ, უკვე უაზრობაა. დღევანდელ დღეს რაც ხდება, „ქართული ოცნების" ბრალია. ის პოლიციელები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის დროს იკავებდნენ რიგითი თანამშრომლების წოდებებს, დღეს დაწინაურებული არიან, - განაცხადა თარხან გასვიანმა. (news.ge)

# „შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ზღვაა"

„პონტოს ევქსინოს" ანუ სტუმართმოყვარე ზღვა - ასე უწოდებდნენ შავ ზღვას ბერძენი მოგზაურები.

– დღეს შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ზღვად მიიჩნევა, მისი მდგომარეობა ბოლო ათწლეულებში მკვეთრად გაუარესდა, - ამბობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ნათია კოპალიანი, რომელსაც ამ მტკივნეულ საკითხზე ვესაუბრეთ.





– შავი ზღვა ბევრი რამით არის გამორჩეული. ჯერ ერთი, მსოფლიო ოკეანისგან ყველაზე იზოლირებულია, თანაც ახალი ეკოსისტემაა. ბოლო ათასწლეულების განმავლობაში 12-ჯერ შეუერთდა და დაშორდა ხმელთაშუა ზღვას, ბოლო შეერთება 7-9 ათასი წლის წინ მოხდა.

შავი ზღვის ეკოსისტემა განსაკუთრებით მოწყვლადია, აქ როგორც ბუნებრივად არსებული, ისე ხელოვნურად შექმნილი ბევრი პრობლემაა.

შავ ზღვაში მობინადრე სახეობებს რთულ ბუნებრივ პირობებში უწევთ არსებობა, რადგან ჟანგბადით მდიდარი ზღვის მხოლოდ 10-13 პროცენტია: წყლის ზედა ნაწილი ჟანგბადით ჰაერიდან მარაგდება, 150-180 მეტრის ქვემოთ წყალი გოგირდწყალბადით არის გაჯერებული. გამოდის, შავი ზღვის 87-90 პროცენტი ჟანგბადს მოკლებული სივრცეა.

ბოლო კვლევებით, გოგირდწყალბადმა ზემოთ ამოიწია და სასიცოცხლო არე კიდევ უფრო შემცირდა.

**— რამდენად დაბინძურებულია წყალი შავ ზღვაში?**

– ყველაზე დამაიმედებელი ის არის, რომ სანაპირო ზოლთან არ გვაქვს დიდი ქარხნები, რომელთა ნარჩენების ჩადინება განსაკუთრებით აზიანებს წყლის ხარისხს. ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში არის ასეთი ქარხნები და დაბინძურებაც მეტია. სხვათა შორის, ჩვენი სანაპიროს დაბინძურების დონე კარგად შეისწავლეს 1990-იანი წლების ბოლოს. მაშინ შავი ზღვის ინსტიტუტმა სხვადასხვა ქვეყნიდან ექსპერტები მოიწვია. მათი დასკვნით, ჩვენი სანაპიროს მთავარი პრობლემა მდინარეების ჩამონატანია. დიდია ალბათობა, რომ მდინარეების წამოღებული მავნე ნარჩენები შავ ზღვაში მოხვდეს. მკვლევრებმა წყალშიც და თევზების ორგანიზმშიც აღმოაჩინეს ნივთიერებები, რომლებიც ნავთობით დაბინძურებაზე მეტყველებდა. დადასტურდა მძიმე ლითონებით დაბინძურებაც. ისინი ილექება ცოცხალი ორგანიზმის ღვიძლში, თირკმლებში და უარყოფითად მოქმედებს მათ გამრავლებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. საბოლოოდ, ეს ეკოსისტემის ყველა რგოლზე აისახება, მოლუსკებიდან თევზებამდე. მძიმე ლითონები წყლის მფილტრავ მოლუსკებშიც იპოვეს, ასევე თევზების ქსოვილებში.

**— ზღვის წყალშიც არის მძიმე ლითონები?**

– რამდენიმე წლის წინ ჩვენი სანაპიროს რამდენიმე წერტილში აღებული ზღვის წყალი ქიმიურ ლაბორატორიაში შევამოწმეთ. მართალია, მძიმე ლითონები წყალში არ აღმოჩნდა, თუმცა მათ დალექვა სჩვევია, შესაძლოა, არ იყოს წყალში, მაგრამ იყოს ფსკერზე, ან ცოცხალ ორგანიზმებში. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე ისეთ ლაბორატორიას, რომელიც მოლუსკებისა და თევზების ქსოვილებს შეისწავლიდა. სანაპიროდან ზღვაში უამრავი მავნე ნივთიერება ილვრება. ზუსტი მონაცემები კანალიზაციის ჩაღვრის შესახებაც არ გვაქვს, არადა, ზოგან ის პირდაპირ ჩაედინება.

**— ეკოლოგიური ვითარებისა და ჭარბი თევზჭერის გამო შავი ზღვის ბინადართ გადაშენების საფრთხე ხომ არ ემუქრებათ?**

– რა თქმა უნდა. მაგალითად, ამბობენ, რომ ჩვენს სანაპიროსთან ადრე გავრცელებული იყო სელაპი, ახლა ის თითქმის აღარ გვხვდება. ძალიან ცოტა დარჩა დელფინის სახეობა აფალინა. მართალია, ეს ახალი ეკოსისტემაა და შავი ზღვის ფაუნა ძალიან მდიდარი არ არის, მაგრამ აქ 170-მდე სახეობის თევზი მაინც არის გავრცელებული.

მათ შორის ყველაზე დიდი საფრთხე ზუთხისნაირებს ემუქრებათ, რადგან ბევრს მოიპოვებდნენ. ისინი უკვე საერთაშორისო წითელ ნუსხაშიც შეიტანეს. გადაშენების საფრთხის წინაშე არიან: ტარალანა, რუსული ზუთხი, ფორონჯი, სპარსული ზუთხი და კიდევ რამდენიმე სახეობა, რომლებიც შავი ზღვის წითელ წიგნშია შეტანილი. არანაკლებ უარყოფითად იმოქმედეს შავი ზღვის ფაუნაზე უცხო, ინვაზიურმა სახეობებმა, რომლებიც აქ გემების ბალასტის წყლებით შემოვიდნენ (სავარცხლურა, რაპანა და ასე შემდეგ). ისინი ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლებს ანადგურებენ. შავი ზღვის ფაუნისთვის ჭარბი თევზჭერაც წყლის დაბინძურებაზე არანაკლებ სახიფათოა. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რას მოუტანს საქართველოს ჩინელი ტურისტების უვიზოდ ჩამოსვლა



ჩინელმა ტურისტებმა საქართველოში ჩამოსვლა შესაძლოა, უვიზოდ შეძლონ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პეკინში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელ გიორგი ჩოგოვაძესა და მის ჩინელ კოლეგას შორის მოლაპარაკებები გაიმართა.

მხარეები შეთანხმდნენ, განაგრძონ კონსულტაციები საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1994 წელს გაფორმებული შეთანხმების თაობაზე, ტურისტული ჯგუფების უვიზო მიმოსვლის განახლებასთან დაკავშირებით.

ტურიზმის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება ჯერ ბოლომდე არ არის მიღწეული.

როგორც ცნობილია, სავიზო რეჟიმის გაუქმება იგეგმება მხოლოდ ორგანიზებული ტურის ფარგლებში ჩამომსვლელი ჩინელი ტურისტებისთვის, რაც შეეხება ინდივიდუალურ ტურისტებს, მათზე უვიზო რეჟიმი არ ამოქმედდება.

ტურიზმის საკითხებში ექსპერტ ვატო ასათაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება გააუქმოს სავიზო რეჟიმი ჩინელი ტურისტებისთვის ორგანიზებული ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

„ეს არის ძალიან კარგი და საინტერესო ბაზარი, რომლის განხილვაც მაღალგადამხდელუნარიანი სეგმენტის ჭრილში შეგვიძლია. აქამდეც იყო მცდელობები, რომ ჩინურ ბაზარს დაეწყო აქტიური მუშაობა ამ კუთხით. თუმცა, 2 წლის წინ, სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტურად გაუაზრებელმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია ამ ბაზრის დაბლოკვა. მანამდე ჩინეთიდან იყო დიდი ნაკადი, ძალიან კარგად მუშაობდა ჰონგ-კონგი".

ჩინელი ტურისტებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების რისკებზე საუბრობს ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ია თაბაგარი:

„მე მგონია, ეს არის ძალიან საშიში თამაში ქვეყნისთვის. ვინაიდან შეიძლება ჩინეთიდან ჩამოვიდნენ ისეთი ადამიანებიც, ვისაც აქ დარჩენა და ფეხის მოკიდება სურს. ასე უცებ სავიზო რეჟიმის მოხსნა ცოტა საშიში მგონია. რისკები არსებობს. მათ შეუძლიათ ორგანიზებულ ტურში მთელი ოჯახი ჩაეწერონ და დარჩნენ აქ. ამაზე პასუხს ვერავინ ვერ აგებს, ვერც აქ მიმღები და ვერც იქიდან გამომგზავნი ტურისტული კომპანია".

ჯერჯერობით უცნობია, როდის დასრულდება მოლაპარაკებები ჩინეთთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შესახებ.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში აცხადებენ, მზადდება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩინეთში საქართველოს პოპულარიზაციისთვის იმუშავებს. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აშშ-ში ე.წ. პანამის დოკუმენტებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო



ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის პროკურატურამ ე.წ. პანამის კოკუმენტებზე გამოძიება დაიწყო. „გარდიანის" ინფორმაციით, ნიუ-იორკის სამხრეთის ოლქის ფედერლურმა პროკურორმა პრიტ ბჰარარამ, ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისა და გამოძიებაში დახმარების თხოვნით მიმართა.

პანამის დოსიეში ნახსენებია აშშ-ის 200-ზე მეტი მოქალაქე, რომელიც ოფშორული კომპანიების საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

„პანამის დოკუმენტების" სკანდალის გამო ისლანდიის პრემიერმა და ესპანეთის პრეწველობის მინისტრმა თანამდებობები დატოვეს. (ნიუპოსტი)

## რობი უილიამსის ვარსკვლავური ახირებები - 30 დივანი, 16 ლ. რძე, 48 კვერცხი და 50კგ. ყინული



ბრიტანელი მომღერალი რობი უილიამსი იმ ვარსკვლავებს შორისაა, რომლებსაც კონცერტის წინ ორგანიზატორები ყველა ახირებას უსრულებენ.

მაგალითად, გასულ წელს უილიამსის კონცერტის წინ, რუსულ მედიაში გამოქვეყნდა იმ ახირებათა დეტალები, რომელიც რუს ორგანიზატორებს უნდა დაეკმაყოფილებინათ.

ვარსკვლავის მოთხოვნების სია ასე გამოიყურება:

რობი უილიამსისა და მისი 120 კაციანი გუნდისთვის აუცილებელია 280 პირსახოცი, 6 ცეცხლმაქრი და 4 ბრიტანული გაზეთი. მომღერალი გაღიზიანდება, თუ არ ეყოლება 3 პირადი ვიზაჟისტი, თუ არ ექნება 6 ოთახი მომსახურე პერსონალისთვის და 5 ოფისი. ამასთან, ვიზაჟისტებს უნდა ჰქონდეთ ორი სარკე თავისი განათებით - ერთი მცირე ზომის, მეორე კი გაცილებით დიდი.

რობი სამუშაოდ მაშინ არის მზად, როდესაც მას თან ახლავს 8 მენეჯერი, საკუთარი სტილისტი, პირადი მასაჟისტი და 6 მცველი. როგორც წესი, რობი უილიამსი უარს ამბობს ტურნეში გამგზავრებაზე, თუ თან არ ახლავს ახლობელი ადამიანი, ხშირ შემხვევაში, მოგზაურობისას, მას თან მამა დაჰყვება.

რობი უილიამსის ტურნეს წინ აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მას დაახვედრონ 30 დივანი და 50 კილოგრამი ყინული. მიზანი, თუ რისთვის იყენებს მომღერალი ამ ყველაფერს, მითითებული არ არის.

მომღერლისა და მისი გუნდის კვებაზე, ჩვეულებისამებრ, ზრუნავს 6 მზარეული, რომელიც მას ყოველთვის თან დაჰყავს. ამასთან, ბრიტანელი მომღერალი ორგანიზატორებს სთხოვს, მისთვის იყიდონ 16 ლიტრი რძე, 24 კრემიანი ღვეზელი. ასევე, ერთი კილო სოკო, პომიდორი და 48 კვერცხი.

უცნობია, მოსთხოვა თუ არა რობი უილიამსმა ქართველ ორგანიზატორებს ის, რაც ზემოთ არის ჩამოთვლილი, თუმცა, ცნობილია, რომ საქართველოში, ბრიტანელი ვარსკვლავი 27 მაისს, „დინამო არენაზე" გრანდიოზულ შოუს გამართავს. კონცერტზე დასასწრები ბილეთები მსოფლიოს 52 ქვეყნიდან შეიძინეს.

დღეისათვის, რობი უილიამსის კონცერტზე დასასწრები 31 000-მდე ბილეთია გაყიდული. (info9.ge)

## ქართველები ოკუპირებულ ტერიტორიაზე საფლავებზე გასვლას ვერც წელს შეძლებენ



პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მომუშავე კომისიის მორიგი შეხვედრა კვლავ უშედეგოდ დასრულდა. ოსური მხარის წარმომადგენელმა დავით სანაკოევმა განაცხადა, რომ ქართველები ვერც წელს შეძლებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარი წინაპრების საფლავზე გასვლას ან სალოცავებში მისვლას. საზღვარი ღია მხოლოდ იმ მოქალაქეებისთვის იქნება, ვისაც საშვი აქვს და ისედაც მოძრაობს ახალგორისა და პერევის მიმართულებით.

– ჩვენ შევთავაზეთ ქართულ მხარეს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესახებ შეთანხმების გაფორმება და ავუხსენით სად შეიძლება განთავსდეს გამშვები პუნქტები, თუმცა ამისთვის საჭიროა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, - განაცხადა დავით სანაკოევმა. (პირველი რადიო)

## ნიშნიანიძე: თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატად ვაპირებდი კენჭისყრას

ომარ ნიშნიანიძე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქუთაისში, საფიჩხია-კახიანაურის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს. მისი თქმით, პარტიულ სიაში ის თავის თავს ნაკლებად მოიაზრებს, თუმცა „ქართული ოცნების“ სახელით მაჟორიტარულ არჩევნებში იბრძოლებს.

ნიშნიანიძე წინა არჩევნებსაც იხსენებს და ამბობს, რომ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას აპირებდა, თუმცა კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა ხელი შეუშალეს და ამ მიმართულებით, როგორც ის ამბობს „რესპუბლიკელები“, „ეროვნული ფორუმი“ და „თავისუფალი დემოკრატები“ აქტიურობდნენ. ამის შემდეგ კი, ნიშნიანიძეს ბიძინა ივანიშვილმა სთხოვა არჩევნებზე პარტიული სიით გასულიყო. (პირველი რადიო)

## არასამთავრობოები ქუთაისში „ოქროს ჩარდახის“ სკვერთან რესტორნის მშენებლობას აპროტესტებენ

ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მდინარე რიონთან მიმდინარე მშენებლობას აპროტესტებენ. აღნიშნულ ადგილზე კერძო კომპანია რესტორან „არგოს“ აშენებს.

არასამთავრობოების განცხადებით, თუ მერია არ შეცვლის გადაწყვეტილებას და არ შეაჩერებს მშენებლობას, ისინი პერმანენტულ აქციებს გამართავენ. (ინტერპრესნიუსი)

## აიტ! ბიძო აიტიშნიკო!!!



ყველა სოფელს ხომ ჩამოურიგა 5-5 მილიონი, ურეკის ყველა ოჯახში ხომ გამართა თითო სოლარიუმი და ხომ დაივიარებით მას მერე მთელი საქართველო საუცხოოდ გარუჯული, ბრინჯაოსფრად მოელვარენი, აი, ახლა, ინტერნეტი წალეკა ცნობამ იმის შესახებ, რომ თურმე ნუ იტყვით და დღენიადაგ ჩვენზე ზრუნვაში ჩამომხმარი ის ბრძენი კაცი, ყველა სოფელს მაღალსიჩქარიან ინტერნეტს უყენებს. დიახ, მისი დაფინანსებითა და ინიციატივით მთელ საქართველოს, ყველა სოფელს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ექნება, მერე რა, რომ მის მიერ 2012 წელს დაყენებული თეფშები მთელ საქართველოს ხაშლამის ფოდნოსად ექცა, მერე რა, რომ ეს ოხერი კომპიუტერი იმ ყველა სოფელში ყველას კი არა მოსახლეობის მეათედსაც არ აქვს, სამაგიეროდ, ყველას ექნება ინტერნეტი, თანაც მაღალსიჩქარიანი.

აი, რითი დაიჭერენ? მაგაზეც მაგ ბრძენმა კაცმა იზრუნოს, კაცო? ცოტა თქვენც გაინძერით, მიდექ-მოდექით, გაყიდეთ მიწები, გაყიდეთ სახლკარი, იყიდეთ კომპიუტერი და დაიჭირეთ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი, აბა, როგორ გინდათ, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი უეკლოდ ვის მოუკრეფია?

რატომღაც ამ ქვეყანაში იმ ბრძენი კაციდან დაწყებული, მის მიერ დაბოლებული ხალხით დამთავრებული, ყველა ფიქრობს, რომ რეგიონების მოსახლეობა იოლი დასაბოლებელია. ძალზე ხშირად იმასაც გაიგონებთ, რომ სოფელში ბნელი ხალხი დააბოლა ივანიშვილმა და ისე წამოაჯდა საქართველოს. ყველაფერი ისევ და ისევ სოფელს ბრალდება, არადა, ყველაფერი პირიქითაა!!! ჩახედეთ 2012 წლის არჩევნების შედეგებს და მერე გამოიტანეთ დასკვნა, ვინ უფრო იოლად დაბოლდა და როგორ აისახა ეს პროცენტებში!

ვაკეში, აი, იქ, სადაც ყავა ღვარად მოედინება, იქ, სადაც „დაირწა ცივილიზაციის აკვანი", ივანიშვილის „ოცნებამ" ხმათა 71,79 % მიიღო, საბურთალოზე - 70,63 %, ნაძალადევში - 72,6 %, დიდუბეში - 70,39 %, გლდანში - 70,05 %, ჩუღურეთში - 68,36 %, მთაწმინდაზე - 62,56 %, ისანში - 64,58 %, სამგორში - 64,51%, და ყველაზე ნაკლები თბილისის რაიონებიდან, კრწანისში - 58,45 %.

ახლა ეს შეადარეთ რეგიონების მონაცემებს. ნინოწმინდა - 17,13 %, მარნეული - 17,42 %, ახალქალაქი - 21,29%, ახალციხე - 21,34 %, ასპინძა - 23,29%, დმანისი - 25,75 %, ადგენი - 26,66%, წალკა - 28,28 %, შუახევი - 28,52%, ბოლნისი - 29,49%, წალენჯიხა - 31,78%, ზუგდიდი - 32, 51%, ხულო - 34,56%, ჩხოროწყუ - 35,66%, ვანი - 37 %, ხობი - 37,24 %, სენაკი - 37,31 %, აბაშა - 37,79%, ლაგოდეხი - 39,05%, მარტვილი - 40,34%, ცაგერი - 40,54%, წყალტუბო - 41,13%, გარდაბანი - 41,29%, ლენტეხი - 42,1%, ქედა - 44,97%, გურჯაანი - 45,03%, ყვარელი - 45,92%, ტყიბული - 46,75%, ხონი - 47,34%, თერჯოლა -47,47%, გორი - 47,85%, ბაღდათი -49%, სიღნაღი - 49,07%, დედოფლისწყარო - 49,18%, თელავი - 49,37%.

ხედავთ, ამდენ რაიონში ბიძინამ არჩევნებზე მისული მოსახლეობის ნახევარიც ვერ დააბოლა, არათუ მთელი მოსახლეობის!

როგორც უკვე ვთქვით, „ოცნებამ“ თბილისში ყველაზე ცოტა ხმა კრწანისის რაიონში მიიღო - 58,45%. ახლა ვნახოთ, რამდენი რაიონი მივიდა ამ ყველაზე დაბალ თბილისურ მონაცემამდე:

ამბროლაურში ხმა 50,48%-მა მისცა „ოცნებას“, მესტია - 50,98%, თეთრიწყარო - 50,99%, ხარაგოული - 51,2%, ახმეტა - 51,56%, ჩოხატაური - 52,42%, ონი - 53,15%, ქარელი - 54%, სამტრედია - 54,94%, რუსთავი - 56,34 %, ქობულეთი - 56,73%, კასპი - 56,78%, საგარეჯო - 57,14%, ქუთაისი - 57,37%, ხაშური - 58,24%. სულ 13 რაიონი დაეწია კრწანისს!

კრწანისს დაეწივნენ, მაგრამ გაბითურებაში მაინც ვერ გადაუსწრეს „სვეცკი" უბნებს. თიანეთში - 58,56 %-მა მისცა ხმა, ფოთში - 58,6%-მა, ოზურგეთში - 59,49%-მა, ზესტაფონში - 60, 8 %-მა, ლანჩხუთში - 61,45%-მა, ამათ მხოლოდ კრწანისს გაუსწრეს და ვერ დაეწივნენ ვერც ერთ სხვა თბილისურ უბანს. აი, ძლივს გაუსწრეს მთაწმინდას (62,56%) და სხვებს ვერ გადაასწრეს მცხეთამ (62,64%), ბორჯომმა (63,33%), ხელვაჩაურმა (63,82%), დუშეთმა (63,9%). მიშას მიერ აყვავებულმა, უმადურობის აკვანმა ბათუმმა (65,37%) თბილისის რაიონებიდან ქოცობაში გადაასწრო მხოლოდ კრწანისს, სამგორს, ისანს, მთაწმინდას. ყაზბეგმაც კი ვერ მოხსნა ვაკე-საბურთალოს რეკორდი! ყაზბეგში 70,35%-მა მისცა ხმა ქოცნებას.

და იცით ვინ გადაასწრო ვაკე-საბურთალოს მხოლოდ? მხოლოდ საჩხერემ - 93,42% და ჭიათურამ - 75,05%!

ასე რომ, სანამ რაიონების მასხარად აგდებას დაიწყებთ და იმის მტკიცებას მოჰყვებით, რომ სოფლელი იოლად გოიმდება, ვაკე-საბურთალოზე გაიარ-გამოიარეთ და განიავდით. (presa.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „როგორც ჩანს, მარგველაშვილიც ეძებს გამოსავალს, როდესაც შეძლებს, სახე შეინარჩუნოს“



ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე გია ვოლსკი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს არ გამორიცხავს.

„ჯერჯერობით ასეთი ინიციატივა არსებობს. ჩვენი მთავარი ყურადღება და კონცენტრაცია არის იმ იმედზე, რომ საბოლოო შეთანხმება მიღწეული იქნება ისე, როგორც ეს ევროპულ ქვეყნებში არსებობს. წინასაარჩევნო პერიოდის მაქსიმალურ ვადად სამი თვე არსებობს ბელგიაში და სხვა ევროპულ განვითარებულ ქვეყნებში. სახელმწიფო უმაღლესი სტრუქტურების შეთანხმება უნდა მოხდეს იმისთვის, რომ არ იყოს ზედმეტი ვალდებულებები საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, ამის რეგულაცია კანონით მოახდონოს, ამაზე იყოს ბჭობა და დაპირისპირებები. პოლიტიკურ სპეკულაციას განვითარების საშუალება არ უნდა მიეცეს - ეს დამოკიდებულია პრეზიდენტზე. თუკი პრეზიდენტი სწორ ნაბიჯს გადადგამს, იქნება არამარტო პოლიტიკურად სწორი, არამედ მართებული ჩვენს საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში, - აცხადებს ვოლსკი.

მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მეორედ უარყოფს პრეზიდენტის განკარგულებას, პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება, მთავრობას მომდევნო 6 თვის განმავლობაში იგივე აქტი წარუდგინოს. როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ანა ნაცვლიშვილი განმარტავს, ეს ნიშნავს, რომ არჩევნების თარილი შეიცვლება. 6 თვის შემდეგ თავიდან გადაწყვეტს პრეზიდენტი არჩევნების თარიღს და თავიდან უნდა დაიწყოს მათ შორის კონტრასიგნაციის პროცედურაც. ეს გამოიწვევს იმას, რომ თარილი შეიცვლება. ამავე დროს გარკვეული სამართლებრივი ვაკუუმი შეიქმნება, რადგან პარლამენტს ამოეწურება კონსტიტუციით დადგენილი ვადა და ვერ ჩაინიშნება შესაბამის დროში არჩევნებში. აქედან გამომდინარე, ოქტომბრის შემდეგ უნდა გადაიწიოს არჩევნების თარილმა. ფაქტობრივად გამოვა, რომ ამ პერიოდში საკანონმდებლო ორგანო არ იქნება ფუნქციური, რადგან მას აღარ ექნება კონსტიტუციური მანდატი. ეს ნამდვილად არ იქნება სასურველი ქვეყნისთვის, - აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი პოლიტიკური კრიზისისკენ მიდის, ხოლო მიზეზი საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურება. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ მთავარი დამნაშავე მაინც მედიაა, რომელსაც ხშირად, არასაჭირო თემებზე გადააქვს აქცენტი.

– პოლიტიკური კრიზისი გინდ მთავრობაში, გინდ პარლამენტში მაშინ დგება, როდესაც გადაწყვეტილების მიღების უნარი აღარ არის და უნდა მოხდეს მთელი რიგი პროცესების გადათამაშება. ასეთი სიტუაცია ამ მომენტისთვის არ არის, მაგრამ თუ გადაიდგა ეს ნაბიჯები, გაჯიუტდა პრეზიდენტი და ა.შ. რა თქმა უნდა, პოლიტიკური კრიზისი შეიქმნება.

თუ გადავადდა არჩევნები, ეს ნიშნავს, რომ პარლამენტიცა და მთავრობაც ვადაზე მეტხანს აღმოჩნდებიან მართვის პულტთან და ეს შექმნის პრობლემებს.

თუ კანონი შეცვალეს, ეს ისეთი რამაა, რომელიც ყველა კრიზისიდან გამოგიყვანს, თუმცა გარკვეული ჩიხური სიტუაციები შეიქმნება.

როგორ ჩანს, მარგველაშვილიც ეძებს ისეთ გამოსავალს, როდესაც პრეზიდენტი შეძლებს, სახე შეინარჩუნოს. ვფიქრობ, რომ მარტივი შეცდომის შედეგი იყო მთელი ეს არეულ-დარეულობა, მარგველაშვილს განკარგულება რომ არ გამოეცა, ალბათ, არც არაფერი მოხდებოდა.

მგონია ეს შეეშალა - არ იცოდა, რომ არ იყო აუცილებელი ასეთი განკარგულების გამოცემა და იმ დროისთვის რაზედაც შეთანხმდებოდნენ, შეიძლებოდა, გამოქვეყნებულიყო გადაწყვეტილება არჩევნების თარილის შესახებ.

ამ ბუზიდან იმხელა სპილო გაიზარდა, რომ შეიქმნა სიტუაცია, რაც გვაქვს. ვფიქრობ, ახლა მარგველაშვილი ამ გაუგებრობიდან ეძებს გამოსავალს თან ისე, რომ შეინარჩუნოს მისი, როგორც პრეზიდენტის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება. (for.ge)

## მამუკა კაციტაძე - თუ კალაძისთვის ეს პროცესი არის სამადლო ლუკმის გადმოგდება, შეუძლია თავისთვის დაიტოვოს

– თუ კალაძისთვის ეს პროცესი არის სამადლო ლუკმის გადმოგდება, შეუძლია, რომ ეს ლუკმა თავისთვის დაიტოვოს, - ასე გამოეხმაურა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფის წევრი, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ინტერპარტიული ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ხუთი მოთხოვნიდან ოთხი დაკმაყოფილებულია.



როგორც მამუკა კაციტაძე აცხადებს, უმრავლესობასთან შეხვედრაზე მათ ოთხ საკითხზე ისაუბრეს და აქედან ორ საკითხზე სრული უარყოფა მიიღეს, ხოლო ორზე – ნაწილობრივი თანხმობა. ამასთან, მამუკა კაციტაძე ხელისუფლებას სთხოვს, წერილობითი პასუხი გასცეს ინტერპარტიული ჯგუფის მოთხოვნებს, რათა საზოგადოებამ უკეთ დაინახოს ხელისუფლების პოზიცია, რომ ის არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.

– ბატონ კალაძეს ეკუთვნის ფრაზა, რომ ჩვენ შეღავათებს ვუკეთებთ მცირე პარტიებსო. პრობლემა არის მიდგომაში, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის კალაძე ამ პროცესს უდგება როგორც სამადლო ლუკმის გადაგდებას ოპოზიციისადმი, - ამბობს კაციტაძე.

რაც შეეხება პარლამენტში შესვლისა და კვალიფიციურ პარტიად გახდომის ბარიერის თაობაზე ხელისუფლების პოზიციას, მამუკა კაციტაძე ხელისუფლების მხრიდან მდაბიო ვაჭრობას უწოდებს.

– ჩვენ ბარიერების პუნქტში გვიწერია ორი რამ, რომ პარლამენტში შესვლის ბარიერი დაიწიოს 3 პროცენტამდე და კვალიფიციური სუბიექტის ბარიერი 2 პროცენტამდე. ანუ ლაპარაკი გვაქვს თითო პროცენტით ბარიერის დაწევაზე. პასუხი კი ასეთია, რომ ერთს დავწევთ და მეორეს ვერ დავწევთ. ეს გამოდის, რომ არის მდაბიო ვაჭრობის ფორმა. ამ ვაჭრობისთვის არ არის ეს ფორმატი შექმნილი, - აცხადებს მამუკა კაციტაძე. (ინტერპრესნიუსი)

## ე.წ. მესაზღვრეებმა სოფელ ხურჩაში 12 პირი დააკავეს

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან, კონფლიქტისპირა სოფელ ხურჩაში სავარაუდოდ, 12 პირი რუსმა „მესაზღვრეებმა“ დააკავეს.

დაკავებულებს შორის არასრულწლოვანებიც არიან.

როგორც სამეგრელოს საინფორმაციო პორტალი წერს, დაკავება მაშინ მოხდა, როდესაც მოქალქეები ე.წ. მესაზღვრეების პატრულირების დასრულებას ელოდნენ, რათა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემოვლითი გზებით გადასულიყვნენ. მათთან მოულოდნელად საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები მივიდნენ და მოქალაქეები დააკავეს. (pia.ge)

## ფარდულში აღმოჩენილი მტვრიანი მანქანა, რომელიც 8,5 მილიონ დოლარად შეფასდა!



დაუჯერებელია, მაგრამ ასეც ხდება – და-ძმის საოცარი ისტორია, რომელიც იღბლიანად დამთავრდა, 2009 წელს ბიძის გარდაცვალებით დაიწყო, რომელსაც საკუთარი ძველი ფარდული ჰქონდა.

როდესაც 89 წლის ჰაროლდის გარდაცვალების შემდეგ ფარდული გააღეს, ყველა გაოცდა. ოჯახის წევრებს მოსმენილი ჰქონდათ ჭორები, რომ ფარდულში რაღაცები ინახებოდა, მაგრამ ასეთი ღირებული „ბუგატის" ნახვას ნამდვილად არავინ ელოდა!

აღმოჩნდა, რომ „ბუგატის" ეს უნიკალური მოდელი ერთ-ერთი იყო იმ 43 მანქანიდან, რომელიც 1937 წელს იტალიელმა მწარმოებელმა დაამზადა. ის ცნობილია განსაკუთრებული მოდელის სტატუსით და ძირითადად ბრიტანელმა არისტოკრატებმა შეიძინეს.

*aww.ge*



## რატომ არ აღიარებენ ადამიანები საკუთარ შეცდომებს?



შეუდარებელია განცდა, როცა შეგიძლია, დოინჯი შემოირტყა და წელგამართულმა თქვა – ვიცოდი, ხომ გეუბნებოდი! ეს და მსგავსი ფრაზები საოცარი სისწრაფით ზრდის თვითშეფასებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირ გახეთქვამდე ბერავს ჩვენს ისედაც გაფუყულ ეგოს.

მაინც, რატომ გვსურს, რომ მუდმივად მართლები ვიყოთ და რატომ გვეშინია შეცდომის აღიარება მაშინაც კი, როცა ჭირი თავს თავადაც არ მალავს? ყველაფერი ჩვენი ფსიქიკის დამსახურებაა. როგორც სხვა ბევრი გაუცნობიერებელი საქციელიც, თავის მუდმივად სიმართლის მღაღადებელ ადამიანად წარმოჩენა შიშთან არის დაკავშირებული.



არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც არსებობს მხოლოდ მათი აზრი და არასწორი აზრი. მათთვის საზოგადოებაში ყოფნისას აუცილებელია, საკუთარი პერსონის მნიშვნელობის განცდა. ეს მათ სიტუაციის მართვისა და სოციუმის სხვა წევრების თავდასხმისგან თავდაცვის განცდას უქმნის. სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ილუზია. სიმართლე ხომ ყველას თავისი აქვს. ინდივიდუალური სიმართლე საზოგადოებამ შესაძლოა, გაკიცხოს, ან მიიღოს.

თუ ადამიანი დაუშვებს, რომ შესაძლოა, ცდებოდეს, მაშინ მას ნაკლები პრობლემები შეექმნება, მაგრამ რა მოვუხერხოთ მათ, ვინც პირდაპირ უზენაეს მოვალეობად მიიჩნევენ, რომ მართლები იყვნენ და პანიკაში ვარდებიან, თუ მოლოდინი არ უმართლდებათ? ყველაფერი არც ისე მარტივადაა და აი, რატომ.

1. ადამიანს სტატუსის დაკარგვის ეშინია. უნდა გავიაზროთ, რომ საზოგადოებას თავისი გასჭირვებია და ყველა საკუთარ პიროვნებაზე ფიქრითაა დაკავებული, ამიტომ სტატუსი უნდა შევქმნათ არა გარშემომყოფების, არამედ საკუთარ აზრზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში პატივისცემას მოვიპოვებთ და ჩვენს აზრებსაც ხშირად გაიზიარებენ.

2. სიამაყე. აი, რა არის პიროვნების ყველაზე უსარგებლო თვისება. სიმტკიცის განცდა სხვა არაფერია, თუ არა ნიღაბი, რომლის მიღმაც არასრულფასოვნების კომპლექსი იმალება. საკუთარი თავის ირგვლივ ქვის კედლის აგება იგივეა, რაც ადამიანს ცუდად ეხუმრო. ასეთ შემთხვევაში, ჩვენს აზრზე დავრჩებით, მაგრამ სიმართლე ძალიან ძვირი დაგვიჯდება. ჩვენგან შესაძლოა, ისინიც წავიდნენ, ვინც ადრე აშკარა სიმპათიას გამოხატავდნენ.

3. შიში, რომ დავმცირდებით. ასეთი განცდები ძირითადად, მოზარდებს უჩნდებათ, თუმცა ზრდასრულებსაც ხშირად აწუხებთ. მაგალითად, ადამიანისთვის, რომელიც სუპერგმირის იმიჯს იქმნიდა, იმის აღიარება, რომ მართალი არ არის, დამარცხების ტოლფასია. უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომა კი არ გვაშორებს ადამიანებთან, არამედ პირიქით, გვაახლოებს. ისინი ჩვენში ცოცხალ ადამიანს დაინახავენ, რომელმაც საკუთარ თავში შეცდომის აღიარების ძალა იპოვა.

4. ნაპოლეონის კომპლექსი. ასეთი ადამიანი მცირე დათმობაზეც კი კატეგორიულ უარს აცხადებს. მისი აზრით, ასე გვირგვინს დაკარგავს, რომელიც ოდესღაც თავად დაიდგა. სინამდვილეში „ნაპოლეონი" გაცილებით მეტს, ადამიანურ სახეს კარგავს. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ გაცილებით მარტივად და დიდხანს ცოცხლობენ ისინი, ვინც თავიანთ შეცდომას აღიარებენ. სწორედ შეცდომის აღიარებაში იმალება ადამიანის სულიერი ძალა.

სანამ თავი სამყაროს ჭიპი გვგონია, ვიცოდეთ, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით. როცა გავიაზრებთ, რომ სრულყოფილები არ ვართ – ღია ვიქნებით ყოველგვარი სიახლისა და სარგებლისადმი.

*globalscience.ru*



## როდის ავადდებიან ბავშვები ნევროზით და რატომ ეწყებათ შიში?



გავრცელებული მოსაზრება, რომ ნევროზი და დეპრესია მხოლოდ უფროსებისთვის არის დამახასიათებელი, მცდარია. ნევროზი ბავშვებს გაცილებით ხშირად აწუხებთ, ვიდრე დიდებს.

ჯანმრთელი ბავშვების შიშს ყოველთვის რეალური საფუძველი აქვს. წლამდე ასაკში პატარა მაღალი ბგერებისა და დიდი საგნების მიახლოებაზე შფოთავს, ამავე პერიოდში, ჩვილი განსაკუთრებით მგრძნობიარეა დედის მიმართ, მაგალითად, თუ მშობელი იცინის, პატარაც მშვიდად არის, თუ მშობელი ნერვიულობს – პატარაც აღგზნებულია. 2-3 წლის ასაკში ბავშვს ტკივილის, ექიმებისა და ზღაპრების ბოროტი გმირების ეშინია. 6-7 წლისები კი უკვე საკუთარ სიკვდილსა და ახლობლების დაკარგვის შესაძლებლობას აცნობიერებენ. სკოლის მოსწავლეების შიშები მათ ახალ სოციალურ როლთან არის დაკავშირებული. ისინი ნერვიულობენ, რომ შეიძლება, ვერ გაამართლონ ახლობლების, მეგობრებისა და მასწავლებლების იმედები. ყველა ეს შიში ნორმალურია და თითქმის ყველა ბავშვისთვის დამახასიათებელი, თუმცა უფროსებისგან ტაქტიკურ მიდგომას მოითხოვს. მაგალითად, თუ პატარას ბნელ ოთახში მარტო დატოვებთ, მას შეეშინდება და ვერ დაიძინებს. არ შეიძლება დასჯის მიზნით მისი ოთახში ჩაკეტვაც, ამ დროს მას უფრო უძლიერდება სიბნელისა და მარტო ყოფნის შიში, რასაც ემატება მშობლის განრისხების შიშიც. ეს უკვე ნევროზია.

რაც არ უნდა უსაფუძვლო მოგეჩვენოთ თქვენი შვილის შიში, არ დასცინოთ, აგრძნობინეთ, რომ მის გამოცდაში არანორმალური არაფერია და რომ მის ასაკში თქვენც გეშინოდათ. მშობლის მხრიდან უტაქტო მიდგომის შემთხვევაში ბავშვი საკუთარ თავში იკეტება და საკუთარი განცდის მიზეზს ეძებს. თუ გამოსავალს ვერ იპოვის, მას ფობია უყალიბდება.

ფობია თავს მოხვეული შიშია. არსებობს კლაუსტროფობიაც, ანუ დახურული სივრცის შიში, ასევე სოციოფობია, ანუ ურთიერთობის შიში, ნოზოფობია, ანუ დაავადებების შიში და სხვა. შედეგად პატარა საკუთარი თავისადმი რწმენას კარგავს, უთქმელი, ან პირიქით, ძალიან აგრესიული ხდება. ბავშვებში ნევროზული შიშების განვითარება შეიძლება მემკვიდრეობითი, ანუ გენეტიკური იყოს. პატარას ჯანმრთელობისთვის საჭიროა არა მხოლოდ მშობლის სწორი დამოკიდებულება მისდამი, არამედ მშობლების ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა. ნევროზული შიში, როგორც წესი, ვეგეტაციური წესის მოშლილობით – გახშირებული გულისცემით, სიცხით, შემცივნებით, უძილობით, მადის დაკარგვით ხასიათდება, ამიტომ ამ სიმპტომების გაჩენისთანავე საჭიროა, თქვენს შვილს სასწრაფოდ მიაქციოთ სათანადო ყურადღება.

*postalioni.com*



## სახელი სიცოცხლის ხანგრძლივობას განსაზღვრავს



ვარჯიში, სწორი კვება, ნაკლები სტრესი რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედებს, ვიცოდით, მაგრამ სახელსაც თუ მნიშვნელობა ჰქონდა, ალბათ, არასდროს გვიფიქრია. არადა, მეცნიერები მრავალწლიანი კვლევის შედეგებით გვიდასტურებენ თავიანთ დასკვნას და მოდი და ედავე.

კვლევა ალაბამას, მისურის, ილინოისისა და ჩრდილოეთ კაროლინის შტატებში ჩაატარეს. 1802 წლიდან 1970 წლის ჩათვლით გარდაცვლილი ადამიანების დოკუმენტები შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ კაცები, რომლებსაც ბიბლიური სახელები ჰქონდათ, უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც მშობლებმა ჩვეულებრივი სახელები უბოძეს.

კვლევის ხელმძღვანელი იმდენად არის თავის სიმართლეში დარწმუნებული, რომ ისიც კი აღნიშნა, ვისაც ბიბლიური სახელი აქვს, არამხოლოდ დიდხანს ცოცხლობს, უფრო კეთილ გზასაც გადის და ნაკლებ ცოდვას სჩადისო.

მოკლედ, ის დროა, არაბიბლიური სახელის მქონეები ჯოჯოხეთისთვის მზადებას ვიწყებდეთ.

*globalscience.ru*





## მექსიკელი პოლიციის ოფიცერი გამომწვევი ფოტოს გამო უმუშევარი დარჩა

მექსიკაში პოლიციის ოფიცერი ჭარბად გულახდილი ფოტოების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. თურმე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ჟამს, პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა მკერდი მოიშიშვლა და ფოტოები გადაიღო, თანაც თავის ფეისბუკგვერდზე ატვირთა.

ქალის საქციელს ორი შვილის დედისთვის მეტისმეტად ამორალური უწოდეს და სამსახურიდან გაუშვეს. თანაც ჯერ კიდევ იძებნება მეორე პოტენციური დამნაშავე იმიტომ, რომ არ გარკვეულა, ფოტო თავად გადაიღო თუ ვინმეს დახმარებით.

„არ ვიყავი მართალი, როცა თავს უფლება მივეცი, სამუშაო საათებში, სამსახურის ფორმით ასეთი ფოტოები გადამეღო. ამით ჩემს შვილებს, ქმარსა და ოჯახს ვავნე", – აღიარა ერთ ფოტოს შეწირულმა პოლიციელმა.

*lenta.ru*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ბაზრის ფასები
2. ნახშირმჟავას მარილი
3. მისი დედაქალაქია პარიზი
4. აპოლონის ქურუმი ტროაში
5. ქალაქი ციმბირში
6. ჩრდილოეთის ირემი
7. შენობა, ჭრიან ფულს
8. მევიოლინე ... ისაკაძე
9. კალოზე გასალეწი ფიცარი
10. მსახიობი ... მიფუნე
11. გაზეთების ჯიხური
12. მხ/ფ „...კბილი“
13. სინთეზური ქსოვილი
14. ბულგარული არაყი
15. მსახიობი ... ბანდერასი
16. ძველი ეგვიპტის ფარაონი
17. ჩანჩქერი აშშ-ში
18. ... პუგაჩოვა
19. მხ/ფ „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
20. მსახიობი ... ჰოუნი
21. „მთვარის მოტაცება“ თარამ ...
22. სიუჟეტიანი ხალიჩა
23. რძის პროდუქტი
24. ტკბილი კარტოფილი
25. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
26. სიმინდის გამხმარი ღეროები
27. მსახიობი ჯონ ...
28. ცხენბურთი
29. დინამიტის გამომგონებელი
30. ხელის საგრილებელი
31. ვულკანი სიცილიაზე
32. ქალაქის მუნიციპალიტეტი
33. პურის დასაბრაწი ხელსაწყო
34. ყვავილების კონა
35. სოფოკლეს ტრაგედია
36. ჰაცე, ვირო არ მოკვდე, გაზაფხულზე ... ამოვაო
37. ხარი ... რომ დააბა
38. ძროხის ნაშიერი
39. ცხენირემი
40. ტბა აშშ-ში
41. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
42. ... მარაბდელი
43. მისი დედაქალაქია ბრიუსელი
44. ნიშნავს ცივს
45. თავის ტკივილი
46. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
47. წნევის გასაზომი ხელსაწყო
48. კედლის შანდალი
49. ტროპიკული ნაყოფი
50. მსახიობი ... ჰათაუეი
51. ჩოგბურთელი იანიკ ...
52. ცელქი
53. რეჟისორი ... კუსტურიცა
54. მსახიობი სოფი ...
55. სასულე ინსტრუმენტი
56. ფრთოსანი არსება
57. დირიჟორი ოდისეი ...
58. ნიანგის სახეობა
59. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
60. ჯეიმს კამერონის ფილმი
61. თავფეხიანი მოლუსკი
62. აკვიატება
63. სოფელი დუშეთის რაიონში
64. მხედველობის ორგანო
65. მსახიობი ... სინიორე
66. მდინარე თბილისში
67. ლატვიის დედაქალაქი
68. შხამიანი მწერი
69. ფურცელი ხელიბადის დღეებით
70. ანიკოს პირველი ქმარი (ფილმიდან)
71. „დიდოსტატის მარჯვენა“ კონსტანტინე არსაკიძის თიკუნი
72. ... უდუმაშვილი
73. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
74. მწერი სამზარეულოში
75. მსახიობი ... ბლუმი
76. მამათა დიდი მონასტერი
77. ტერმინი ფოტოგრაფიაში
78. „... ფრანკის დღიური“
79. ცეკვა მულენრუჟში
80. ჯადოქარი
81. ტბა პერუში
82. მხ/ფ „ნატვრის ხე“ პერსონაჟი
83. ბაღჩეული
84. რეჟისორი ... დე ბონტი
85. ყორღანი ვოლგოგრადთან
86. ... ცეტკინი
87. მწვავე ტონზილიტი
88. საგალობელი ...-მარია
89. კუნძული ინდონეზიაში
90. კუდიანი ვარსკვლავი
91. რეჟისორი ... მურატოვა
92. იოლი, ანუ ...
93. პოეტი ლუი ...
94. მოგზაური ... პოლო
95. მსახიობი ნიკო ...
96. ყაზახეთის დედაქალაქი
97. გადაშენებული ფრინველი
98. დასარტყამი საკრავი
99. შენობის ჩონჩხი
100. ქალაქი სომხეთში
101. მსახიობი კრისტოფერ ...
102. მომღერალი ... პიაფი
103. ლერწმის მოსაჭრელი დანა
104. ციტრუსი
105. ბერძ. ანბანის პირველი ასო
106. რაიმე რწმენით უკიდურესად გატაცებული ადამიანი
107. უქორწინო თუთიყუში
108. მოჭადრაკე ... კრამლინგი
109. მომღერალი ... კუტუნიო
110. ბჭობა
111. გამის ნოტი
112. დიდი ჯოხი
113. ჩინეთის დიდი ...
114. კონტინენტი
115. ყურე
116. არგენტინული ჩაი
117. ვირას საპირისპირო ბრძანება
118. მხატვარი ... მატისი
119. პირველი სამნიშნა რიცხვი
120. კათიონი და ...
121. ხილი
122. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
123. ზღვის კომბოსტო
124. კომპოზიტორი ... კვერნაძე
125. აზროვნების ორგანო
126. ..., პორთოსი, არამისი
127. ყვავილი

პასუხები: 1. მაზანდა; 2. კარბონატი; 3. საფრანგეთი; 4. ლაოკოონი; 5. ირკუტსკი; 6. მარალი; 7. ზარაფხანა; 8. ლიანა; 9. კევრი; 10. ტოსირო; 11. კიოსკი; 12. ზვიგენის; 13. ვისკოზა; 14. რაკია; 15. ანტონიო; 16. ტუტანხამონი; 18. ალა; 19. ლილუ; 20. გოლდი; 21. ემხვარი; 22. გობელენი; 23. კარაქი; 24. ბატატი; 25. ლიხტენშტაინი; 26. ჩალა; 27. კიუსაკი; 28. პოლო; 29. ნობელი; 30. მარაო; 31. ეტნა; 32. მერია; 33. ტოსტერი; 34. თაიგული; 35. „ანტიგონე“; 36. იონჯა; 37. ხართან; 38. ხბო; 39. ლოსი; 40. მიჩიგანი; 41. სერ; 42. არსენა; 43. ბელგია; 44. კრიო; 45. შაკიკი; 46. „მანანა“; 47. ბარომეტრი; 48. ბრა; 49. ბანანი; 50. ენ; 51. ნოა; 52. ონავარი; 53. ემირ; 54. მარსო; 55. ჰობოი; 56. ანგელოზი; 57. დიმიტრიადი; 58. ალიგატორი; 59. ურუგვაი; 60. „ავატარი“; 61. ნაუტილუსი; 62. მანია; 63. მლეთა; 64. თვალი; 65. სიმონა; 66. მტკვარი; 67. რიგა; 68. კელა; 69. კალენდარი; 70. კია; 74. უტა; 72. ზაალ; 73. ტურა; 74. ტარაკანი; 75. ორლანდო; 76. ლავრა; 77. ნეგატივი; 78. ანა; 79. კანკანი; 80. მაგი; 81. ტიტიკაკა; 82. ელიოზი; 83. ნესვი; 84. იან; 85. მამაი; 86. კლარა; 87. ანგინა; 88. ავე; 89. იავა; 90. კომეტა; 91. კირა; 92. ადვილი; 93. არაგონი; 94. მარკო; 95. გომელაური; 96. ასტანა; 97. მოა; 98. დაირა; 99. კარკასი; 100. სპიტაკი; 101. რივი; 102. ედიტ; 103. მაჩეტე; 104. ლიმონი; 105. ალფა; 106. ფანატიკოსი; 107. არა; 108. პია; 109. ტოტო; 110. კამათი; 111. სი; 112. კეტი; 113. კედელი; 114. აზია; 115. უბე; 116. მატე; 117. მაინა; 118. ანრი; 119. ასი; 120. ანიონი; 121. ატამი; 122. აბო; 123. ლამინარია; 124. ბიძინა; 125. ტვინი; 126. ათოსი; 127. ია. იკითხება: ალბერტო სორდი. ვიტორიო გასმანი. მარჩელო მასტროიანი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ვანგას მემკვიდრე მომავალ საფრთხეებზე საუბრობს



ვანგას მემკვიდრე, ფრანგი გოგონა კაედე უბერი მომავალ საფრთხეებზე საუბრობს. გოგონა, რომელიც განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევა, თურქეთისა და სირიის გარდა, ახალ საფრთხეს ალჟირში ხედავს.

ახალგაზრდა ნათელმხილველი ევროპაში ტერორიზმისა და ლტოლვილების დასახლების შემდეგ, დედამიწაზე ეკოლოგიურ კატასტროფას წინასწარმეტყველებს, ხოლო 6 წლის შემდეგ მსოფლიო სასმელი წყლის გარეშე დარჩება.

ვანგამ გარდაცვალებამდე თავის მემკვიდრედ სხვებისგან განსხვავებული, განსაკუთრებული გოგონა დაასახელა, რომელიც ევროპაში უნდა მოეძებნათ. კაედე უბერი მონპელიეში დაიბადა. სანამ გოგონას ვანგას მემკვიდრედ ოფიციალურად დაასახელებდნენ, მას უამრავი ტესტის ჩაბარება მოუწია. გოგონას განსაკუთრებულობამ ყველა დაარწმუნა, რომ ვანგელია გუშტეროვა თავის მემკვიდრეში სწორედ ამ გოგონას გულისხმობდა.

*daijesti.pia.ge*

## განიერი წელი — დაცვა გულისთვის



რაც უფრო წვრილი წელი აქვს ქალს, მით კმაყოფილი და ბედნიერია ხოლმე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, იდეალურ მდგომარეობაში ასეთი ადამიანები სულაც არ არიან.

კალიფორნიელი მეცნიერები განიერ წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების დამცველს უწოდებენ, რაც, პრინციპში, ეწინააღმდეგება გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მცირე წონა გულის ჯანმრთელობას განაპირობებს.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ წელის არეში არსებული ცხიმი პაციენტებს გართულებებისგან იცავს.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა 28 წლის მანძილზე გრძელდებოდა და, საერთო ჯამში, 2718 ადამიანის მდგომარეობის შესწავლა მოხდა, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა უკმარისობას განიცდიდნენ. დიდად ითვლებოდა წელის გარშემოწერილობა: მამაკაცებისთვის 40 დიუმი და მეტი, ხოლო ქალებისთვის – 37 დიუმი და მეტი.

ეს არის 102 და 88 სანტიმეტრი, შესაბამისად. დადგინდა, რომ გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის ფონზე წარმოქმნილი კრიზისის შემდეგ გადარჩენის გაცილებით მაღალი შანსები განიერი წელისა და შთამბეჭდავი წონის მქონე ადამიანებს უფრო ჰქონდათ, ვიდრე სუსტებს.

*tainamira.ru*

## რატომ ხდება, რომ ერთი მობილურის მიღება მეორე აპარატისაზე უკეთესია?



„მე ერთი ხაზი მაქვს“, „მე კი – ორი“ ასეთი დიალოგი შეიძლება შედგეს არა მხოლოდ გოგონებში, რომლებმაც ორსულობის ტესტი ჩაიტარეს, არამედ იმ ადამიანებშიც, რომლებიც სარდაფის კაფეში სხედან.

რატომღაც მიიჩნევა, რომ სხვადასხვა ბრენდის მობილურ ტელეფონს საბაზო სადგურების სიგნალების მიმართ განსხვავებული მგრძნობელობა აქვთ. ინტერნეტში მოდელის არჩევას მთელი ფორუმები ეძღვნება, სადაც იმის განხილვა მიდის, რომელ აპარატს აქვს ყველაზე საუკეთესო მიღება.

სინამდვილეში ასეთი მსჯელობები მხოლოდ წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ჯიესემ-ტელეფონებში საერთოდ არ არსებობს მგრძნობელობის გაგება. თითოეული მათგანი სიგნალს ერთნაირად იღებულობს, ყოველ შემთხვევაში, ეს სწორედ ასე უნდა იყოს.

– უბრალოდ, სხვადასხვა მწარმოებელი თავის აპარატს სხვადასხვანაირად აწყობს. ამდენად, სიგნალი 20 დეციბელის სიმძლავრით შეიძლება ერთი კომპანიის მოდელმა ორი ხაზით შეაფასოს, მეორემ კი – სამი ხაზით. ორივე შემთხვევაში, მიღება ტელეფონებს ზუსტად ერთნაირი აქვთ, – განმარტავენ სპეციალისტები.

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**21 აპრილი:** შესაძლოა, დღეს მოგონებებმა გაგიტაცოთ და საქმიანი კალაპოტიდან ამოვარდეთ. რეალობას დაუბრუნდით და პრობლემებს მიხედეთ.

**კურო 22.04-21.05**
**21 აპრილი:** იმდენად საინტერესო დღე უნდა იყოს, ძალიანაც რომ მოინდომოთ, არ მოიწყენთ. თუ სამომავლო გეგმებს ახლობლებთან განიხილავთ, ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**21 აპრილი:** როგორც ჩანს, ახლობლები არცთუ სასიამოვნო თემაზე დაგელაპარაკებიან. მოთმინება გმართებთ, რომ კონფლიქტი აიცილოთ თავიდან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**21 აპრილი:** თუ ზღაპრის რეალობად ქცევა გინდათ, მთელი მონდომებით უნდა იმოქმედოთ. ალბათ, დახმარება დაგჭირდებათ და არც ეს დაახანებს.

**ლომი 23.07-22.08**
**21 აპრილი:** გარშემომყოფთა დამორჩილებისა და აყოლიების რეალური შანსი მოგეცემათ. აქედან ბევრი სარგებლის მიღებას შეძლებთ, ოღონდ, არ გადაამლაშოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**21 აპრილი:** თქვენი განწყობა გადამდები იქნება. შეეცადეთ, საზოგადოებაში მძიმე განწყობით არ გამოჩნდეთ. დაბღვერილი სახეების ყურება თავადაც არ მოგეწონებათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**21 აპრილი:** ეს დღე თქვენთვის და თქვენი თანმხლები ადამიანებისთვის ნამდვილი გამოცდა იქნება. შეიძლება არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა დაგეუფლოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**21 აპრილი:** თუ დღეს რამე ფასეული იდეა მოგივათ, ყველაფერი იღონეთ მის განსახორციელებლად. შედეგით გაოცებული დარჩებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**21 აპრილი:** დღეს წინა პლანზე ოჯახის მოთხოვნილებები წამოიწევს და რაც მთავარია, ეს მუშაობაში ხელს კი არ შეგიშლით, პირიქით, სტიმულს მოგცემთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**21 აპრილი:** დღეს ორთაბრძოლას ვერ მოიგებთ, საუკეთესო შემთხვევაში, კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**21 აპრილი:** როგორც ჩანს, შეუგნებელ ადამიანთან მოგიწევთ ურთიერთობა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მისი თავაზიანად მოსმენა მოგიწევთ.

**თევზები 19.02-20.03**
**21 აპრილი:** იმდენად ენერგიულად იმოქმედებთ, თქვენს ახლობლებსაც კი გააოცებთ, რაც თქვენს კიდევ უფრო გააქტიურებას გამოიწვევს. ჯანმრთელობას მოუფრთხილდით.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## იეტი ადამიანისა და უცხოპლანეტელის ჰიბრიდია?



რამდენად შეიძლება ამას სენსაცია ვუწოდოთ, თავად განსაჯეთ. ყოველ შემთხვევაში, რუსული პრესა სწორედ ასეთი სათაურებით აჭრელდა: „სენსაცია: მეცნიერებმა „თოვლის კაცი“ ამოიცნეს“. გენეტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ იეტი – ეს არის ადამიანისა და კოსმოსიდან მოსული უცხოპლანეტელის ჰიბრიდი.

რუსეთის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ჰომინოლოგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი იგორ ბურცევი განმარტავს, რომ მიღებულია „თოვლის კაცის“ დეენემის მრავალწლიანი კვლევის შედეგი. მისივე ინფორმაციით, ანალიზი ამერიკაში ჩატარდა, სადაც 5 წლის მანძილზე 109 ბიოლოგიური ნიმუში იქნა შესწავლილი. მათ შორის, იეტის სისხლის კვალი, თითების ანაბეჭდები, ნერწყვი, თმები, კანი და ასე შემდეგ. ცნობილია ისიც, რომ კვლევაში რამდენიმე ლაბორატორია იყო ჩართული როგორც აკადემიური, ისე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს დაქვემდებარებული.

გენეტიკური ექსპერტიზის შედეგი შოკისმომგვრელია: იეტი ადამიანია, მაგრამ ჰიბრიდული სახეობის. ის წარმოიშვა ადამიანისა და მეცნიერებისთვის უცნობი, სავარაუდოდ, პრიმატების მონათესავე არსებისგან. ჰიბრიდიზაცია დაახლოებით 15 ათასი წლის წინათ მოხდა. იეტის გამოჩენის პირველი ადგილი ევროპაა, კონკრეტულად კი – ცენტრალურ-აღმოსავლეთ ან აღმოსავლეთ ევროპა.

*kp.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მთავარი ექიმი დილის შემოვლაზეა, ერთი პაციენტი ეუბნება:

– როგორ არის ჩემი საქმე, ექიმო?

– კარგად, მე ვფიქრობ, რომ ორ-სამ დღეში თქვენ თავს ვალერი ტრისტანიჩს ვანახვებთ.

– ვალერი ტრისტანიჩი ვინაა, ექიმო?

– ააა, ის პათოლოგანატომია, ჩვენთან მორგში მუშაობს, ოქროს ხელები აქვს – ისე გაგკვეთს, ვერაფერს გაიგებ.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“
გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: ალექსიძის, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.50